

# ԸՆԹԱԾՈՒՅՈՒՆ

№ 37 / 28 ՈՅԵՍԵՐ - 4 ՈՅԵՍԵՐ / 2010

- Տայարական եղանակներում հասպառականության մասին օրենքը 83. 26
- Հաջորդական պատճենաբանությունների վերաբերյալ օրենքը 83. 33
- Ռեգուլար պատճենաբանությունների վերաբերյալ օրենքը 83. 17
- Կազմակերպությունների վերաբերյալ օրենքը 83. 20
- Ապահովագույն պահպանագույն օրենքը 83. 24
- Տայարական պահպանագույն օրենքը 83. 39
- Վարչապետական օրենքը 83. 37
- Հաջորդական պատճենաբանությունների վերաբերյալ օրենքը 83. 41
- Հաջորդական պատճենաբանությունների վերաբերյալ օրենքը 83. 44

ՑԱՆՈ 2 ՀԱՆՈ

ISSN 1987-7528



9 771987 752008



83. 12  
ԸՆԹԱԾՈՒՅՈՒՆ ԲԱԺԻՇՎԻԼԻ

# პოლიციური


ნინო ეიქილაძელი

მასწავლებელი



გადათი

21:00



გურიაშვილის მიერა თემაზე დაგენერირებული / ფოტოს სახელმწიფო

#### ცომარში:

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 ფოტორეპორტაჟი
- 07 ვრცლად
- 10 ორი აზრი  
გვჭირდება თუ არა  
ახალგაზრდობისა და  
სპორტის სამინისტრო?  
გია ხუროშვილი VS ლექსო  
მაჭავარიანი
- 12 მთავარი თემა  
გორი სტალინის ქეგლის  
გარეშე
- 16 თვალსაზრისი  
გუნდისტანი  
მარკ მალენი
- 17 ინტერვიუ  
ბიუროკრატიამ მოუგო  
ხელისუფლებას  
კახა ბენდუქიძე  
**მსოფლიო**  
19 ვსოციელობა
- Всем привет! Я в Твиттере

#### მეზობლები

- 20 კადიროვის არტი
- 22 საბჭოთა წარსული  
უკრაინაში  
სტალინ უკრაინაში  
**კონფლიქტები**
- 24 აფხაზები რუსულ ფულს არ  
თმობენ
- 26 საქართველოს ნარკოტიკული  
რესპუბლიკა  
**საუბრები ლიბერალიზმზე**
- 31 პოტენციური  
საფრთხეები ქართული  
მემარცხენეობისთვის  
**ეკონომიკა**
- 33 რევოლუცია,  
კონტრევოლუცია და  
საგადასახადო  
კოდექსი  
**საზოგადოება**
- 37 წარსული, რომელიც არ იქცა  
ისტორიად

#### განათლება

- 39 სამინისტროში  
დაბარებულები  
სამეცნიერო ურნალი  
„მკურნალიკე“
- 41 გემინოდეთ საკუთარი  
ენებების  
თვალსაზრისი
- 44 რა ელის  
ოპერას?  
**სპორტი**
- 45 მარადონას  
ისინი უყვარს  
სანდრი ნავერიანი
- 46 ვედრების  
დრო  
გიო ახელედიანი  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის  
ჩანაწერები**
- 48 უკანასწელი  
ტრამვაი  
კახა თოლორდავა

#### გარეკანზე:

სტალინის გარეშე  
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი



ურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფანდ  
„ლა საზოგადოება - საქართველოს“  
მარჯნის მიერადი.

ავტორის / ავტორების მიერ საინიციატივო  
მასალაში გამოიქვედი მასა ზრგებ  
არ ვამოხატავს ფონდის „ლა  
საზოგადოება-საქართველოს“  
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის  
პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

## የኝጂማሚካዊነት ማስተካከል

ს სტატუსში ბევრი რამ კარგად არის  
ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის ერთი  
მოსაზრება – საქართველოს ონკოლოგიის  
ნაციონალური ცენტრის მომავალი  
განვითარების შესახებ. დღეისათვის  
განისილულ ყველა მოდელს აქვს  
მერჯემენტის მოტივაციის ნაკლი. კარგად  
მოგეხსენებათ, იმისათვის, რომ ერთო  
ინტერესმა საზოგადოებრივი ინტერესის  
გათვალისწინება დაინტენს, უნდა მიაღწიოს  
კერძო კაპიტალის გარკეულ მდგომარეობას,  
რომლის მიღწევასაც საქართველოს  
პირობებში დიდი დრო დასჭირდება.  
ამასობაში დაიკარგება ონკოლოგიურიში  
დაგროვილი ინტელექტუალური პოტენციალი  
(განსაკუთრებით შემცირებების მტკიცნეულ  
პროცესში), მერჯემენტის კერძო ინტერესზე  
ირჩენტირებული მოტივაციის გამო.  
დღევანდელი მდგომარეობის შენარჩუნება  
არ შეიძლება, ვინაიდან მენეჯმენტის  
ეკონომიკურად გამართლებული მოტივაცია  
არ არსებობს. ჩამოთვლილი მიზეზზით  
შეიძლება უარი ვთქვათ ჰერსონალისათვის  
გადაცემაზეც. არსებობს კიდევ ერთი  
მოდელი. საქართველოს მთავრობა, როგორც  
სააქციო საზოგადოება ა. ღვამიჩავას  
სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური  
ცენტრის აქციათა ასი პროცენტის  
მფლობელი, აცხადებს, რომ ონკოცენტრი  
არის არამომგებიანი (non-for-profit)  
ორგანიზაცია. ამ შემთხვევაში:  
▶ ონკოცენტრის მუშაობის პროცესში  
ნარმატებით მოგება რჩება მისივე მიზნების  
განხორციელებისათვის;  
▶ არ წარმოქმნება მოგების გადასახადი;  
▶ არამომგებიან (non-for-profit)  
ორგანიზაციას ყოველთვის გაცილებით მეტი  
დახმარების მიღების შესაძლებლობა აქვს  
(დახმარებები, გრანტები);

#### ► არამომგებიან (non-for-profit)



- ▶ საერთაშორისო დახმარებებს ყოველთვის მოჰყევება კონტროლის დახვენილი და გამოცდილი მექანიზმები;
- ▶ არამომგებიან (non-for-profit) ორგანიზაციაში შესაძლებელია წახალისებისა და კონტროლის შიგა რესურსებისა და დამატებითი, საზოგადოებრივი მექანიზმების უფრო ეფექტური ამოქმედება;
- ▶ ეს ყველაფერი გამოიჩვევს ონკოლოგიურ მომსახურებაზე ფასების შემცირებას ჯერ ონკოცენტრიში, ხოლო შემდეგ, მთლიან დარღვეში. სავარაუდოა, რომ მოყვანილი

მოდელის ზემოთ არასრულად ჩამოთვლილი დადგებოთ მახასიათებლები პოლიტიკურად მომგებანია, შექმნის მენეჯმენტის ახალ (სწორ) მოტივაციას და ხელს შეუწყობს საქართველოში მოსახლეობის ონკოლოგიური მომსახურების და ზოგადად, ონკოლოგიის განვითარებას.

პატივისცემით, არჩილ კაპანაძე  
ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის  
რაზიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის  
ქადაგი

სასწრავოდ იყილება  
„მარხელესი“ „შიგულის“  
ნაცილებით!

იმედი მაქეს, რომ მეტობელი ცხრილით  
ნათლად დაინახავს განათლების სიტყმაში  
მიმდინარე ბოლონდრონიდელ ცვლილებას და  
შეკმინებას, საით მიღის იგი (მაშინაც კი, თუ  
არ იცის, რომ ლოტოტრონით დირექტორების  
არჩევა, რამდენიმე წელია, გაუქმდა). იქნებ  
ცველას არ მოსწოდეს მარცხნა სვეტში  
განხორციულებული ინიციატივები, მაგრამ  
მარჯვენა სცენტრი იმდენად ავტორიტარულია,  
ძირითა მისა მომზრდო აუთ არჩინ

კვიბდა, „მერსულესი“ ისევ „მერსულესის“  
ნანილებით ჩაგვენაცვლებინა, ვიდრე უკან  
დაგბრუნებულიყავით „უიგულისკენ“...  
და საბჭოთა განათლების სისტემიდან  
ყველაზე ცუდი მეთოდები არ გამოგვერჩია.  
მგონი, ისევ მოგვიწევს ამ გზის ხელახლა  
გავლა, 2009 წლამდე არსებულის ხელახლა  
დაწერგვა... განათლების სამინისტროში  
ეს გაუთავებელი ცვლილებები სისტემაში  
რამდენიმე თაობის განათლებასა და  
მომავალზე სავალოოო კვალს დატოვებს.

კანა (შეუმონმებელი), 25 ივნისი  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შემორჩენილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯაფარშვილი / პოლიტიკა და საერთო სირის ამბები სოფო ჭავა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ჭავა / უზრუნველისტური გამოიქანა / ბეჭედ კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბატუაძე / ადამიანის უფლებები და სამართლი ნინო ბეგეშვილი / ახალი ამბები ნათა ახალაშვილი უზრუნველყოფა: მარია წილაძე, ნინო გვარია, მარია ქირაძეშვილი, ეკა ჭავაძე, რუსული ფარმაციული, ანტი თვალი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიბუაძე, რუსული რუსაძე, ნინო რობაძე, აგარ უზრუნველი, ნათა გულამაშვილი, დავით ბეჭერიკიძე არარიტული: მარკ მალევი, გორგა ცხახაძეა, კახა თოლოვაშვილა, გიორგი ახვლევანიძე, ლაუნა ბულაძე, სანდრო ნავრევანი რედაქტორი: ფათმეთ რედაქტორი ლევან ხელიშვილი / გრაფიკული დაზიანები თორინე ლილიშვილიძე / რედაქტორი-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საიონგ გამოიქანა: პროფესიული მეცნიერებების მარკეტის მეცნიერების ლექციების და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / მარკეტინგი და საზოგადოებრივი ურთიერთობა ნათა რედაქტორი / დასტური ბეჭერიძე ზოგად შენიშვნილი გამოიცემები: შპს „ლინგისტიკა“, მისამართი თბილისი 0162, ფალადაშვილი ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სახე გამოცემები: „ცხელი შეკოლადი“, „ცხელი შეკოლადი – ლიტერატურა“, „მინენა: ადამიანები, მეომღებები, სტრატეგიიები“.

**“ଲୋକରୂପାଳିକା” ସାମଗ୍ରିରେ ଉତ୍ସବରେଖା ଡାକ୍ଟରିଆରୀଙ୍କ ଦ୍ୱାରା ଆବଶ୍ୟକ ହେଉଥିଲା.**

ଶୁଭ୍ରବସ୍ତୁଦିନ ଗାମ୍ଭୀର୍ୟକୁହେବୁଳୁ ମାଲାଙ୍ଗରୁଦ୍ଧିଷ୍ଠାନ ବାହ୍ୟବନ୍ଦରୀରୁ ଡା/ଏ ମତିଳୋବା ଗାମ୍ଭୀର୍ୟକୁହେବୁ ରୂପ୍ୟାଙ୍କୁଣ୍ଡ ତାବ୍ବବନ୍ଦରୀରୁ ଡାର୍କ୍‌ଫ୍ଲେଚ୍‌ଗ୍ରେନ୍ଡିଆ ଏକ୍‌ପାର୍ଟ୍‌ନିକ୍‌ରୁ ପାଇଁ ଆମ୍ବାରୁ ପାଇଁ ଆମ୍ବାରୁ ପାଇଁ

ମୁଦ୍ରାକାରୀ: ଶ୍ରୀରାମ ପ୍ରଦୀପନାୟିକୁ - ସିଲାବାନ୍ଧିତ ମୁଦ୍ରାକାରୀ ।


გამოიყოფილი კუნძული ერთხელ, ყოველ ორსაბათს. პირველი ხომერო გამარცემულია 2009 წლის შასიში. რეკომენდებული საცდლო ფასი 2 ლარი.

[www.liberali.de](http://www.liberali.de)

1890  
**BORJOMI**<sup>®</sup>



გათავისუფლდი  
ზეღაპისაგან



## ჩუსეი-აღაჩინიალი ბაზისაბაზი

რუსულმა და ამერიკულმა ნავთობმომპოვებელმა კომპანიებმა „როსნეფტმა“ და „შევრონმა“ შავი ზღვისა და ასავლეთ მონაცემთა ნავთობის საძირქო და მოპოვების სამუშაოებთან დაკავშირებით მიღიარდოლარიანი შეთანხმება გააფორმეს. დოკუმენტს ხელი მოსკოვთან ახლოს, წოვო იგარიბოში, პუტინის სამთავრობო აგარაკზე მოწერა და ამ პროცესს, კომპანიების დირექტორების გარდა, მასპინძლივი ესწრებოდა. შეთანხმების თანამდებობის, „შევრონის“ რუსეთის ტერიტორიული წყლებში ჯერ საძირქო სამუშაოებს, შემდეგ კი ნავთობის მოპოვებას 2 ჭაბურღილზე დაიწყებს, რომლებიც

ნოვორისისის სანაპიროსთან და ტუაფსესთან მდებარეობს. რუსეთის ტერიტორიაზე ნავთობის საიტებად უცხოელთა მოწვევას „როსნეფტის“ ხელმძღვანელი შავი ზღვის რელიფის სირთულითა და ტექსოლოგიების არქონით ხსნის, თუმცა, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რას მიიღებს რუსული მხარე თავის 2 საბადოსთან ამერიკელების დაშვების სანაცვლლი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ნავთობის მოძიების ადგილიდ აფხაზეთი მითითებული არ არის, მაგრამ თბილისი დეტალებს უშუალოდ „შევრონთან“ გაარკვევს.

## ეუსენიალი ლაზა

გასულ კვირას „გაზპრომმა“ ბელორუს გაზის მიწოდება შეუმცირა, თავიდან – 15, შემდეგ კი 60 პროცენტით. „გაზპრომში“ აცხადებდნენ, რომ ბუნებრივი აირის სრული მიწოდებისთვის ბელორუსს ის 192 მილიონი აშშ დოლარის დავალიანება უნდა გადაეხადა, რაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დაუკრივდა. ამ ვალის არსებობას მინსკი თავდაპირველად უარყოფდა. მაგრამ მოგვიანებით, მოლაპარაკებების შემდეგ 178 მილიონი მაინც გადაიხადა. რუსეთმაც დაადასტურა, რომ დავალიანება სრულად დაიფარა და გაზის მიწოდებაც აღდგა. რუსეთის სანქციებმა ევროპელებიც შეაშინა. რუსეთიდან სწორედ ბელორუსის გავლით მიეწო-

დება ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ნანილს გაზი – რუსეთიდან მთლიანად იმპორტირებული გაზის დაახლოებით 20 პროცენტი. „გაზპრომმა“ ევროპელები იმით დაამშვიდა, რომ თუ ბელორუსი ტრანზიტის შეწყვეტს, უკანასის რესურსს გამოიყენებუნ, რომელიც მთლიანად ანაზღაურებული არ აქვთ. გაზის თემაზე არსებული გაურკვევლება კვლავ გრძელდება. ახლა მინსკში აცხადებენ, რომ რუსეთს სატრანზიტო გადასახდი აქვს გადასახდელი, რასაც რუსული მხარე არ აღიარებს.



## სავალებულო სახიზეზო სამსახური

სამხედრო სარეზერვო სამსახური 40 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის კვლავ სავალდებულო ხდება, 18-დღიანი ვადა კი 45 დღემდე გაიზრდება.

ამ ცვლილებებს „სამხედრო სარეზერვო სამსახურის“ შესახებ კანონპროექტი ითვა-



ლისწინებს, რომელიც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გასულ კვირას იყო ინიციირებული. კანონპროექტის აგტორები არიან დეპუტატები – სამსონ ქუთათელაძე, ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.

კანონპროექტი ასევე განსაზღვრავს სამხედრო ძალების რეზერვის კატეგორიებს, რეზერვის ფორმირების, ორგანიზების და გავლის საფუძვლებს.

ამას გარდა, კანონპროექტით, სამხედრო სარეზერვო სამსახურში მყოფ პირს სამსახურში სტატუსი ექნება.

## ჩისხავები

**10** მილიონი ლარით აზარალა კახეთი სტიქიამ.

**65** ტრილიონ აშშ დოლარს ითხოვს ჩრდილოეთი კორეა აშშ-სგან ზარალის ანაზღაურებისთვის.

## ლ ფუქო ბოიცობი

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სეპარატისტული რეჟიმები უწენევის მოლაპარაკებებს „დროებით“ ეთაშებიან. თავდაპირველად ეს გადა-ნევეტილება სოსუმში მიიღეს. შემდეგ კი ცხინვალი დაიმუქრა, რომ მოლაპარაკებებს თავადაც ბოიკოტს გამოუცხადებს, თუკი საერთა-შორისო მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარები მათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ. ეს მოთხოვნა კი კვლავ ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებას ეხება. მოლაპარაკებების დატოვების მიზეზად სოსუმი გაერო-ს, ეუთო-სა და ევროკავშირის არაობიერტურ დამოკიდებულებას და საერთაშორისო ფორმატის არაპროდუქტულობას ასახელებს. მათ ულტიმატუმიც წამოაყენეს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდებიან მოლაპარაკებების მაგიდას, თუ თანათავმჯდომარები ყველა მხარის წინადადებების შემცველ დოკუმენტს წარმოადგენენ და შესაძლებელი განდეგა ღია დისუსა და დაბატები. ულტიმატუმის კონკრეტულ ვადებზე სოსუმში არ საუბრობენ. ცხინვალმა კი ვადა 12 ივლისამდე მისცა მხარებს. „თუ ცხინვალში თანათავმჯდომარების მორიგ შეხვედრაზე ახალ პროექტს არ წარმოადგენენ, შემდეგი რაუნდი აღარ იქცება“, – აცხადებს დე ფაქტო პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი ბორის ჩხილევი და პასუხისმგებლობასაც თანათავმჯდომარებს აკისრებს. თბილისი ამ ქმედებებს მოსკოვის „ტრადიციულ შანჩაუს“ უნივერსიტეტი, რუსეთს უწევის მოლაპარაკებების მოკვლა სურს“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

## უჩამვი საქართველოში

ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი საქართველოში ინვესტიციების ჩადებას გეგმვას. მისი კომპანიის The Trump Organization-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი მაკელ კონი თბილისა და ბათუმში იმუოფებოდა. The Trump Organization საქართველოში Silk Road Group-თან ანარმოებს მოლაპარაკებებს. თუმცა, არც ქართული მხარე და არც კონი ამ ურთიერთობებისა და იმ ადგილის შესახებ, სადაც ინვესტიციების ჩადებას აპირებენ, არ საუბრობენ. Silk Road Group-ს ტრამპთან შეხვედრის საშუალება აპრილში, პრეზიდენტის აშშ-ში ყოფნის დროს მიეცათ. ასეთივე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ღია ვეგასის კაზინოების მაგნატ სტილ ვინთან. თუმცა, ამ მოლაპარაკებების შესახებ დეტალები არ ხმაურდება. კონიმა ალნიშნა, რომ კავკასიაში ბიზნესის კეთება „ახალი რამ“ არ არის ტრამპისთვის, რომელსაც ინვესტიციები მთელ მსოფლიოში აქვთ. საქართველოსთვის ყველაზე ახლოს ტრამპის მიერ განხორციელებული ინვესტიცია სტამბოლში, 40-სართულინი მრავალფუნქციური კომპლექსია. საქართველოში ბიზნესის დაწყებას დღნალდ ტრამპის ყოფილი მეუღლე ივანა ტრამპიც გეგმავს. იგი თბილისში გასული წლის დეკემბერში ჩამოვიდა და ქვეყნის პირველ პირსაც შეხვდა.



## სისატები



„დღეს ვისესხე ფული მეგობრებისგან და სულ მალე ვალს გადაგიხდით. მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ფული უცხოებისგან უნდა მესესხა იმის გამო, რომ რუსეთს არ შეუძლია ორი კვირა მოიცადოს“.

### ალექსანდრ ლუკაშენკო

**22 ივნისი, მინსკი**

„ეს არის მთავრობა [საქართველოს], რომელიც ეფუძნება მუდმივ განახლებას, და ასევე მუდმივად, თუნდაც მცირე დოზებით, მაგრამ ახალი სისხლის

შეშვებას და შეშხაპუნებას“.

### მიხეილ სააკაშვილი

**25 ივნისი, თბილისი**

„რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი უნდა გახდეს. ეს ხელსაყრელია რუსეთისთვის, ეს ხელსაყრელია აშშ-სთვის, ეს ხელსაყრელია ყველასთვის“.

### ბარაკ ობამა

**24 ივნისი, ვაშინგტონი**

„ჩეჩენეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა ფსიქიატრს უნდა მიმართოს და უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევასა და თავისი შეფასებების გაკეთებას თავი უნდა დაანებოს“.

**ანატოლი გრიცენკო - უკრაინის უმაღლესი რადის თავდაცვისა და ნაციონალური უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე**

**25 ივნისი, კიევი**

**45 დღემდე გაიზრდება სავალდებულო სარეზერვო სამსახური საქართველოში.**

**4.5 პროცენტით გაიზარდა მშპ პირველ კვარტალში საქართველოში.**



## ნაციონალური თბილისი

19 ივნისს ძლიერი წვიმის გამო, თბილისში რამდენიმე უბანი დაიტბორა. გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ყოფილი მანქანების ბაზრობის ტერიტორიაზე, ქუჩის მთელ ჩაყოლებაზე მანქანები საათზე მეტ ხანს უძრავად იდგნენ.

ქარმა მოგლიჯა რამდენიმე ხე, დატბორა სანიაღვრე არხები.

წყალდიდობას იმ ადამიანებმაც ვერ აარიდეს თავი, ვინც საცობებისგან თავის დასაცავად მეტროთი გადაწყვიტა მგზავრობა. რამდენიმე მეტროს სადგურში წვიმის წყალი შევარდა და სადგურები დაიკეტა. დაიტბორა მეტრო „ახმეტელის“ გარშემომდებარე მიწისქვეშა გადასასვლელებიც.

მგზავრების და გამყიდველების პანიკამ წვიმის გადალების შემდეგ იყლო, თუმცა სახლში მისულებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ – კორპუსებთან ტროტუარები სეტყვას თეთრად დაეფარა.

# პროტესტი სანდემოს ე პროტესტის ბაზა

2000-იანელთა თაობის მხატვრებმა გამოფენაზე „შორის“ თავიანთი დერომანტიირებული ხელოვნება წარმოადგინეს, როგორც თვითონ ამბობენ – ხელოვნება მაკიაჟის გარეშე.

## ნინო ჩიმაკაძე

23 წლის ნატალი ნებიერიძემ საკუ-  
თარი მმობლების, ასევე მხატვრების  
ნამუშევრები აიღო და მამის მეძავა და  
დედის ანგელოზებს საკუთარი სახე გა-  
დაახატა. როგორც ამბობს, პალიმფსე-  
ტის სტილში შესრულებული ამ ნახატით  
მან გამოთქა პროტესტი მმობლების  
თაობაში არსებული ინფანტილიზმისა და  
გაუაზრებელი კულტურული გავლენე-  
ბის წინააღმდეგ, რომელიც კრიტიკული  
აზროვნების ჩამოყალიბებასა და კულ-  
ტურების ნგრევას უშლის ხელს.

ნატალის ეს ნახატი, 11 სხვა ნამუ-  
შევართან ერთად, გალერეა №9-ში გა-  
მოიფინა, სადაც 23 ივნისს ე.წ. 2000-ია-  
ნელთა თაობის მხატვრების გამოფენა  
„შორის“ გაიხსნა.

კლაშევბისგან თავისუფალი და  
სოციალურად აქტიური ხელოვნება –  
ასე შეიძლება შეფასდეს კონცეფცია,  
რომელიც აქ წარმოდგენილ ნამუშევრე-  
ბს აერთიანებთ.

საპროტესტო შინაარსის მიუხედავად,  
გამოფენის ფორმა სკანდალური არ ყო-  
ფილა. ავტორები შეეცადნენ, აქტუალუ-  
რი პრობლემები ტრადიციული ფორმით  
გადმოეცათ და ამისთვის გამოიყენეს  
არა პერფორმანსების ხერხი, არამედ  
კედლის სიბრტყე, ზეთის საღებავი,  
ფანქარი, აკრილი და ფოტო. ამით მათ  
კიდევ ერთ პრობლემაზე, თანამედროვე  
ხელოვნებისადმი სტერეოტიპულ და-  
მოკიდებულებაზე გაამახვილეს ყურა-  
დლება:

„მოდიან წინასწარ გამზადებული  
აზრით, რომ აქ აუცილებლად სკანდა-  
ლურ პერფორმანსს ნახავენ. თუმცა,  
თანამედროვე ხელოვნება არ წიმნავს  
მაინცდამანც რომელიმე კონკრეტული



თეკლა ასლანიშვილის ნამუშევარი „თეკლა“. გამოფენა „შორის“,  
გალერეა №9, თბილისი, 23 ივნისი 2010

ფორმის გამოყენებას ან პროვოკაციას,  
გვინდა, რომ ამ კიტჩური დამოკიდე-  
ბულებისგან გათავისუფლდეთ“, –  
ალნიშნავს გამოფენის მონაწილე და  
კურატორი ქეთო ლოგუა.

მის ნამუშევარზე White  
Cube-ის გალერეა ორგანზომილებიან  
ფერწერულ ნამუშევრად არის წარმოდ-  
გენილი. როგორც თავად ამბობს, ერთი  
განზომილების გამოკლება ერთგვარი  
პროტესტია იმის მიმართ, თუ როგორ  
ჭამს ნამუშევრების იდეას თანამედროვე  
გალერეებში სივრცეზე და გარემოზე  
აქცენტირება.

ნამუშევართა დიდ ნაწილში მკვეთრად  
გამოხატული მემარცხენე მსოფლმხედ-  
ველობა დომინირებს. აქ ვხვდებით  
დოკუმენტურ ფოტომასალას, რომელიც  
2009 წელს უკავაში მსოფლიო სავაჭრო

ორგანიზაციის საწინააღმდეგო დემონს-  
ტრაციების შედეგებს ასახავს (ავტორი  
მელნი სოხბაძე). სარეკლამო ბანერე-  
ბის ჩამსხვრული ვიტრინები ერთგვარ  
კონტრასტს ქმნის შუშის მიღმა მომლი-  
მარ, ბედნიერ ადამიანებსა და მის აქტ  
არსებულ რეალობას შორის.

ანტიკაპიტალისტური მუხტი იჯრძნობა  
თეკლა ასლანიშვილის ნამუშევარშიც,  
სახელწოდებით – „თეკლა“. თეკლას  
პორტრეტები, რომელიც 40 სხვადასხვა  
მხატვრის მიერაა შესრულებული, გა-  
მოფენაზე ერთ დიდ ტილოდაა გაერ-  
თიანებული. ამ შემთხვევაში, პროტესტი  
მხატვრების ბრძნდირების და კომერცია-  
ლიზაციის წინააღმდეგაა მიმართული:

„მხატვრის სახელი სულ უფრო  
მეტად იძენს ლოგოტიპის ფუნქციებს  
და სულ უფრო ნაკლებად განსხვავდე-

ბა ისეთი ბრენდებისგან, როგორიცაა „ნაიკი“ ან „ადიდასი“. რაც უფრო ფართოვდება ეს ბრენდი, მით უფრო დაცლილია მის უკან მდგომი პროდუქტია შინაარსისაგან და საზოგადოებაც და კრიტიკოსებიც ნაკლებად კრიტიკულნი ხდებან მის მიმართ“, — ამბობს ასლანიშვილი.

კომერციალურზაციას და კაპიტალის-  
ტურ არტ-მარკეტს უპირისპირდება  
გიორგი კევლიშვილის ნამუშევარიც  
– „ცხრილი 2“-ის გიორგი მონაწილეთა  
შორის ყველაზე უფროსია და რამდე-  
ნიმე მათგანს სამხატვრო აკადემიაშიც  
ასწავლიდა:

„რა თქმა უნდა, ბაზრის კანონებს გვერდს მთლიანად ვერ აფუვლით, მაგრამ რაც უნდა ხმამაღლა ყლერდეს, ხელოვნების დანიშნულება მაინც ჭეშმარიტების ძიებაა და არა ბაზარზე ადგილის დამკვიდრება“, – აღნიშნავს კავშირიშვილი.

გიორგის სტუდენტებს – ქეთო  
ლოგუას, ნატალი ნებიერიძეს, თეკლა  
ასლანიშვილს და დავით კუხალაშვილს,  
რომელებიც სამხატვრო აკადემიაში სწა-  
ვლის დროს იქ არსებულ განათლების  
სისტემას და სწავლების მეთოდებს  
აპროტესტებდნენ, აკადემიამ დიპლო-  
მები არ მისცა. ამის აფიციალურ  
მიზეზად კრედიტების არასაკრისი  
რაოდენობა დაასახელეს. თუმცა,  
ახალგაზრდების აზრით, რეალური  
მიზეზი სწორედ მათი ღიად დაფიქსი-  
რებული პოზიცია იყო. კევლიშვილი კი,  
რომელიც 2 წლის მანძილზე ვიზუალუ-  
რი ხელოვნების სახელოსნოს ხელ-  
მძღვანელობდა და ახალი მიდგომების  
დანერგვას დღილობდა, აკადემიდან  
ახსნა-განმარტების გარეშე გაათავი-  
სუფლეს.

საპროტესტო მუხტი და ახალი გზების ძიება გამოიყენაზე მონაბილე ყველა მხატვარს აერთიანებს. ამჯერად მათთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფციაა ხელოვნების დერიმანტიზაცია და დემითოლოგიზაცია – როდესაც ხელოვნება მაკიაჟის ფუნქციას კი არ შეასრულებს, არამედ რეალობას ასახავს და თავადაც ახალი რეალობის შემჩნელი გახდება. ■

# მოსამოენი და მოკამოენი სამთავრობო სკოლაში

სამი ახალი მინისტრი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის ახალი მოადგილე და ერთიც ახალი სამინისტრო – ასეთია რამდენიმეკვირიანი მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებები.

## **ნათია ახალაშვილი**

ახალ პისტებზე ნარდგენილთა უმრავლესობა საზოგადოებისთვის უკვე კარგად ნაცნობი ხალხია. „ახალი სისხლი“ კა მთავრობაში ეკონომიკის ახალი მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის ახალი მოადგილე იქნებიან. ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სახელი უკვე მეორედ შეცვლებდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაერქმევა. მას კანადიდან საქართველოში დაბრუნებულ ვერა ქობალია უხელმძღვანელებს. პრეზიდენტმა ნარდგენისას ვერა ქობალია ვანკუვერში მისი ოჯახის ცურის ცხობი ბიზნესის გამო, „დალიან ნარმატებული businesswoman“ აწოდა.

მთავრობაში ცალკე შეიქმნება ახალ-გაზრდობისა და სპორტის სამინისტრო, რომელსაც შეიძა ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რჩმუნებული ლადო ვარძელაშვილი უხელმძღვანელებს. ვინ დაიკავებს მის ათვალის, ჯორჯიმობით უაწოდება

ახალი უფროსი და მოადგილე ეყო-  
ლება პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც  
– დავით ტყეშელაშვილი, მისი მოად-  
გილე კი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის  
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვა-  
ნელი, ქურნალისტი ირმა ნადირაშვილი  
ახარიბა.

ტყეშელაშვილის ადგილს, როგორც  
წინასწარ ვრცელდებოდა ინფორმაცია,  
საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
რამაზ ნიკოლაიშვილი დაიკავებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყო-  
ფილი უფროსი თემურ ჯანაშია სახელ-  
მწიფო დაცვის სამსახურს ჩაუდეგბა  
სათავეში.

პრეზიდენტმა წარადგინა საგარეო  
საქმეთა მინისტრის ახალი მოადგილე  
თორნიკე გორდაძეც, რომელიც ბოლო  
15-16 ნელი საფრანგეთში ცხოვრობდა.  
სააკაშვილმა გორდაძე „პარიზში ძალიან  
ცნობილ და წარმატებულ პოლიტო-  
ლოგად“ დაახასიათა. ახალი მოადგილე  
საგარეო უწყებაში „ევროპულ მიმართუ-  
ლებას“ უხელმძღვანელებს. აქამდე ის  
ანატოლიის კვლევის ფრანგული ინსტი-  
ტუტის კავკასიის ცენტრის დირექტორი  
იყო.

პრეზიდენტმა გადადგომის შემდეგ  
შეაქო ეკონომიკის უკვე ყოფილი მინის-  
ტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი, თუმცა,  
ალნიშვნა, რომ „მთავრობა, რომელიც  
ეფუძნება კადრების სტაბილურობას,  
ასევე ეფუძნება ათასაწილის რაზიონას“

ტურქეთის მიერ დაკავშირდება... თუ ადამიანი რეზულ-  
ტატს კონკრეტული მიმართულებით ვერ  
აღწევს, ის აუცილებლად უნდა იყოს  
გადასროლილი სხვა მიმართულებაზე“.

იმის გამო, რომ უკანასკნელი ცვლი-  
ლებებით, ბოლო დროს მინისტრების  
საერთო რაოდენობაში კაპინეტის სრული  
შემადგენლობის 1/3-ს გადააჭარბა,  
მთავრობისა და მისი პროგრამის  
დამტკიცება პარლამენტსა ამ კვირაში  
მოუწევს. ❷

**ყოველ სამუშაო დღის, 17 საათზე,  
რადიოებაზე პირდაპირ ეთარგი  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თორავი  
„დღის თამა“ ნათია როველავილთან ერთად  
**21 - 25 ივნისის პირის რაზიუმი****



„ოპოზიციის ნაწილი სექტემბერში გააქტიურდება - ისინი ბევრჯერ დაიშლებიან და გადაჯგუფდებიან, რადგან სიძულვილზე დაფუძნდებული გაერთიანება დიდხანს ვერ ძლებს. ეს ადამიანები არიან ქვეყნისა და ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი და ამიტომ რუსეთთან ურთიერთობაში აქტიურობენ. ასეთი მცირე დასაყრდენი, როგორიცაა ბურჯანაძე, ნოღაიდელი და ოქროსაშილი, რუსეთს ყოველთვის ეყოლება“.

სამსახური, 21 ივნისი, რადიოებალაქი FM 101.9  
ეკა ხერხეულიძე, ერთობინი ნაციონალური მოძრაობა“



„ოპოზიციის ნაწილი გადასულია შანტაჟზე - ყვირის, აქციებს ანყობს მანამ, სანამ არ მიიღებს მოწიგ ტრანშეს. სხვანაირად ვერ ავხსნით მოვლენას, რომ სტადიონზე აგროვებენ უამრავ ადამიანს და მერე შლიან, როგორც დაშალეს. სასონარკეთილი ადამიანები მიღიან რეინიგზაზე, ხელისუფლებისა და რელიგიის მიღიან რელიგიური მასიური მაინც გააქციონ. იმავე დღეს ვიგვებ, რომ ოპოზიციის ლიდერებმა თანხა აიღეს ხელისუფლებისგან“.

სამსახური, 22 ივნისი, რადიოებალაქი FM 101.9  
ეკა ხერხეულიძე, მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“



„მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები გამოიწვევს მნვავე სოციალურ პროტესტს და ხალხის ქუჩაში გამოსასვლელად არ იქნება საჭირო არც ლევან ვეფხვაძე, არც ლევან გარებილაძე და არც ვინმე სხვა. დონორების თანხები ინურება და მთავრობა ცდილობს საკუთარი მოხახლეობის ჯიბიდან დამატებითი გადასახადების დაწესებით შეავსოს ბიუჯეტი“. თანხმობათ, 23 ივნისი, რადიოებალაქი FM 101.9  
ლევან ვეფხვაძე, „ქრისტან-დემოკრატიული მოძრაობა“



„ჩვენ არ ვითანამშრომლებთ ზურაბ ნოღაიდელთან, რადგან ის არის პრორუსული ძალა. საერთოდაც, ნოღაიდელი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელსაც ანგარიში უნდა გავუნიოთ. რესპუბლიკური პარტია არასოდეს განვითარიანდება ბლოკში, ალიანსში ზურაბ ნოღაიდელის პარტიასთან“.

სამსახური, 24 ივნისი, რადიოებალაქი FM 101.9  
სოფიო ხორგული, „ჩესპუბლიკური პარტია“



„ფორუმი იწყებს საკუთარი მომხრეების მობილზებას. ხელისუფლება არ დათმობს ძალაუფლებას ზენოლის გარეშე. ის უნდა ნამოვიდეს დათმობაზე, შეცეალოს საარჩევნო გარეშო და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები ან საქართველოში მოხდება ხავერდოვანი რევოლუცია“. პარასკევი, 25 ივნისი, რადიოებალაქი FM 101.9  
ეკა შარტავა, „ერთონული ფორუმი“

რადიოებალაქის სტუდიის ტელეფონი: 920 977





მომხერვა

გია ხუროშვილი

მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ახალი სამინისტროს შექმნა ნიშნავს უწყების შექმნას, რომელსაც ექნება უფლება, შექმნას კონკრეტული პოლიტიკა კონკრეტული მიმართულებით. სპორტის განვითარება არის სახელმწიფოს პრიორიტეტი, სპორტი კი ქართული საზოგადოების სიჯანსაღე, განვითარება და ისეთი პრობლემების დაძლევაა, როგორიცაა მაგალითად ნარკომანია. ამ სამინისტროს დაფუძნებით კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა სპორტს და მეტი დაფინანსება გამოიყოფა ამ სფეროს განვითარებისთვის.

ახალი სამინისტრო ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სოციალური პროგრამების განვითარებას. ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი დღეს ახალგაზრდა თაობის მაქსიმალური დახმარებაა, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა. უნდა არსებობდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა როგორც პარლამენტის დონეზე, ასევე ამ პოლიტიკის შესრულების მექანიზმები უფრო მაღალი რწმუნების სამინისტროს შიგნით. სწორედ ამან განაპირობა დღემდე მოქმედი დეპარტამენტის სამინისტროდ გადაკეთება.

პრეზიდენტმაც ახსენა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი წავახალისეთ და მათი სწავლა უცხოეთში სახელმწიფომ დააფინანსა. ეს ადამიანები ახალი ცოდნით და ახალი გამოცდილებით ბრუნდებიან საქართველოში. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა კადრებით ჩანაცვლების პროცესი მუდმივად უნდა გრძელდებოდეს, რადგან, ბუნებრივია, ჩვენ არ ვართ ქვეყანა, რომელიც იცხოვებს ალმასებით. ჩვენი ერთადერთი გადარჩენის საშუალებაა კვალიფიციური თაობა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

უშუალოდ პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი მინისტრი იქნება და ამიტომ დაველიდოთ ამ სამინისტროს ჩამოყალიბებას. მინისტრი გაგვაცნობს იმ მიმართულებებს, რაზეც აპირებს აქცენტის გაკეთებას. ამ სამინისტროს კომბეტენციაში შევა პატრიოტთა ბანაკებიც და სხვა საკითხები, რაც ახალგაზრდებს შეეხებათ. ■



## ბვჭილება თუ ასე ეს სპორტის სამინისტრო

■ ახალი სამინისტრო ხელს შეუწყობს

ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა

საგანმანათლებლო თუ სოციალური

პროგრამების განვითარებას.

ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი

დღეს ახალგაზრდა თაობის მაქსიმალური დახმარებაა.



**მოწინააღმდეგე  
ლექსო მაჭავარიანი**

ჩემი მოკრძალებული აზრით, რამდენიმე ისეთ სამინისტროს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერისა და მამულის წინაშე ღვაწლმოსილ პირთა დასასაქმებლად ან ევროპელ პარტნიორებთან თავის მოწინების მიზნით არის შექმნილი, კიდევ ერთი მსგავსი დაწესებულება შეემატა, რომლის დანიშნულებაც გადასახადების გადამხდელთა ფულით იმ საქმიანობის განხორციელება იქნება, რომელსაც, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი სამართლებრივი ხელშეწყობით, წესით, კერძო პიზნესი უნდა აფინანსდეს.

ჩემი გაკვირვება იმანაც გამოიწვია, რომ პ-ნმა პრეზიდენტმა საკუთარი გადაწყვეტილება ახალგაზრდობის საქმეთა სპეციალური სამინისტროს შექმნის შესახებ საბჭოთა მემკვიდრეობისგან განთავისუფლებისკენ სწრაფვის გამომხატველი ისეთი ქმედების შემდეგ გაახმაურა, როგორიცაა სტალინის ძეგლის დემონტაჟი. ორუელისეულ სამინისტროებთან ასოციაციებს თავი რომ დავანებოთ, ცოტა არ იყოს და, გაუგებარია, რატომ უნდა ერეოდეს სახელმწიფო ახალგაზრდობის საქმეებში, თუ მისი მიზანი ახალგაზრდობაში სასურველი იდეოლოგიის დანერგვა არ არის; რა დააშავეს ქვეყნის საშუალო ასაკის და ხანდაზმულმა მოქალაქეებმა, შევქმნათ მათთვისაც ანალოგიური სამინისტროები? სამწუხაროა, რომ პიროვნება, რომელსაც ყველაზე უფრო მეტი შესაძლებლობა და, რაც მთავრია, საქმიანი წიფი აქვს იმისთვის, რომ ყველანაირად შეუწყოს ხელი პროგრესს სახელმწიფოში, ამდენად არათანმიმდევრულია საკუთარ ქმედებებში.

სამინისტროს შექმნის შესახებ გადაწყვეტილება ახალი მიღებულია. ჯერჯერობით საჯაროდ არ განცხადებულა მისი მიზნები და ფუნქციები, და არც მინისტრს არ წარმოუდგენა საკუთარი სამოქმედო პროგრამა. თუმცა, ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში ლობირებადი ტენდენციების და სტრუქტურის ახლად დანიშნული ხელმძღვანელის წარსული საქმიანობის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში უნდა ვეღლიდოთ ახალგაზრდებს შორის სამარხო კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლების შემდგომ პოპულარიზაციას და მიზანმიმართულ სვლას წინ - საბჭოთა წარსულისკენ. ❶

## კაცი არსებულ რამდენიმე ისეთ სამინისტროს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერისა და მამულის წინაშე ღვაწლმოსილ პირთა დასასაქმებლად ან ევროპელ პარტნიორებთან თავის მოწინების მიზნით არის შექმნილი, კიდევ ერთი მსგავსი დაწესებულება შეემატა.

■ ქვეყანაში არსებულ რამდენიმე ისეთ სამინისტროს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერისა და მამულის წინაშე ღვაწლმოსილ პირთა დასასაქმებლად ან ევროპელ პარტნიორებთან თავის მოწინების მიზნით არის შექმნილი, კიდევ ერთი მსგავსი დაწესებულება შეემატა.

რეპორტაჟი

# სტალინის ბაზარი

სტალინი სამუზეუმო ექსპონატად  
იქცევა.

ეკა ჭითანავა



სტალინის ძეგლის დემონტაჟი, გორი, 25 ოქტომბერი, 2010

ებრაული ტურისტი ჯონათან პოლი გორში რამდენიმე დღის წინ ჩავიდა. ყველაზე მეტად მთავარი მოედნის დათვალიერება და სტალინის ძეგლისთვის ფოტოების გადაღება უნდოდა. თუმცა, იმ დღეს ვერ მოასწრო, რადგან პაკურიანში გაემზავრა. იფიქრა, ძეგლი არსად გაიქცევა, გორში ხვალ დაგბრუნდები და ძეგლსაც მერე გადავიღობ. თუმცა, ტურისტს ქანდაკება გამქრალი დახვდა. „გაოცებული ვეუყურებდი ცარიელ კარცხლებეს. არ მიყვარს სტალინი, მაგრამ მისი ქანდაკება ქალაქის ლირსშესანიშნაობა იყო“, – ამბობს ჯონათან პოლი.

კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებთ, სტალინის ექვსმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკების ადგილის 2008 წლის რესტავრაციის მიზანით გადაწყვეტილი რეპრესიების დროს დაღუპულ ადამიანთა მემორიალი აღიმართება. „მანინჯ კერპებს არ უნდა ჰქონდეთ ადგილი დამოუკიდებელ, თავისუფალ ქვეყნაში“, – განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ.

ქანდაკების აღება 25 ივნისს ლამის პირველ საათზე დაიწყეს. გორელებისთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო. მთავარი მოედნის გარშემო ძირითადად მაღაზიები და კაფეებია განლაგებული, ამიტომ სტალინის ძეგლის აღების ამბავი ქალაქის მოსახლეობის აპსოლუტურმა უმრავლესობამ მხოლოდ მეორე დილით გაიგო. იმ ღამით კი, საბატრულო პოლიციის მიერ გადაკეტილ მოედანზე შეკრებილ 100-მდე მოქალაქეს შორის ხელისუფლების წარმომადგენლები ჭარბობდნენ. სწორედ ისინი დაემშვიდობდნენ ბელადის ძეგლს შეძინებით: „ძრის სატანა!“

პროცესის ფირზე აღსტეჭდვას თითოოროლა უურნალისტი ცდილობდა, მათ შორის იყო ტელეკომპანია „თრიალეტის“ გადამღება ჯგუფიც. უურნალისტი ლადი ბიჭაშვილი ძეგლის აღებით უკმაყოფილ მოსახლეობას ესაუბრებოდა მაშინ, როცა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა ოპერატორს, იმედა გოგოლაძეს კამერა წაართვეს და ორ მხარეს შორის

შეხლა-შემოხლა გაიმართა. ინციდენტს თვალყურს ადევნებდა გორის სამხარეო პოლიციის უფროსიც. როგორც ლადი ბიჭაშვილი ჰყვება, პოლიციის მაღალ-ჩინოსანმა უურნალისტები დააშვიდა, რის შემდეგაც „თრიალეტის“ წარმომადგენლებს კამერა და კასეტა დაუბრუნეს, ოღონდ შეხლა-შემოხლის ამსახველი კადრები უკვე წაშლილი იყო.

ასეთი კონსპირაციის გამო, ისტორიული მოვლენა – აგვისტოს ომის დროს დაბომბილ ქალაქში დიდი ბელადის ძეგლის დემონტაჟი – საიდუმლო ოპერაციას დაემსგავსა. ორიოდე საათის შემდეგ თოკებით ჩამოხსნილი 6-მეტრიანი ძეგლი უკვე სატვირთო მანქანის საბარგულზე იდო და გაურკვეველი მიმართულებით მიჰქონდათ.

სტალინის კვალი სწორედ ამ მომენტიდან დაიკარგა. დილით მოედანზე შეკრებილ „კომუნისტური პარტიის“ წარმომადგენლებს კი, ძეგლის ნაცვლად, ცხრამეტრიანი კვარცხლბეკი და ორი გადალუნული არმატურალ დახვდათ.

როცა შეადლისას გორში ჩასულმა „ლიბერალის“ უურნალისტებმა სტალინის ძეგლის ადგილსამყოფელი ვიკითხვეთ, ყველამ მხრები აიჩინა, – „აბა, რა ვიცით, ჩვენთვის არც მისი ჩამოგდების ნებართვა უთხოვათ, და არც ის ვიცით, მომავალში რას უპირეტენ“, – ამბობდნენ გორის მაცხოვრებლები.

ძეგლის ადგილსამყოფელს ქალაქის საკრებულო და გამგება მთელი დღის განმავლობაში საგულდაგულოდ მალავდა. „არაფერი ვიცით, გამგებლის მოადგილე არაა სამსახურში“, – აცხადებდა გამგებლის პრესამსახურის წარმომადგენელი. „მე რომ რაიმე გითხრათ, მოგატევებთ, საკრებულოს თავმჯდომარეს კი ვერ უუკავშირდები“, – გვიმეორებდნენ საკრებულოში.

პარლამენტის წევრის, პეტრე ცისკარიშვილის ვერსიით კი, ძეგლი ნაშაუდლები უკვე სტალინის სახელმიწოდებული მუზეუმში უნდა ყოფილიყო. თუმცა ამის შესახებ თავად მეზეუმის თანამშრომლებმა უურ-

ნალისტებისგან შეიტყვეს.

მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ხელმძღვანელმა მზა ნაოჭაშვილმა ეზოში ის ორი ბურქი გვიჩვენა, რომელთა შორისაც სტალინის ძეგლი რესტავრაციის შემდეგ უნდა დადგან. „არ მომწონს, რომ ძეგლი მთავარი მოედნიდან წაიღის, თუმცა ვემორჩილები ხელისუფლების გადაწყვეტილებას. მათ უკეთ იციან, როგორ ჯობა!“

პარალელურად მეორე ვერსიაც გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, ძეგლი კარალეთის ასფალტის ქარხანაში უნდა გადატანათ. თუმცა, ბელადის ქანდაკება არც იქ აღმოჩნდა. „უკვე დავჭრით და დავინანილეთ“, – ხუმრობდნენ „ბირუაზე“ გამოსული გორელები. კადევ რამდენიმე მცდარი სიგნალის შემდეგ უკვე დანამდვილებით გაირკვა, რომ ქანდაკება პოლიციის ეზოში იყო ჩაკეტილი. მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს ფაქტი არ უნდა გახმაურებულიყო და, გაუგებარი მოტივით, „საპატიო პატიმარი“ არც ერთ უურნალისტა არ უნდა ენახა.

გორში მთელი დღის განმავლობაში სიმშვიდე იყო. ძეგლის დემონტაჟს ძირითადად კომუნისტური პარტიის მხარდამჭერები პაროტესტებდნენ და სწორედ მათი ინიციატივით ქალაქის მთავარ მოედანზე 6 საათისთვის აქციიც დაიგეგმა. თუმცა, დაბალობებით 7-ის ხუთ წუთზე ტრიტუართან შევებმი ჩაცმული ითხო ადამიანი გამოჩენდა, შემდეგ მათ კიდევ ორი დემონტრაციი შეემატა და ყველანი ერთად პროტესტის ნიშნად კვარცხლებებთან ჩამოსხდნენ. „არ ვიცი, რატომ არ შემოგვირთდნენ“, – ხელები გაბასავა შავ კაბში ჩაცმულმა სტალინის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, რომელსაც გულზე მისი სურათი ჰქონდა მიმაგრებული. „ისევ აქ უნდა დააბრუნონ, ის ჩემთვის ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს. სტალინი მარტო ბელადი კი არ იყო, არამედ ღმერთი! ყოველთვის, როცა გავივლიდი მისი ძეგლის წინ, ვეტვები გიმოდი, – სისო, შენს სულსა ვთხოვ, როდის შეგვაერთებ რუსეთთან“, – აცხადებდა კომუნისტური პარტიის წე-

# მთავარი თემა

ვრი მაყვალა შატაკიშვილი და ცხვირსახოცით ცრემლიან თვალებს იწმენდდა.

გორის ახალგაზრდობა ბელადის ძეგლის ჩამოხსნას გულგრილად შეხვდა. „ჩემი აზრით, კარგად მოიქცნენ, რომ წაიღვის, ქალაქის ცენტრში დიქტატორის სახეს რატომ უნდა ვუყურო ყოვლდღე“, – ამბობდა 23 წლის ანა გამგებელი. „თუკი მუზეუმში გადაიტანენ, არა მგონია, ვინმე წინააღმდეგი იყოს, უბრალოდ არ მესმის, რა საჭირო იყო ძეგლის ჩუმად ჩამოლება“, – „დამის რიტუალის“ მიზანს ვერაფრით ხსნიდა მეორე გოგონა.

სტალინს ქანდაკება გორში 1952 წელს, სიცოცხლეშივე დაუდგეს. სპეციალურად

ამ ძეგლისთვის ტერიტორია ერთი წლით ადრე მოასუფთავეს და დაანგრიეს მიმდებარე შენობები, მათ შორის – ეკლესიაც.

ძეგლის განადგურება ჯერ კიდევ 1961 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყიტა, რომა საბჭოთა კავშირში პიროვნების კულტის დაგმობის კამპანია დაწყო. იგივე სცადეს 1980-90-იან წლებში ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებმაც, თუმცა გორის მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, სტალინის ძეგლი მაშინ გადარჩა.

2008 წელს ძეგლის გადატანის იდეა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მომწიფდა. „სტალინის ჩამოვარცხლბეკების“

მოთხოვნით 2009 წლის აგვისტოში, გორის ცენტრში სტუდენტები გამოვიდნენ და ქანდაკებას საღებავი შეასხეს. საზოგადოებაში სტალინის კულტის საწინააღმდეგო განწყობის შექმნას მიზანით მართულად ცდილობდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი ლევან რამაშვილიც. მან სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ სპეციალური გვერდიც შექმნა, რომელშიც ძეგლის ჩამოვარცხლის 2000-მდე მომხრე გაერთიანდა. ხელისუფლების ნაცვლად, ანტისტალინისტურ კამპანიაში სწორედ ასეთი სანიციატივი ჯგუფები აქტივურობდნენ, მთავრობის წარმომადგენლები კი აცხადებდნენ, რომ გადაწყვეტილებას რეფერენცუმის შემდეგ მიიღებდნენ, რადგან ძეგლისთვის საბოლოო განაჩენი სწორედ ხალხს უნდა გამოეტანა.

თუმცა, სტალინის ძეგლის ჩამოხსნა, რასაც ხელისუფლება ტოტალიტარიზმის დანგრევის სიმბოლოდ აფასებდა, საზოგადოების ნანილისთვის მოჩვენებითი დემოკრატიულობის ნიშნად იქცა. ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე მაშინ აცხადებდა: „ისტორიაზე უარი არ უნდა ვთქვათ, ძეგლების ჩამოვარცხლება უფრო ჭკვიანური იქნება, თუკი სტალინიზმს ჩვენს გონიერაში გადავლასავთ. ეს კომუნისტური მიდგომაა, სწორედ კომუნისტები ცდილობდნენ იმის გაქობას, რაც არ მოსწონდათ.“

სტალინის ქანდაკებების უმეტესობა მსოფლიოში ან აიღეს, ან სახე უცვალეს. მაგალითად, 1956 წელს უნგრელმა რევოლუციონერებმა ბუდაპეშტში მისი ძეგლისგნ მხოლოდ ჩექმა დატოვეს. ზოგან კი პირიქით, სტალინს დამსახურებები ახლა დაუფასეს და, მაგალითად ვირვენის შტატში, ძეგლი მას სულ რამდენიმე დღის წინ, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის აღმართეს.

„არ შეიძლება ქვეყანაში ერთდროულად არსებობდეს ოკუპაციის მუზეუმი და იმ სალხის ძეგლები, რომელთა ინიციატივითაც საქართველოში საოკუპაციო არმია შემოვიდა“, – ასეთი იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკავილის კომენტარი სტალინის ძეგლის გადატანის შემდეგ. ქანდაკების დემონტაჟი შეფასდა, როგორც ტოტალიტარული წარსულის დასასრული. გორის მთავარ მოედანზე სტალინის ძეგლს მაღლე ახალი სიმბოლო ჩაანაცვლებს. □



გორის მთავარი მოედანი, 25 ივნისი, 2010



სტალინის ძეგლის დემონტაჟი, გორი, 25 ივნისი, 2010



## რადიო „ნაცობი“ გეპატიშვილი კლუბი „ნაცობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოდნა მუსიკა



# ბუნების ანი



მსოფლიო ჩემპიონატმა გუნდებზე დამაფიქრა. გახარებული ვიყავი, როდესაც აშშ-მ ალექსი  
მოუგონ. ჩემი ცხოვრების ნახევარი ამერიკის გარეთ გავატარე და „მაყურებლებიანი სპორტის“  
მიმართ ნაკლები ინტერესი მაქვს, ფეხბურთის მიმართ – ყველაზე ნაკლები. რატომ გვიზიდავს  
გუნდები?

## მარკ მალენი

ბევრი დაწერილა იმაზე, რომ ფეხბურთი ნაციონალიზმის დადებითი, უნივერსალი გამოხატულებაა: უკეთესია დატკურებული ფეხბურთის ყურებით, რომელსაც წესი და მსაჯები არეგულირებენ, ვიდრე ამ კუთხით სტადიონის გარეთ გამოხატო თავი.

რაც მანუხებს კი ისაა, რომ გუნდური მენტალობა ჩვენს ცხოვრებას ფილტრავს. 11 სეტემბრის ტერაქტის შემდეგ, 2001 წელს ამერიკში ერთანაბობის ძლიერი გრძნობა წარმოშვა, რომელმაც, ნანილობრივ ამერიკის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ნანილობრივ კი ოპორტუნისტული და აგრესიული პოლიტიკური ლიდერების მემკებით, გადაგვაწყვეტინა, რომ ნაცვლიყიყავით ომში ნებისმიერი ძალის თუ ადამიანის ნინააღმდეგ, ვინც ჩვენს ფიქტურობაში თავდამსხმელს შეცვლიდა. ჩვენ ამას სულელური სახელი დავარქვით – „ომი ტრონიზმთა“.

გუნდები საქართველოშიც ძალიან ძლიერია. მახსენდება ის დრო, როდესაც ჩემს ქართველ მეუღლესა და მე უმცროსი შეიღო გაგიჩინდა. ჩემი მეუღლის მეგობრები მოდიოდნენ მის სანახავად. ბავშვი რამდენიმე კვირის რომ შესრულდა, უკვე გვეკითხებოდნენ: ქართველია, თუ ამერიკელი? მახსოვს, რა უცნაური იყო ჩემთვის ეს იმპულსი – ჩვილი ბავშვის ამგვარი კატეგორიზაცია. სინამდვილეში, ეს იყო გუნდურის პრინციპი,

როდესაც პირველად ჩამოვედი საქართველოში, 1997 წლის დასაწყისში, ხალხი ბევრს საუბრიბდა ქართულ ეროვნულ იდეოლოგიაზე. თუ საქართველო დიადი ერი და სახელმწიფო, მას უნდოდა თავისი საკუთარი და არა სხვისი იდეოლოგია. ქართველი ყოველთვის ზემოდან უყურებდნენ იმ ენებს, რომლებსაც საკუთარი დამწერლობა არ გააჩნიათ და ქუჩაში ხეტიალი უწევთ

დამზერლობის მოსაქებნად, იმის ნაცვლად, რომ თავიდანვე მოჰყვეთ აუთენტური დამზერლობა. ერთი პერიოდი ზოგიერთებს იდეოლოგიის მიმართაც მსგავსი გრძნობები ჰქონდათ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს იდეოლოგია საუკეთესო იყო, ერგებოდა თუ არა რეალობას და ა.შ. ის უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი – ქართული.

ეს ყველაფერი დაკავშირებულია მეგობრობასთანაც. მეგობრობის და ლოიალურობის ჯაჭვები საქართველოში ძალიერი მტკიცეა. მეგობრებისგან ელიან, რომ ისინი არამეგობრებს მეგობრებს არჩევენ. რათემა უნდა, ამას ბნელი მხარეც აქვს და

## ■ ხანდახან ზედმეტი სიცხადე, რითაც გუნდები ხელმძღვანელობენ, რეალობას ზედმეტად ამარტივებს, იმაზე მეტად, ვიდრე მისი გამარტივება შეიძლება.

ბევრი ადამიანი ამის გამო ციხეში ზის. თუ მეგობრები გეხმარებიან სამსახურის მოძნაში, ჭკვიანური ხომ არ არის, ბევრი მეგობარი გყავდეს, ან ერთი და გავლენიანი, ვიდრე ისნავლო და ბევრითად იმუშავა? სწავლა და მუშაობა რას მოგვიტანს?

ამგვარი დამოკიდებულება პოლიტიკაშიც იჩენს თავს. ბოლო ხანებამდე ხელისუფლების წევრებს მკაცრად ჰქონდათ განსაზღვრული, თუ ვინ იყო მათ გუნდში. ისინი თვლიდნენ, რომ ვინც მათ გუნდში არ იყო, მონინაალმდეგეთა გუნდს მიეკუთვნებოდა. ერთი კრიტიკული მომენტი საკმარისი იყო, რომ ვინმე გუნდიდნ გაეგდოთ. ბოლო ხანებში ეს სიტუაცია, ჩემი აზრით, გამოსწორების გზაზეა და ამის მიზნზი ბოლო არჩევნებში ხელისუფლების წარმატებაა. მეორე მხრივ, არადემოკრა-

ტიული ოპოზიცია თვლის, რომ მთავრობის რომელიმე პოლიტიკის ან განცხადების მხარდამჭერი ერთი სიტყვაც კი უდირის ლალატს და წითელ ბარათს ოპოზიციური გუნდისგან.

ამას ვხედავ ბევრი ქართველის დამოკიდებულებაშიც ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმართ. ლოგიკა ასეთია: „მე ვარ ქართველი, ანუ ანტიკომუნისტი, ესე იგი ანტირუსა. რეგიანი იყო ანტიკომუნისტი და რესპუბლიკელი. ბუში ცეკვავდა აბანოთუბანში და მოვწოდით, და ისიც იყო რესპუბლიკელი. და ვინ არიან დემოკრატები? რას აკეთებენ საერთოდ: ირჩევენ ვილაც შავ კაცს, რომლის შესახებაც არავის არაფერი გაუგია?“ ისინი რაღაც დამაბნეველი არიან. არ იღებენ ბევრ სურათს მიშასთან ერთად. საკმარისია ჩემთვის: მე რესპუბლიკელების მხარეს ვარ! „მაღალჩინოსანი ყიდულობს მანქანის ნომერს წარწერით „მაკეინ“, რაც ფუფუნების საქონელია.

ამერიკის პოლიტიკა და მთავრობის წევრების, განსაკუთრებით მინისტრების, დამოკიდებულება მის მიმართ უფრო რთული საკითხია, ვიდრე სტადიონზე ფეხბურთით ტკბობა.

ჩვენ ვახდებით ჩვენი თავის ორგანიზებას გუნდებში, იქიდნ გამომდინარე, რომ ვართ ბიოლოგიური არსებები. გუნდები საქმეს ადგილად ასრულებენ, მაგრამ ხანდახან ზედმეტი სიცხადე, რითაც გუნდები ხელმძღვანელობენ, რეალობას ზედმეტად ამარტივებს, იმაზე მეტად, ვიდრე მისი გამარტივება შეიძლება.

უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს სხვაობა გუნდების ხასიათთან დაკავშირებით კარგად გვესმის. ■

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიმ

# ბიუროს მიმღები მოგორიშ ხალხური ბაზას

ინტერვიუ თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებელთან,  
კახა ბენდუქიძესთან

ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი და რეფორმატორთა ჯგუფის  
ხელმძღვანელი კახა ბენდუქიძე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ.

გასულ წელს პრეზიდენტმა საზოგადოებას „ეკონომიკური  
თავისუფლების აქტი“ წარუდგინა და დაპირდა, რომ 2011  
წლისთვის საქართველოში გადასახადები დაიკლებდა. ახალ-  
მა საგადასახადო კოდექსმა ეს პერსპექტივა 2013 წლისთვის  
გადაწია, გაიზარდა დაბეგვრის არეალიც. ემსრობით ამ გადა-  
წყვეტილებას?

ჩემი აზრით, გადასახადების ოდენობის საკითხი ძალიან  
პრინციპულია. არსებობს ორი მიზანი – ერთი ის, რომ  
ბიუჯეტს რაც შეიძლება მეტი ფული სჭირდება, და მეორე –  
მთავრობამ რაც შეიძლება მცირე თანხები უნდა განკარგოს.

2004 წლიდან რომ შევხედოთ, ჩვენთან ბიუჯეტი სამი  
ფაქტორის გამო იზრდებოდა. პირველი – შემცირდა გადა-  
სახადები, უფრო ლეგალური გახდა ბიზნესი და მეწარმეებმა  
გადახდა დაინტენსიურდა; მეორე – კორუფცია ადმინისტრირებამ ჩა-  
ანაცვლა და ფული კორუმპირებული ბიუროკრატის მაგივრად  
ბიუჯეტისან წავიდა, და მესამე – ინვესტიციებმა ლარის  
კურსი გაამყარა. თუ გვინდა, რომ ბიუჯეტი კიდევ უფრო გაი-  
ზარდოს, ახლა არსებობს ორი გზა – ან უნდა გავზარდოთ გა-  
დასახადები და ამ გზით მოსახლეობიდან უფრო მეტი ფული ავერიფით,  
ან გადასახადები არ გავზარდოთ და გაიზარდოს  
ეკონომიკა, რაც მომავალში კიდევ უფრო მეტ საგადასახადო  
შემოსავალს შეიტანს ბიუჯეტში.

**ამ ორი შესაძლო ვარიანტიდან თქვენ რომელს ანიჭებდით  
უპირატესობას?**

მე ვთვლი, რომ დღეს საკმარისად დიდი ბიუჯეტი გვაქენს.  
თუმცა, ყველა ქვეყნა სხვადასხვანაირად უდგება ამ საკითხს.

1960 წლის დასაწყისში სინგაპური იყო წუმპე, რომელიც  
ახლახან გათავისუფლად ბრიტანელების ჯარისგან. მათი  
წასელის შემდეგ მოსახლეობას დარჩა ყაზარმები და პატარა  
პორტი. სინგაპურის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ გადასახა-  
დები მაქსიმალურად მცირე ჰქონოდა.

60-იან წლებში მსოფლიო ბანკის მიერ გაკეთებული პროგ-  
ნოზის მიხედვით, სინგაპურს შეეძლო შრილანკას განვითა-  
რების დონისთვის მიეღწია. დღეს სინგაპური შრილანკაზე  
10-ჯერ უფრო შეძლებული ქვეყანაა. ეს არ ნიშნავს, რომ სინ-  
გაპურის მთავრობას შეცდომები არ დაუშვია, მაგრამ დაბალი  
გადასახადების ეფექტი შეცდომები გადაწინონა.

ამერიკასა და ევროპაში გადასახადები 45 წლის წინათ



ერთნაირი იყო. მაგრამ მერე ევროპაში შემოიღეს დამატები-  
თი ლირებულების გადასახადი. ვითომ დიდი არაფერი – ჯერ  
მცირე იყო, მაგრამ ნელ-ნელა გაიზარდა. დღეს საგადასახადო  
ტვირთი თითქმის ორჯერ უფრო მეტია ევროპაში, ვიდრე ამე-  
რიკაში. ამერიკაში დღგ არ შემოუღიათ. ამ ქვეყნის ეკონომიკა  
უფრო დინამიკურად იზრდება და ამერიკელები დღეს უფრო  
მდიდრები არიან. არ არსებობს ზუსტი პასუხი – დღევანდელი  
კვერცხი ჯობია, თუ ხვალინდელი ქათამი. თუ ძალიან გშია,  
დღევანდელი კვერცხია საჭირო, მაგრამ ხვალინდელი ქათამი  
უფრო მეტად ფასობს.

მოკლევადიანი ეფექტის მიღების მიზნით გადასახადების  
გაზრდის პოლიტიკას, ანუ დღევანდელი კვერცხის ჭამას,  
დაბალი ეკონომიკური ზრდა მოჰყვება.

**ბიუჯეტთან ერთად გაიზარდა სამინისტროების ხარჯებიც. თქვე-  
ნი აზრით, იყო ამის საჭიროება?**

ვთვლი, რომ ხარჯების გაზრდა სწორი არ იყო. ეს მოხდა იმიტომ, რომ ხელისუფლებას მოუეო ბიუროკრატიამ.

ბიუროკრატის შეცვლა შესაძლებელია, მოცილება – არა. თუმცა, შეცვლაც არაა მარტივი საქმე. მე ვთვლი, რომ ხელისუფლებას პოლიტიკურმა კრიზისმაც შეუშალა ხელი. გარკვეულნილად გაიმარჯვა დაყვავების იდეამ. ხშირად ასე ფიქრობენ – ბიუროკრატია რომ შევამციროთ, ეწყინება 100 კაცს. მე კი მეონია, რომ მთავარია, არ ეწყინოს 4 მილიონ ადამიანს. ერთი ზედმეტი ბიუროკრატი ნიშნავს მასთან მუშაობით გამწარებულ მინიმუმ 100 კაცს და 10 დაკარგულ სამუშაო ადგილს კერძო სექტორში.

როცა მინისტრად მუშაობა დავიწყე, ახალი თანამშრომლები თითქმის არ ამიყვანია, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს და საქართველოს დაწესებულებების თანამშრომლები სამჯერ შევამცირე. მოვიდა ერთი კარგი კაცი და მეტითხება, – რატომ აპირებთ ჩემს გაშვებას? დილით მოვდივარ, კაბინეტში ვიკეტები, ჩემი საქმე მაქს, ქრთამი არასდროს ამიღია, სამინისტროსთან კავშირი არ მაქს, მე ხომ არაფერს ვაკეთებო? უფითხარი, რომ სწორედ ამიტომ ვუშვებდი, მაგრამ ვერ გაიგო.

**მთავრობა ლიბერალური ეკონომიკური კურსიდან გადახვევას, როგორც წესი, ევროკავშირის რეკომენდაციებით ხსნის. თქვენი აზრით, რამდენად ობიექტურია ეს არგუმენტი?**

ჯერ არ ვართ ევროპის ნაწილი და სანამ სუვერენიტეტი გვაქს, ეს უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ. თუ ჩვენ ევროპის ნაწილი გვინდა ვიყოთ, მაშინ სანაცვლოდ, სარგებელიც უნდა ვახხოთ.

ნორვეგის ერთ-ერთ პრემიერ-მინისტრს ჰეიოთხეს, თუ რა წყობაა მის ქვეყანაში. მან უპასუხა: „ჩვენ გვაქს „ფაქსის დემოკრატია“ და ასე ახსნა: დადებული გვაქს ხელშეკრულება ევროკავშირთან, რომ ჩვენი კანონმდებლობა უნდა იყოს ჰარმონიზებული. ბრიტეშელიდან მოდის ფაქსი, რომ მიიღეს ახალი კანონი და ის ჩვენც უნდა მივიღოთ. გადაწყვეტილება სუვერენულ ქვეყანაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ფაქტზე.“

ჩვენ ჯერ არ გვაქს ამ „საფაქსო დემოკრატიის“ დანერგვის ვალდებულება. ჩვენი მუშაობა ევროკავშირთან უნდა იყოს მერკანტილური, ამ სიტყვის ყველაზე ცინიკური მნიშვნელობით.

კანონი ქვეყანას ისე უნდა მოერგოს, როგორც ადამიანს – საკუთარი ტანაცმელი. თუ კანონი იქნება გადმოწერილი, ის უძრავლიდ ვერ იმუშავებს. ჩვენ შეიძლება ნავიდეთ დათმობაზე, მაგრამ რაღაც უნდა მივიღოთ ამის სანაცვლოდ.

**შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი ევროკავშირის რეკომენდაციებს მოარგებ?**

საგადასახადო კოდექსი არ ყოფილა ევროკავშირთან დისკუსიის საგანი. ძირითადი მოტივი გადასახადის აკრეფის ადმინისტრირების წესების გამარტივება იყო. ამას დაემთხვე ბიუჯეტის დეფიციტიც და ახალი გადასახადების შემოღების იდეაც.

ეს ორი სხვადასხვა ცვლილება, ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ერთდროულად მოხდა. ამჯობინება მთლიანად ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება, სადაც ორივე ფაქტორი იქნებოდა გათვალისწინებული.

პოზიტიურია, რომ შემოდის ახალი მიდგომები, მაგალითად, როგორიცაა წინასწარი შეთანხმება. მენარმეს შეუძლია მიმართოს ფინანსთა სამინისტროს და მისგან მიიღოს ახსნა, რა გადასახადები უნდა გადაიხადოს და როგორ. ამ დოკუმენტს ექნება იურიდიული ძალა და საგადასახადო სამსახური ველარ დაჯარიმებს ბიზნესმენს იმის გამო, რაც წინასწარი შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული.

ასეთი გადაწყვეტილებები მიიღებს ნორმატიულ ხასიათს და ყველა მეწარმეზე ერთანირად გავრცელდება, რაც ასევე წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს რეფორმა, ცხადია.

ჩემი აზრით, მთავრობის დისკრიცია საგადასახადო კოდექსში უფრო მეტად უნდა შეიზღუდოს და დაკონკრეტდეს, მაგრამ ახალი მიდგომები მაინც პოზიტიურია.

## ირლვევა თუ არა ამ მიღებომით საგადასახადო თანასწორობა?

ზოგადად მე ვემხრობი ერთგვაროვან სისტემას, სადაც გადასახადი ყველასოფის ერთნაირია.

ჩემი აზრით, ის შედავათები, რომელიც დაწესებულია და ახლა უქმდება, თავიდან არ უნდა დაწესებულიყო, მაგრამ არ ვიცი, რამდენად სწორია მათი ახლა გაუქმება. ჩვენ გვყავს 120 000-ზე მეტი სტუდენტი, რომლებსაც უნდა აუქსნათ, თუ რატომ უნდა დაიხებრონ.

ჩვენ გვაქს კერძო და საჯარო უმაღლესი სასწავლებლები. მე ის გარემობა მანუებს, რომ შეიძლება საჯარო სექტორს ეს ფული უკან დაუბრუნონ, კერძოს კი, ცხადია, არ დაუბრუნდება. ეს დიდი უსინდისობა იქნება და არათანაბარი კონკურენცია შეიქმნება.

ერთი წლის წინათ პრეზიდენტმა საქართველოს „სინგაპურიზაცია“ დაისახა მიზნად. დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკის და ევროკავშირის გავლენის ფონზე, კვლავ ხედავთ ამის შესაძლებლობას?

კი, ჩვენ გვაქს ეს შანსი. ამას, ცხადია, ბევრი მოწინააღმდეგ ჰყავს შიგნით თუ გარეთ, მაგრამ სხვა გზა არ გვაქს. პრინციპული საკითხია. როცა თბილისიდან 40 კილომეტრში რუსული ტანკები დგას, თუ რეფორმები არ გავაგრძელეთ, აღარავინ აღარ ვიქებით.

მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით, ბოლო 50 წლის განმავლობაში ერთდროულად იმდენი რეფორმა, რამდენიც საქართველოში ჩატარდა, არც ერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა. ბევრი სფერო, მეტ-ნაკლები შეცდომებით, მაგრამ ძირითად ნარმატებულად შეცვალეთ. ამ რეფორმების გაგრძელებისთვის საჭიროა ძველი მიღწევების შენარჩუნება და ახლის განვითარება. რეფორმები არის ერთადერთი გზა, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება წარმატებული საქართველო შევქმნათ. ■

ესაუბრა ნინო გოგუა

რუსეთი-აშშ

# Всем привет! Я в Твиттере

თამარ კაკაბაძე

Всем привет! Я в Твиттере и это мое первое сообщение! – гэл რუსეთის პრეზიდენტის პირველი ორიგინალური პოსტია, რომელიც მან მიქრობლოგ Twitter-ზე საკუთარ გვერდზე დატოვა.

გასულ კვირას დმიტრი მედვედევის ვიზიტი აშშ-ში კალიფორნიიდან, სილიკონის ველის მონახულებით დაიწყო. უკვე არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც, კრემლი მოსკოვის მახლობლად – სკოლკოვოში ამერიკული სილიკონის ველის ანალიგის შექმნას პირებს. ეს იქნება განსაკუთრებული ეკონომიკური პირობების ზონა, სადაც მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კომპანიები იმუშავებენ.

კალიფორნიაში სტუმრობისას მედვედევი Apple-ის, Yandex-ის, Google-ის, Cisco Systems-ის ხელმძღვანელებს შეხვდა, Twitter-ზე საკუთარი გვერდი გაიხსნა, Apple-ის ხელმძღვანელისგან ახალი iPhone 4 მიიღო საჩუქრად, სიტყვით გამოვიდა სტენცორდის უნივერსიტეტში და ბარაკ ობამასთან ერთად Ray's Hell Burger-ის რესტორანში ჰაბბურგერი და შემწვარი კარტოფილი მიირთვა. „დიდი ხანია, არ მიჭამია ჰაბბურგერები. ვისაუზმებ ბარაკ ობამასთან“, – დაწერა მან Twitter-ზე.

აშშ-ში მედვედევს ხაზგასმულად პომპეური დახვედრა მოუწყეს. პოლიტიკური კომენტატორები ამბობენ, რომ „გადატვირთვის“ ღილაკი რეალურად ამუშავდა და დადგა ახალი ეპოქა ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებში.

თუმცა, ამერიკულ-რუსულ „გადატვირთვას“ ამ ეტაპზე მხოლოდ ერთადერთი საყრდენი აქვს – უპრეცედენტო დათმობები, რასაც კრემლი ბარაკ ობამასგან იღებს.

მედვედევის ვიზიტისას მთავარი აქცენტი ეკონომიკაზე გაკეთდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე ქვეყნას სურს, გამოვიდეს ურთიერთობათა იმ ჩიხიდან, რო-



დმიტრი მედვედევის და ბარაკ ობამას შეხვედრა, ვაშინგტონი, 24 ივნისი 2010

მელშიც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღმოჩნდა.

თუმცა, ავტორიტატულ რუსეთთან მეგობრობა, შესაძლოა, ობამას ძვირი დაუჯდეს, რადგან დღეს ამ ურთიერთობების ნორმაზება მხოლოდ მისი დათმობების ხარჯზე ხდება.

მედვედევის ბოლო ვიზიტის დროს რუსეთმა აშშ-სგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განევრიანებისა და სკოლკოვოს შექმნაში მხარდაჭერის პირობა მიიღო. ამერიკელები რუსებს უახლოეს ტექნოლოგიებსაც კი გაუზიარებენ.

კრემლი ბოლო დროს ძალზე განებივრებულია თეთრი სახლის მხრიდან დათმობებით. მანამდე აშშ-მ აღმოსავლეთეროპელი მოკავშირები გააკვირვა, როცა რუსეთის ნებას დაჲყვა და პოლონეთსა და ჩიეთში რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსებაზე უარი თქვა.

რუსეთის მიმართ დათმობად აღიქვეს რამდენიმე თვის წინ იმამას მიერ საქართველოსთან დაკავშირებით გააკეთებული განცხადებაც. ობამამ თქვა, რომ საქართველო აღარ იქნება დაბრკოლება რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებში.

მედვედევის აშშ-ი ვიზიტამდე ერთი დღით ადრე იმამას ადმინისტრაციაში

კრემლს კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთა – ტერორისტთა შავ სიაში შეიყვანა ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერი დოკუ უმაროვი. ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით დამაფიქრებელია იმ ფონზე, როცა ოფიციალური ვაშინგტონი, კარგა ხანია, არაფერს ამბობს რუსეთში ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევის ფაქტურებზე.

რა მიიღო იმამამ ამ დათმობების სანაცვლოდ? როგორც ექსპერტები ამბობენ, მხოლოდ უმნიშვნელო შემცვედრი ნაბიჯები: მოსკოვი აღარ მოითხოვს შიშილისა და დაშლის პირას მდგარი ყირგიზეთიდან ამერიკული ავიაბაზის გაყვანას და ასევე ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ნინააღმდეგ ძალზე ზომიერ სანქციებს დაუჭერს მხარს.

კრემლი ცდილობს, მაქსიმუმი დასტყუოს თეთრ სახლს, რომელიც თავის მხრივ მზადა, მაქსიმუმი გასცეს.

ზედმეტი დათმობებით იმამამ, შესაძლოა, კიდევ უფრო გააფუქსოს მოსკოვთან ურთიერთობები. თეთრ სახლს ავინყდება, რომ რუსეთის ხელისუფლება აშშ-სთან კონფრონტაციის ნინააღმდეგი სულაც არ არის. პრიქონ, ამერიკა – როგორც მთავარი გარე მტერი – რუსული ნაციონალური იდეის ნაილია. ■

ჩირვათი

# ჩაიხოვის ახტი

რამზან კადიროვს არ უყვარს თანამედროვე ხელოვნება. რესპუბლიკაში, სადაც სულიერ-ზნეობრივი და პატრიოტული აღზრდა მიმდინარეობს, როკერებს, რეპერებს, აბსტრაქციონისტებსა და მოდერნისტებს არ აჭაჭანებენ.

ლაურა ჰასანოვა



ჩეჩენეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ნაციონალური ცეკვის შესრულებისას, გრიშნო, 2010

რაც დრო გადის, ჩეჩენეთში სულ უფრო ორლევევა ადამიანის უფლებები. კადიროვი, რომელსაც სახლში კატის ნაცელად ვეფხვი ჰყავს, რესპუბლიკას ველური მე-თოდებით მართავს. ადამიანის უფლებათა დამცველები მას ადამიანთა გატაცებებში, წამებასა და მკვლელობებში ადანაშაულებენ. მისი ტრანსა მათაც შეეხო, ვისაც არც ბოვიკებთან, არც პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვთ – სელოვნ ხალხს.

კადიროვი რელიგიურ იჯაში, ჩეჩენური ტრადიციებით გაიზარდა. დღეს

იგი ჩეჩენეთში არათუ მოუწოდებს ხალხს ისლამის კანონებით იცხოვრონ, არამედ სახელმწიფო ამ ტრადიციებს უძრალოდ აკანონებს და სავალდებულოს ხდის.

„დემოკრატია, რომელსაც დღეს ევროპა თავს გვახვევს, რუსეთს არ სჭირდება. უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა ... საკუთარი ფასულობები არ დაკარგონ“, – განაცხადა ჩეჩენეთის პრეზიდენტმა 17 ივნისს „რუსეთის ახალი ამბების სამსახურთან“ ინტერვიუში.

2008 წლიდან, როცა ჩეჩენეთში მეტ-ნაკლები სტაბილურობა დამყარდა, კადიროვი კულტურული ტერიტორია იქცევს თავს.

მაგალითად, რესპუბლიკაში კონცერტის გამართვის უფლება არ აქვთ როკ და რეპ მუსიკის ჩეჩენ შემსრულებლებს. ხოლო თანამედროვე ცეკვები, ვთქვათ, პიპ-ჰომი, აქ ჩეჩენური ტრადიციების ღალატად მიიჩნევა.

„ახლა კონცერტებს მხოლოდ ბავშვები კი არა, ხანში შესული ადამიანებიც სია-

მოვნებით დაესწრებიან“, – ამაყად აცხა-დებენ კადიროვის მთავრობის წევრები.

იმისთვის, რომ ჩეჩენეთში სიმღერის უფლება მოიპოვო, საგანგებო ფეის-კონტროლი უნდა გაიარო. უკვე ორი წელია, ჩეჩენი მომღერლები მხოლოდ მყაცრი, ტრადიციული სამოსით გამოიდინ. ქალები ვალდებული არიან, სცენაზე თავდაბურულები იყვნენ.

სიმღერა მხოლოდ ჩეჩენურ ენაზე შეიძლება. რუსულად მხოლოდ მაშინ მღერიან, თუ მოსკოვიდან დელეგაცია ჩადის.

თავიდან ეს აკრძალვები სახელმწიფო ფილარმონიის ხელმძღვანელობამ შემოიღო, შემდეგ კულტურის სამინისტრომაც აიტაცა. კულმინაცია იყო ჩეჩენეთის პრეზიდენტის ტელევიზიით გამოსვლა, რადესაც მან მომღერლებს მიუთითა, რა უნდა ჩაიცვან და როგორი სიმღერები იმღერონ.

ეს წესები ძალიან აწესებს ახალგაზრდებს, რომებიც, მართალია, საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოხატვას ვერ ბედავენ, მაგრამ არ უშვებენ მცირე შინსაც კი, რომ რესპუბლიკა დატოვონ.

ბევრი ახალგაზრდა, რომელიც ადრე როკს მღეროდა, ან თანამედროვე არტი ანტერესებზე, იძულებული გახდა, სხვა საქმე მოექება. ზოგმა ამბიციები დათმოდა ახალ ტენდენციებს მოერგო.

დასავლურ სტილს რატომ არ იშორებ?

როგორც კადიროვი ამბობს, დღეს სცენაზე „მანჭვა“ არ არის მიღებული. აბდუსალმიოვი და მისი მეგობრები, უკვე ორი წელია, არსად ჩანან.

კადიროვის წესები მარტო მომღერლებზე როდი ვრცელდება. იგივე კრიტიკულმები მოქმედებს, მაგალითად, არქიტექტორებზეც. ყველა სამშენებლო პროექტს პირადად კადიროვი ამტკიცებს.

როცა კადიროვს მომავალი თანამედროვე სასტუმროს – „კავკაზის“ მაკეტი მოუტანეს, მან ჰერში ხელით ნახევრად მრგვალი სახურავი განასახიერა: „ამ სასტუმროს ზემოდან გუმბათი უნდა დაედგას, რომ შენობას უფრო ისლამური იერი მიეცეს“, – უთხრა პრეზიდენტმა არქიტექტორს.

კადიროვის გემოვნებაში არ ჩაჯდა ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის შენობასთან წლების წინ დამონტაჟული უზარმაზარი შადრევანი, რომელიც თეთრ და ცისფერ ფერებში იყო გადაწყვეტილი.

ეს შადრევანი ყაბარდოელი არქიტექტორის პროექტით აშენდა და ძალიან დიდებას იგბოდა. ქვის უზარმაზარი ლოდი ნახევარი წელონადი სხნარით მუშავდებოდა და ირანდებოდა, მყინვარის ფორმა რომ მიეღო. თანამედროვე

„რაღაც გაურკვეველი ფორმის და შინაარსის სუსლატურებს და ნახატებს არ ჯობია ჩვენი ლამაზი ბუნება ვხატოთ?“

– თქვა ერთხელ რამზან კადიროვმა ტელეეთერით.

ამ სიტყვების შემდეგ ერთ-ერთი ჩეჩენი მხატვარი გოგონასთვის, რომელსაც თავისი ვინაობის გამხელა არ სურს, ყველა გამოფენის კარი დაიკეტა. „ჩემი სტილია კუბიზმი, მაგრამ ნახატების გამოფენას მიკრძალავენ. თავად მიკეთავენ რა დავხატო – მაგალითად, ახალი მეჩეთი (ეს მეჩეთი რამზან კადიროვმა თავისი მამის – ახმადის პატივსაცემად ააშენა)“, – ამბობს მხატვარი.

ჩეჩენეთში მოსკოვის „ფაბრიკა ზეიოზდის“ ანალოგიური პროექტი დაიწყეს, სადაც ახალტედა მომღერლები ერთმანეთს ეჯიბრებიან. აქ მხოლოდ ჩეჩენურ ენაზე მღერიან. მონაწილე გოგონებს ერთნაირი კაბები აცვიათ და თავსაფრები ახურავთ.

ამ ცვლილებების შემხედვარე ყველა თანხმდება, რომ რამზან კადიროვმა ჩეჩენეთი რუსული სამართლებრივი და კულტურული სფეროდან გაიყვანა. შეუძლებელია, კრემლი ამას ვერ ხედავდეს. ცხადია, ყველამ იცის, რა რესპუბლიკას აშენებს კადიროვი, მაგრამ მოსკოვში ამაზე თვალს ხუჭავენ, იმიტომ რომ მხო-

## ■ რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვით“ ალტყინებული აშშ, მართალია, ჩეჩენ საველე მეთაურს დოკუ უმაროვს საერთაშორისო ტერორისტისად აცხადებს, მაგრამ ამავე დულგრილად ხუჭავს თვალს ტირანზე, რომელიც ჩეჩენეთის მოქმედი პრეზიდენტია.

დღეს ჩეჩენეთში მოდურია რამზან კადიროვზე, მის დედაზე, მამასა და ვაჟზე სიმღერების შექმნა.

მომღერალი აღი აბდუსალმიოვი, რომელიც ჩეჩენეთში ერთ დროს ცნობილი როკ-მომღერალი იყო, თავისებური ვარცხნილობითა და ჩაცმის მანერით, ბოლოს ტელევიზიით 2009 წელს, გადაცემა „გულწრფელ საუბარში“ გამოჩენდა. გადაცემში მოაწილე ერთ-ერთმა სტუმარმა მას აგრესიულად შეუტია: „რატომ არ ასრულებ ხალხურ სიმღერებს და ამ

სტილით შესრულებული ეს შადრევანი ირგვლივ მდგარი ნაცრისფერი ნაგბობებისგან მევეთად გამოირჩეოდა და გროზნოელებს მის ფონზე ფოტოების გადაღება უყვარდათ.

ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის მერია შადრევნის აღების ბრძანება გასცა, რადგან, მისი თქმით, რესპუბლიკაში ტრადიციული კოშკებით, არწივებით და ბუნებრივი მთის ქვებით დამშვენებული შადრევნები უნდა დაიდგას. ეს შადრევანიც გასული წლის ბოლოს გააქრეს.

ლოდ კადიროვია ის ადამიანი, ვისაც დღეს ჩეჩენეთში მოჩვენებითი, ფასადური სტაბილურობის შენარჩუნება შეუძლია. ცხადია, ეს ყველაფერი იციან დასავლეთშიც, თუმცა რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვით“ ალტყინებული აშშ, მართალია, ჩეჩენ სეპარაციისთა ლიდერს დოკუ უმაროვს საერთაშორისო ტერორისტისად აცხადებს, მაგრამ ამავე დროს გულგრილად ხუჭავს თვალს ტირანზე, რომელიც ჩეჩენეთის მოქმედი პრეზიდენტია. □

საბჭოთა ცარსული უკრაინაში

# სტალინი უკრაინაში

უკრაინის ინდუსტრიულ ქალაქში საბჭოთა ბელადის ძეგლი აღმართეს. აზრთა სხვადასხვაობა, რაც სტალინის ქანდაკების ინაუგურაციას მოჰყვა, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს განსხვავებას უკრაინის ნაციონალისტურ დასავლეთსა და პრომუსულ აღმოსავლეთს შორის.

**მეთოუ ქოლინი, ზაპოროჟიე, უკრაინა**

შუახინის მამაკაცი თავისი გმირის მონუმენტისკენ კიბებს მიუყვება, პიედესტალთან თეთრი ყვავილების თაიგულს დებს, პატივისცემის წიშნად, თავს ხრის და ერთხანს ასე მდუმარედ ყოვნდება იმ კაცის ძეგლის წინაშე, რომელსაც უამრავი ადამიანი უწოდებს ისტორიაში ყველაზე სასტიკ დიქტატორს.

სტალინის მეტალის ფიგურა, ბელადის ცნობილი ჩიბუხით, პირველი ძეგლია, რომელიც უკრაინაში ათწლეულების განმავლობაში აღმართეს. შეიძლება, ქანდაკება ზომით მცირე იყოს, მაგრამ იმ ფონზე, რომ საკუთარ ისტორიაზე უკრაინაში ისედაც ბევრს დავობენ, სტალინის ძეგლი პოლემიკის მიზეზი მაინც გახდა.

თუმცა, გახარებული იყო კაცი, რომელმაც ბელადს თეთრი თაიგული უსახსოვრა. „სტალინმა გრანდიოზული იმპერია ააშენა და საბჭოთა კავშირს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება მოუპოვა, – ამტკიცებდა ის, – ჩემთვის სტალინი ყველა დროისა და ერის უდიდესი ფიგურაა, – თქვა მან, – მსოფლიო ისტორიაში ის პირველი კაცია. ზოგი ამბობს, – სტალინს შეცდომაც ბევრი ჰქონდა, – მაგრამ არა, სტალინს მთელი ცხოვრების მანძილზე არც ერთი შეცდომა არ დაუშვია. ყოველი მისი გადაწყვეტილება უზადოიყო“.

შემდეგ მან ამაყად გვაჩვენა საკუთარი პარტბილეთი, რომელზეც სახელის გრაფაში ეწერა: „გეორგი სტალინი“. ბელადის სიყვარულით ამ



სტალინის ქანდაკება ზაპოროჟიეში, უკრაინა

უკრაინელს გვარი ჰექონდა გადაკეთებული.

საქართველოში სტალინის ძეგლის აღდების შესახებ დებატები დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ უკრაინაში საბჭოთა დიქტატორის ძეგლის აღმართვაში კომუნისტებისთვის ოფიციალურ სტრუქტურებს ხელი არ შეუშლიათ.

ინაუგურაციის ცერემონიალი უკრაინის ინდუსტრიულ ქალაქ ზაპოროჟიეში მაისში გაიმართა. კომუნისტური პარტიის ასობით მხარდამჭერი საზეიმოდ აფრიალებდა წითელ ალმებს, ისმენდ-

პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს ჩათვლით, სჯერა, რომ მასობრივი შიმშილობა საბჭოთა მმართველობის მიერ ოფიციალურად სანქცირებული გენოციდი იყო. თუმცა, ქვეყნის ახალმა, პორორუსულმა ლიდერმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ მართალია, სტალინის „ტოტალიტარული რეჟიმია“ შიმშილობაზე პასუხისმგებელი, მაგრამ ეს იყო უბრალოდ ტრაგედია, რომელმაც რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკა დააზარალა და ამიტომ გენოციდის კლასიფიკაცია ამ შემთხვევას არ უნდა

**„უკრაინელმა კომუნისტებმა სტალინის ქანდაკების აღმართვა მას შემდეგ გაბედეს, რაც უკრაინას სათავეში პრორუსული მთავრობა ჩაუდგა. კრემლმა შეიძლება იანუკოვიჩის მთავრობა აიძულოს, ოკუპაციის მუზეუმის დახურვის ბრძანება გაიცეს“.**

ნებ საბჭოთა პიმინა და სტალინის გამოსვლების ჩანაწერებს.

„ის უბადლო იყო, – განაცხადა ზაპოროჟიეს კომუნისტური პარტიის წევრმა ალექსანდრ ზუბჩევსკიმ, – ჩამორჩენილ ქვეყანას ჩაუდგა სათავეში და როცა მიღიოდა, უკვე ბირთვული იარაღი გვქონდა“.

თუმცა, ზაპოროჟიეს დანარჩენი მოსახლეობა სტალინის ძეგლის აღმართვამ საშინალად გააღიზიანა. „თავისუფლების“ პარტიის აქტივისტებმა, ვიტალი პოდლობნიკოვმა ძეგლის ინაუგურაციას კრიმინალი უწოდა. „ეს იგივეა, ისრაელში ანდა გერმანიაში პიტლერის ქანდაკება რომ აღმართო. სტალინის რეჟიმს ჩემი ოჯახის ექვსი წევრი შეენირა“, – თქვა მან.

1930-იან წლებში მასობრივ შიმშილობას, რომელიც უკრაინაში „გოლოფომორის“ სახელითაა ცნობილი, რამდენიმე მილიონი ადამიანი ემსხვერპლა. შიმშილობის გამომწვევი მიზეზი სტალინის პოლიტიკა იყო სოფლის მეურნეობის სფეროში. ეს ისტორიული ფაქტი ის საკითხია, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს განსხვავებას უკრაინის ნაციონალისტურ დასავლეთსა და პრორუსულ აღმოსავლეთს შორის. ზოგიერთ უკრაინელს, ყოფილი

მიეცეს.

ულადიმირ ტკაჩუკი რვა წლის იყო, როცა 1932 წლის შიმშილობა დაიწყო. ნათესავები თვალწინ უკვდებოდა და დღეს ამბობს, რომ ამ საშინელ მოგონებებს სტალინსა და საბჭოთა რეჟიმს არასდროს აპატიებს. ყოველ დღისა მის სოფელს ცხენებშებული ფურგონი დაივლიდა ხოლმე, ორლობები გვამებისგან რომ გაეწმინდა და საჭმლის ძიებაში გარდაცვლილი უკრაინელების ცხედრები საძმო სასაფლაოზე გადაეტანა.

„არ არსებობდა ოჯახი, რომელმაც იმ პერიოდში ერთი წევრი მაინც არ დაკარგა“, – ამბობს ტკაჩუკი. მაგრამ კიდევ უფრო შემზარვი იყო უჭმელობისგან შეშლილი ადამიანების ცქერა, რომლებიც კაციფამიებად ქცეულიყვნენ. ტკაჩუკს ახსოვს ასეთი ფაქტიც, თუ როგორ შევიდა ერთი პატარა ბიჭი მეზობლის სახლში, უკან კი ცოცხალი აღარ გამოსულა.

„ახლოს რომ მივედით, ვნახეთ, რომ სახლის კედლები და ჭერი სისხლით იყო მოთხვრილი, – ჰყვება ტკაჩუკი, – ვნახეთ, ნაჭრებად აკეპილი ბიჭის სსულიც, რომელიც იმ ოჯახს ქილუში ჰექონდა შენახული. ერთ-ერთი ქილა უკვე გაეხსნათ და მოეხარშათ კიდეც.

ქალი იყო ის, ვინც ბიჭი მოხარშა და ჭამა“.

უკრაინის დედაქალაქში, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში, ტკაჩუკისა და მისი თანამემამულეების მსგავსი მოგონებები ინახება. მუზეუმს უძღვება ისტორიკოსი რომან კრუციკი, რომელმაც უკრაინაში საბჭოთა რეჟიმის დანაშაულებათა კვლევას წლები შეალია. ის დღეს ოკუპაციის მუზეუმს საკუთარი პენსიონ აფინანსებს, რადგან შეგნებულად ამბობს უარს ყოველგვარ სამთავრობო სუბსიდიაზე. მიუხედავად

იმისა, რომ ეს დაწესებულება გაცილებით პატარაა, ვიდრე თბილისის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, რომლის კოლექციაშიც რეპრესიების დროს შებლებაზე მოვალეობის თავის ქალებიც შედის, ამ ადგილას მაინც შთამბეჭდავად ცოცხლდება კომუნისტური ეპოქის რეპრესიების შემზარავი ქრონიკები.

კრუციკი დარწმუნებულია, რომ უკრაინელმა კომუნისტებმა სტალინის ქანდაკების აღმართვა მას შემდეგ გაბედეს, რაც უკრაინას სათავეში პრორუსული მთავრობა ჩაუდგა. ის შიმშილობას, რომ კრემლმა შეიძლება იანუკოვიჩის მთავრობა აიძულოს, მისი მუზეუმის დახურვის ბრძანება გაიცეს. თუმცა, მუზეუმის მმართველი იმაშიც დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ბელადის რეპუტაციის აღდგენის ყოველი მცდელობა უკრაინაში მარცხით დასრულდება.

„როგორც უნდა სცადონ წარსულის მიჩქმალვა, სიმართლე მაინც იზეიმებს, – ამბობს ის, – სტალინის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ვერასდროს დავივიწყებთ. მუდამ გვემახსოვრება ის მილიონობით ადამიანიც, რომელიც მის მმართველობას შეენირებ, განსაკუთრებით კი – უკრაინაში“. █

აფხაზეთი

## აფხაზები ჩასრი ფიცე ას თმობინ

10 მილიარდი რუბლი ის თემაა, სადაც აფხაზებმა რუსეთთან არ დათმეს.

ინალ ხაშიგი, სოხუმი



სერგეი ბალაფში

აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბალაფში მოსახლეობას სენსაციურ დაპირებას აძლევს. მისი თქმით, ძალიან მაღლე იგი რესპუბლიკაში კორუფციას დაამარცხებს.

აფხაზეთში, სადაც კორუფცია ისე ყვავის, როგორც ვარდისფერი ოლეანდრი გაზაფხულზე, ბალაფშის დანაპირების ცოტა ვიწმეს სჯერა.

„სახელმწიფო ჩინოვნიკების მხრიდან ფულის გამოძალვის ნებისმიერ ფაქტთან დაკავშირებით მაშინვე დარეკეთ პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის მისალებში. არ არის აუცილებელი ვინაობის დასახელება. ნებისმიერ ზარზე მაშინვე მოვახდებოთ რეაგირებას“, – განაცხადა აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა ტელევიზიით.

მან ასევე აღნიშნა, რომ ამჟამად მოწმდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პრივატიზაციის ფონდი, მცირე და საჭუალო პიზნესის განვითარებისთვის სპეციალური კრედიტების გაცემის სანცვლოდ, მოსახლეობისგან ქრთამს იღებდა.

„შეიქმნება ეფექტური კონტროლის სისტემა, რათა სახელმწიფოს მიერ ბიზნესის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები მიზნობრივად დაიხარჯოს“, – თქვა პრეზიდენტმა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეს გახსლდათ ბალაფშის მეორე განცხადება, სადაც იგი კორუფციასთან პრძოლაზე საუბრობდა. არადა, წინა წლებში ამ პრობლემის არსებობას ხელისუფლება ჰიპოთეტურ დონეზეც კი არ აღიარებდა.

რა არის ამ უეცარი გამოფხილების მიზეზი?

აფხაზ ჩინოვნიკებს ქრთამის აღება ერთი თვის წინ კი არ უსწავლიათ. ამ პრაქტიკას ისინი წინა წლებშიც აქტიურად მიმართავდნენ და საკუთარ ფინანსურ კეთილდღეობას იქმნიდნენ. თანაც „სამუშაო“ პირობები იდეალური იყო – არავითარი რისკი. მეზობელ რუსეთში, რომელიც ასევე ჩაფლულია კორუფციაში, ასეა თუ ისე, ზოგჯერ შეიძლება ვიწმე დაიჭირონ, პატიმრობის რეალური

ვადა მიუსაჯონ, მოპარული ქონება ჩამოართვან. აფხაზეთში არასოდეს არაფერი მსგავსი არ მომხდარა.

ყველაზე დიდი, რისაც ხელმრუდ ჩინოვნის უნდა ემინოდეს, სამსახურიდან დათხოვნაა. და სასჯელის ეს „უმაღლესი ზომაც“ მხოლოდ ძალზე განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენდოდა.

ცალი ხელის თითებია საკამარისი იმ ჩინოვნიკების ჩამოსათვლელად, რომლებსაც არ გაუმართლათ და სამოვარს მოსწევიტეს. ალბათ ბალაზში მანამდეც საქმის კურსში იყო თავისი ხელვეითების სისუსტეების თაობაზე (ის ხმე არც მეფე-ბატონია და არც ამხანაგი სტალინი, ადგილობრივ დარღვევებზე რომ არაფერი იცოდეს), მაგრამ ამ პროცესისთვის ხელის შესაძლელად არავთარ ბალისმევას არ იყენებდა. ალბათ, აცნობიერებდა იმასაც, რომ ყველა მნიშვნელოვან სფეროში სერიოზული რეფორმების გარეშე, სიტუაციის კარიბიალურად შეცვლა შეუძლებელია.

ამ რეფორმებისთვის კი ბალაზში მზად არასოდეს ყოვლილა. მიუხედავად მისი ბოლო თვის რიტორიკისა, რევოლუციური ცელი-ლებებისთვის მზადყოფნის ნიშნები არც ახლა ეტყობა.

ბალაზში იცის, რომ ეს სარისკო თამშენა. თუ კორუფციასთან ბრძოლას იგი მართლაც დააპირებს, მაშინ გარდაუვლად მოუწვეს, დაუპირისპირდეს უსინდისოდ გამდიდრებულ, თითქოს საფუარით გაბერილ ბიუროკრატიულ აპარატს; თანც, წარმატების ყოველგვარი გარანტიის გარეშე.

არადა, ბალაზში რევოლუციონერი პოლიტიკოსი სრულიად არ არის. მისი ლოზუნგია სტაბილური განვითარება. გარდა ამისა, ის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე უკვე ველარ იყრის კერძეს.

ასე რომ, რა აზრი აქვს სახითვათო კამპანიაში ჩაბამა? არამარტო ხელისუფლების კრიტიკოსებმა, თავად ხელისუფლებამაც მშვენივრად იცის, რომ კორუფციასთან ბრძოლაში მისი მაქსიმუმი დღეს წილში ტელეფონების ამუშავებაა. ან ახალს რას იტყვის ანონიმური ზარის ავტორი? ისეთს ვერაფერს, რაც სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში არ იციან.

ბალაზშის ინიციატივით დაწყებული კორუფციასთან „ბრძოლის“ სათავეები უფრო საგარეო ფაქტორში უნდა ვექმდოთ. ნახევარ

წელინადზე მეტია, რესპუბლიკის ხელისუფლება დაძაბულ მოლაპარაკებებს ანარმოებს კრემლთან, იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა გააკონტროლოს რუსეთიდან აფხაზეთში შემოსული ფინანსური დახმარება.

ლაპარაკია საკამაოდ დიდ ფულზე. რუსეთმა ვალდებულება აიღო, უახლოესი სამინისტროს მანძილზე აფხაზეთს 10 მილიარდი რუბლი (600 მილიონი ლარი) გამოუყოს. მოსკოვის სურვილი იყო, რეგიონული განვითარების სამინისტროს ცალკე დირექტივია შექმნა და შემდეგ ამ დირექტივას პირადად გაეკონტროლობინა აფხაზეთში გაგზავნილი თანხების სარვევა.

ბუნებრივია, ეს გეგმა აფხაზეთში ძალიან არ მოეწონათ. ჯერ ერთი, ეს იქნებოდა პირდაპირი და ყველაზე მოკლე გზა გარეშე ქვეყნის მიერ აფხაზეთის სრულად მართვისა; და მეორეც – აფხაზურ ბიუროკრატიას, უკვე დიდი ხანია, დალაგებული აქსა გვმები იმის თაობაზე, როგორ აითვისოს ასეთი სოლიდური დახმარება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნაციონალური ინტერესები არანარია არ ენინალმდეგბა პირადულს.

საბოლოოდ, ქვეყნის შეგნით საყოველთაო მსარდაჭერით გათამამებულმა და პატრიოტული მოტივაციით ზურგგამზეგრებულმა აფხაზმა ჩინოვნიკებმა, რომლებიც მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ, კრემლს გააფთორებული წინააღმდეგობა გაუნიეს: ბოლო ორი წელია, მათ ასეთი სიმტკიცე არ გამოუვლინათ.

რუსეთის მხრიდან აფხაზეთის სახელმწიფოებრიბის აღარების შემდეგ, მადლიერების ნიშნად, იფიციალურმა სოხუმმა ბევრ ძალან მნიშვნელოვან საკითხში დაუთმო მოსკოვს. მათ შორის – საზღვრის ერთობლივი დაცვის, სამშედვრო თანამშრომლობის საკითხებში, რაც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს აზარალებდა.

ყველაზე პრინციპული სოხუმი მაშინ აღმოჩნდა, როცა საქმე ფულის ათვისებასა და კონტროლს შეეხო. ამ საქმეში კრემლთან შეთანხმება აფხაზეთმა არ ისურვა. როგორც იტყვიან, – „ცელი ქვას მოხვდა“. პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბაშ თავის ბოლო პრესკონფერენციაზე ღიად განაცხადა ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიციის შესახებ.

„გათვალისწინებული იყო რეგიონული

განვითარების სამინისტროსთან არსებული რუსული დირექტივის ჩამოყალიბება, რომელსაც ფაქტობრივად უნდა ემართა შემოსული ფულადი სახსრები. ჩვენ ამას კატეგორიულად ვერინალმდეგებოდით, რადგან ვთქვით, რომ ჩვენ რუსეთის რეგიონი არ ვართ. რუსეთის ფედერაციის რეგიონული განვითარების სამინისტრო ჩვენ ნაცვლად არ უნდა წყვეტდეს, რა და როგორ დახვარჯოთ. გვევას მთავრობა, რომელიც მზადაა თანამშრომლობისთვის. მაგრამ თავად გადავწყვეტთ, სად და როგორ მივმართოთ ეს სახსრები და როგორ ვაკონტროლოთ. ვნახეთ, თუ როგორიც უთანხმიება გამოიწვია სამხრეთ ისეთში მსგავსი დირექტივის მიერ ანალოგოური პროექტების განხორციელებამ, და ასეთი შედეგი სრულიად არ ვეჭირდება. არ გვინდა, იგივე გავიმეოროთ. ჩვენ საუთარი მიდგომა გვაქვს. საკითხი ისე გადაწყდება, როგორც ჩვენ ვთავაზობდით. ფული გამოგზავნინ, და ამ პროექტებს თავად მივხედავთ“, – განაცხადა მთავრობის ხელმძღვანელმა.

თუმცა, სამხრეთოსური პრეცედენტი მხოლოდ სოხუმისთვის კი არა, კრემლის-თვისაც მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. მართალია, კოვითით რუსული დახმარების მითვისებაში რეგიონული განვითარების სამინისტროს რეზიდენტებს ადანაშაულებს, მაგრამ ისინი თავის მხრივ მიავე დანაშაულში სხორცე კოკითისა და მის გარემოცვას სდებენ ბრალს.

სავარაუდოდ, ისტორია განმეორდება აფხაზეთშიც. მოსკოვი შეეცდება, ცხინვალის მსგავსად, სოხუმის შედა საქმებშიც ჩაერიოს. მისი ოფიციალური არგუმენტი იგივე იქნება, რაც სამხრეთ ისეთშია – რუსეთისგან მიღებული დახმარების არამიზნობრივად ხარჯვა.


ალბათ სწორედ რუსული ფულის მოლოდინს უკავშირდება აფხაზეთის ხელისუფლების მხრიდან კორუფციასთან ბრძოლის უკცარი სურვილი. ■

 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**  
სამხრეთი ქავებისამართი

სტატია მომზადებულია ჰაინრიჩ ბიონის ბიოლიც ფონდის მხრიდან ფაქტორით გამოიყენებული შესრულებების დამოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჩ ბიონის შესრულებებს.

## უკრნალისტური გამოძიება

საქართველოს ცენტრული დაცვის მინისტრი



სარკოტიკობის ტრანზიტი

# საქართველოს ნახაობის ჩასახილი

საქართველოში ყოველწლიურად **2,4** ტონა ჰეროინი იყიდება,

საიდანაც ნარკორეალიზატორები მინიმუმ **700**-მილიონიან მოგებას ნახულობენ.

2 წლის მანძილზე კი პოლიციამ მხოლოდ **18** კილოგრამი ჰეროინი ამოილო.

ნანა ნასყიდაშვილი, სტუდია „მონიტორი“. წერილი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებთან ბრძოლის ბიუროს მონაცემებით, საქართველოში 240 ათასიანი მოგება ნარკომანი, ათასიდან 350 ათასამდე ნარკომანია,

ხოლო სომხეთში – 160 ათასი, აზერბაიჯანში – 20 ათასი, ყაზახეთში კი – 25 ათასი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი მინისტრებს, რომ საქარ-

თველოს შემთხვევაში, ციფრი ცოტა გაზიადებულია: „ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, იმიტომ, რომ ნარკომანები საჯაროდ არ ამბობენ ნარკომანი ვარო“, – აბბობს შოთა უტიაშვილი, რომლის ვარაუდით,

საქართველოში ნარკომანთა რაოდენობა 250 ათასის ფარგლებშია.

## საქართველო – ჰეროინის

### სატანაზიტი ჩვეყანა

2009 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ ავღანური ჰეროინის მსოფლიოს მასშტაბით გავრცელების საკითხზე მოხსენება გაავრცელა. მასში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად ევროპაში, საქართველოს გავლით, 7 ტონა ჰეროინი შედის, ხოლო მთლიანად სამხრეთი კავკასიის ქვეყნებიდან – 11 ტონა.

გაერო-ს მოხსენებაში ჰეროინის მოძრაობის მარშრუტები დეტალურადაა განხილული. ავღანური ნარკომობის ნარკოტიკი საქართველოში ძირითადად ორი გზით ხდება.

პირველი: ავღანეთი – ირანი – აზერბაიჯანი – საქართველო და მეორე: ავღანეთი – თურქეთი – აზერბაიჯანი – საქართველო. ამ გზებიდან ძირითადი ირანის მარშრუტია, საიდანაც რეგიონში ყოველწლიურად 9 ტონა ჰეროინი შემოაქვთ.

საქართველოში ჰეროინი ძირითადად წითელი ხიდის გავლით ხდება და ფოთის პორტიდან ბორნებით ევროპისენ იგზავნება.

გაერო-ს მოხსენებაში მითითებულია, რომ ფოთიდან ბულგარეთისენ მიმავალი ნარკოტრანზიტის გზა შედარებით ახალია. ნარკოგადაზიდვების ეს ახალი მარშრუტი, რომელიც 2007-2008 წლებში გაიზარდა, ბოლომდე გამოკვლეული არ არის.

საქართველოს პირდაპირი საბორნე მიმოსვლა აქვს უკრაინის ილიჩევსკის პორტით და ბულგარეთის ბურგასის პორტით. საქართველოდან გასულ ბორნებს ჰეროინი სწორედ ამ პორტებში ჩაექვთ. მეზობელი ქვეყნების ძალვან სტრუქტურებს ჰეროინის დიდი პარტიები საზღვარზე არაერთხელ დაუკვებით.

2008 წლის 16 დეკემბერს BostonHerald.com-მა ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, ბულგარეთში

მესაზღვრებმა სატვირთო მანქანებში დამალული 400 კილოგრამი ჰეროინი ამოიღეს. მანქანები ბულგარეთში ფოთის პორტიდან ბორნით ჩაიტანეს.

ანალოგიური შემთხვევა უკრაინაშიც მოხდა. ილიჩევსკის პორტში 105 კილოგრამი ჰეროინი იპოვეს. ნარკოტიკები უკრაინაშიც ფოთის პორტიდან მოხვდა. ინფორმაცია უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის იფიციალურმა ვებ-გვერდმა 2007 წლის 29 ნოემბერს გაავრცელა.

2007 წელს უკრაინაში საქართველოდან ჰეროინის დიდი პარტიის ჩატანის ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო. პირველი 23 ივნისს დაფიქსირდა. მაშინ ფოთის პორტიდან გასული 174,5 კილოგრამი ნარკოტიკის კონტრაბანდა დააკავეს.

საქართველოდან ილიჩევსკის პორტში შესულ გემზე ნარკოტიკი დიდხანს ეძებენ. ყველაფერი შემომწევს, მაგრამ ჰეროინის პოვნა მხოლოდ ძალის საშუალებით შეძლეს. ექსპერტები ამბობენ, რომ საბაჟოზე გაწვრთნილი ძალების ყოლა ნარკოტრანზიტთან საბრძოლველად ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია. „ამ ეტაპზე შემოსავლების სამსახურს კინოლოგიური განყოფილება არ გააჩნია და შესაბამისად, არ გვყავს გაწვრთნილი ძალები, რომლებსაც ნარკოტიკების მოსახებად გამოვიყენებდით“, – აღნიშნა საბაჟო კონტროლის სამმართველოს უფროსმა გიგა ხვინდია.

ჰეროინის ტრანსპორტირებისთვის ტრანსპორტებს იყენებენ, მათ საერთაშორისო სატრანზიტო ნიშანი TIR აქვთ და საბაჟოზე რენტგენო-სკანერის მეშვეობით შერჩევით ამონტებენ. „ჩვენ გვაქვს სპეციალური რისკის მართვის პროგრამა, რომლითაც ისეთ ტერიტორიებს ვავლენთ, რომლებსაც სარისკოდ ვთვლით და ამ შემთხვევაში ვახდენთ ან დოკუმენტურ, ან ფიზიკურ შემოწმებას. ორი წლის წინ დავიწყეთ ამ ტერიტორიის რენტგენო-სკანერებით შემოწმებაც“, – აღნიშნა გიგა ხვინდიამ.

**2 ცლის მანძილზე პოლიციამ 18 კილო ჰეროინი ამოიღო**

გაერო-ს გარდა, საქართველოში არ სებული ნარკოტრეფიკის პრობლემის

შესახებ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი 2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის ბიურომ გამოსცა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ადვილი გამოსანგარიშებელია, თუ რა რაოდენობის ნარკოტიკი რჩება საქართველოში. ანგარიშის თანახმად, სამხრეთ კავკასიაში 11 ტონა ნარკოტიკი შემოდის და საქართველოს საზღვარ პორტის საშუალებით გადის 7 ტონა. რეგიონის საბ ქვეყანაში: სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში რჩება საშუალოდ 4 ტონა. ნარკომანების რაოდენობის შესახებაც არის მონაცემები. ამის გათვალისწინებით, საქართველოში დაახლოებით 2,4 ტონა ჰეროინი უნდა რჩებოდეს.

„ამ ეტაპზე მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოგანდომოთ ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალებების ამოდებისა და განადგურების შესახებ, ვინაიდან ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება, რაც დროს მოითხოვს“, – გვიპასუხეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა: „არასადროს საქართველოში არ ამოუღიათ იმდენი ნარკოტიკი, რამდენიც ბოლო ნლებში ამოვიღეთ“.

შსს-ს ვებ-გვერდზე ორი მონაცემი მოვიპოვეთ. 2007 წელს შსს-მ – 9 კგ და 783 გრამი, ხოლო 2008 წელს 8 კგ და 332 გრამი ჰეროინი ამოიღო. ანუ ორი წლის მანძილზე სულ – 18 კილოგრამი. წელს კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ ივნიში ნარკოტრეფიკის ერთი საქმე გახსნა. დაკავებულია ნარკოკარტელში ჩართული 5 ქართველი და ამოღებულია 1 750 000 ევრო. პოლიციამ 180 გრამი კოკაინი იპოვა, თუმცა სამართალდამცვებმა თქვეს, რომ 2009 წელს ამ დაჯგუფებამ საქართველოდან თურქეთში 90 კილოგრამი კოკაინი გადაიტანა. ეს ნარკოტიკი სამხრეთი ამერიკიდან საქართველოში ჯართში გადამალული შემოჰკინდათ. შსს არ დანტერესდა, თუ რატომ შემოჰკინდათ ჯართი ფოთში, მაშინ როცა თავად საქართველო ჯართის ექსპორტირობა ქვეყანა და ევროპაში ის გაცილებით ძვირი ლირს.

## ურნალისტური გამოქვება

ერთადერთი გამართლება, რაც ნა-  
რკოტიკების ამ სიმორეზე ჩამოტანას  
ჰქონდა - ნარკომოვაჭრების მიერ  
კონტროლირებული ფოთის პორტია,  
ვინაიდან ამ ნარკოტიკის დანიშნულე-  
ბის ადგილობრივ კრონპა გახლდათ.

საინტერესოა შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია კოკაინის მარშრუტის შესახებაც. ფოთის პორტს ამ ისტორიაშიც, ისევე როგორც უკანონო ნარკოტიკების ტრანზიტთან დაკავშირებულ ჩვენთვის ყველა ცნობილ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რენტგენო-სკანერებით აღჭურვილი ქართული საბაჟო ან უსუსურია ნარკოტიკების აღმოჩენის კუთხით ან ნარკობიზნესში ჩართული პირების სერიოზული კონტროლის ქვეშ იმყოფება. ესპანეთში მცხოვრები კანონიერი ქურდის, შაქრო კალაშნიკოვის მფარველობით, კოკაინი პანამიდან, პერუდან და კოლუმბიდან საქართველოში ჩამოჰქონდათ. ნარკოტიკი საქართველოში სწორედ ფოთის საშუალებით შემოდიოდა. მას იმერეთში აფასოებდნენ, შემდეგ კი თურქეთში გადაჰქონდათ.

„საქართველოს მთავრობას ტრანზიტით გამავალი ნაკუთიყების თაობაზე სანდო სტატისტიკური მონაცემები არ გააჩნია. საქართველოს შინაგან საქმე-თა სამინისტრო მიუთითებს, რომ 2004-2006 წლებში და 2007 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში ნაკუთიყების მნიშვნელოვანი რაოდენობა არ ამოუღიათ. ეს, შესაძლოა, ნიშანვდეს, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანა არ არის ან პილიცის არადღევატურ მუშაობასა და შესაძლო კორუფციაზე მიუთითებს,, – აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნაკუთიყებთან ბრძოლის ბიუროს მოხსენებაში.

„გასაკეთებელი ჯერ პილევ ჩევრია“

გია გაჩერჩილაძეს, მწვანეთა პარტიის თავმჯდომარეს მილიონობით დოლარის ღირებულების ჰეროინის უპრობლემოდ გადაადგილება ხელისუფლების მფარველობის გარეშე შეუძლებლად მიაჩინა: „ჩვიენ ვამბობთ, რომ



საქართველოს ტერიტორიიდან ევრო-პაში 7 ტონა ჰეროინი გადის, 2,4 ტონა კი ადგილზე ტრიალებს. გამოდის, რომ ქვეყანაში 9-10 ტონა სუფთა ჰეროინი მოძრაობს, და როდესაც მხოლოდ 8 კილო აქვთ ამოდებული, ეს რაზე მეტყველეობს?!“

ძალივანი სტრუქტურების ნარკობი-ზნესთან კავშირის თაობაზე ინფორმაცია ქართულ მედიაშიც გაჩნდა. 2005 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოდის ყოფილი თანამშრომლები თემურ რევაზიშვილი და გიორგი ხუსია დეპარტამენტის უფროსობას – ირაკლი კოდუასა და მის მოადგილე კახა მისირელს ნარკორეალიზაციონებთან კავშირსა და მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებები. თემურ რევაზიშვილის ინფორმაციით, ამ ინციდენტამ

დე ცოტა ხნით ადრე დეპარტამენტის თავმჯდომარებ, ირაკლი კოდუამ მას ნარკოტიკების ერთ-ერთი გამსაღებლის წინააღმდეგ საგამოძიებო მოქმედებების შეწყვეტა, ნარკოტიკების რეალიზატორებთან თანამშრომლობა და რეალიზაციიდან შემოსული თანხების განაწილება შესთავაზა. რევაზიშვილმა ამაზე უარი განაცხადა და სამსახურიდან წამოსვლის თაობაზე პატაკი დაწერა, თუმცა ერთი კვირის შემდეგ, თანამშრომლების თხოვნით, სამსახურში დაბრუნდა. ამის შემდეგ, რევაზიშვილის თქმით, 21 მაისს იგი მოტყუებით წყნეთისკენ წაიყვანა მისმა თანამშრომელმა და მეგობარმა, კახა მირუაშვილმა, ცოტა ხანში კოდუა და მისირელიც მივიღნენ. რევაზიშვილის თქმით, მას ოპერატორული დეპარტამენტის



■ ყოველწლიურად ევროპაში,  
საქართველოს გავლით,

## 7 ტონა ჰეროინი შედის,

ხოლო მთლიანად სამხრეთ  
კავკასიის ქვეყნებიდან – 11

## ტონა. გაერო-ს მოხსენებაში

## ჰეროინის მოძრაობის

## მარშრუტები დეტალურადაა

## განხილული. ავღანური

## ნარმოშობის ნარკოტიკები

## საქართველოში ძირითადად

ორი გზით ხვდება.

ତ୍ରିଲେ ଶ୍ଵାଙ୍ଗୀ ତାନାମିଶ୍ରମେଲୋ ସାବ୍ଦିକୁପାଦ  
ଶ୍ଵେମିଦା, ଶ୍ଵେମିଦା କୁ ମୁକ୍ତାଳୀ ଧାଉପିର୍ଯ୍ୟେ.  
ରୂପାଶିଶ୍ଵାଙ୍ଗୀ ଅଚ୍ଛାଦ୍ରେଷ୍ଟୀ, ରନ୍ଧର ତାପୀ ଗା-  
ହେଜୁଗୀତ ଶ୍ଵେମିଦା.

მომხდართან დაკავშირებით თავისუფლების ინსტიტუტმა მაშინ პრესკონფერენცია მოაწყო და პროკურატურის-გან საქმის გამოძიება მოითხოვა.

პროკურატურას ჩეგნც მივმართეთ  
და დავინიტერესდით, დაიწყო თუ არა  
ნინასწარი გამოძიება გიორგი ხუბიასა  
და თემურ რევაზიშვილის საჩივართან  
დაკავშირებით. აგრეთვე, რა გადაწყვე-  
ტილება მიღიღ საქართველოს გენერა-  
ლურმა პროკურატურამ. პასუხი არც  
ერთ კითხვაზე არ მიღვილა.

ნარკომობმარებლები მიანიშნებენ,  
რომ სახელმწიფო მათ უფრო დიდ  
პრობლემებს უქმნის, ვიდრე ნარკო-

მოვაჭრებს, რომლებთანაც, სავარაუდოდ, თანამშრომლობს კიდევ.

## ავღანერი ჰეროინის ქართული მიწიოდნები

დამიკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯიას“ დირექტორის თქმით, საშუალო ქართველი მომხმარებლის ერთჯერადი დოზა 100-200 მილიგრამი სუფთა ჰეროინა, რომელიც ეგრეთ წოდებულ ჩეკებად იყიდება. ერთი ჩეკის ფასი საშუალოდ 250 ლარია. „ჰეროინის კონცენტრაცია არსად არ არის 100-პროცენტიანი. მასში მეტი ნილი სხვადასხვა ნივთიერების მინარევებია“, – აღნიშნავს დავით ოთაძევლი. საქართველოში ერთი აბი სუბოტექსი, რომელიც ევროპაში 5 დოლარად იყიდება, 700 ლარი ღირს. მომხმარებელთა თქმით, გაყიდვისას მას ანანევრებენ. „სუბოტექსი 250 ლარი ღირს, მაგრამ მეოთხედი. ნახევარს უძახიან, მარა ის ნახევარიც არ არის. ჩამოფხევილი და ნაჩალიჩებია. მთლიანი აბი 700 ლარი ღირს. მაგრამ ძალიან შევიათად თუ იყიდი გაუტეხავ აპს“, – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

არაოფიციალური მონაცემებით,  
ერთი გრამი ჰეროინის ფასი საქართველოში 500 ლარია. გაერო-ს დოკუმენტის მიხედვით კი, 2007 წელს ერთი გრამი ჰეროინი 350 დოლარი ღირდა.  
ჩვენი ქვეყნის ნაკონბიზნესის შესაფასებლად ეს ფასი 2 ტონა ჰეროინზე გაფარმავლეთ. ირკვევა, რომ ქართული ნარკობიზნიში სულ ათასა 700 მი-

ლიონი დოლარი შავი ფული ტრიალებს

ବୁରୁଷଗାନଙ୍କୁ - କିମ୍ବା ଅତିକରୀ ଶବ୍ଦରେ ପାଇଲା  
ଏହାରଙ୍କ 2010 ମୁଣିସିପାଲିଟିରେ 1 ବୁରୁଷଗାନଙ୍କୁ ଶବ୍ଦରେ ପାଇଲା  
ଏହାରଙ୍କ 2010 ମୁଣିସିପାଲିଟିରେ 1 ବୁରୁଷଗାନଙ୍କୁ ଶବ୍ଦରେ ପାଇଲା

მანთა მიმართ საქართველოს ხელი-  
სუფლების არასწორი მიღებომა ვი-  
თარგბას აუკარისტის. „ყველა პირი,

# ურნალისტური გამოძიება

ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი და ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებლები ფაქტობრივად ექვემდებარებიან ერთსა და იმავე პასუხისმგებლობას“, – აღნიშნავს იურისტი ალექს შოშიკელაშვილი. „მაგალითად, პიროვნებას უპოვეს ნახევარი გრამი ჰეროინი – ერთი არის მომხმარებელი, მეორე არის „ბარიგა“, ორივეს თანაბრად დასჯიან. დღეს კანონი ამათ ორივეს გაუშვებს 10 წლით ციხეში. ანუ გადამყიდველი უნდა გავუშვათ 10 წლით ციხეში, თუ ვუპოვეთ ნახევარი გრამი, მაგრამ თუ მომხმარებელს ვუპოვეთ ნახევარი გრამი, რაც მისი ორი დღის დოზა შეიძლება იყოს და ვერ ვუდასტურებთ რომ გადამყიდველია, 10 წლით არ უნდა გავუშვათ ციხეში“, – ამბობს დავით ოთიაშვილი.

საქართველო გაერო-ს 1961 წლის კონვენციის ხელმომწერია. დოკუმენტი ნარკოპრობლემის მოსაგარებლად მხარეებს ნარკომანების მკურნალობის რეკომენდაციას აძლევს. ექსპერტების თქმით, საქართველოში, მკურნალობის ნაცვლად, ნარკომომხმარებლების წინააღმდეგ რეპრესიები ხორციელდება.

„ციხეში შემოგვიყვანეს ნარკომანი ახალგაზრდა ბიჭი. დამოუკიდებლად ვერ მოძრაობდა. ბიჭები ვუვლიდით. იმას რა უნდა ციხეში? იმას რომ რამე ეშველოს, სასწრაფოდ უნდა უმკურნალო“, – გვითხრა ჩვენმა ნარკომანმა რესპონდენტმა.

სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლი ნარკოდამოკიდებული ადამიანის იძულებით მკურნალობას გულისხმობს, თუმცა 2006 წლიდან დღემდე ეს მუხლი არავისოფის შეუფარდებიათ.

ნარკოტიკის მოხმარების ფაქტზე პირველად დაკავების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ჯარიმა 500 ლარს შეადგენს. თუ პირს განმეორებით დაუდასტურდება ერთი წლის განმავლობაში ნარკოტიკის მოხმარება ან შეძენა, შენახვა, მაშინ მის წინააღმდეგ ამოქმედდება სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი. ამ მუხლით ჯარიმების შეადგინას სამართლის 273-ე მუხლით გადახდილი ჯარიმების რაოდენობამ ბოლო სამ წელიწადში 21 169 825 ლარი შეადგინა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გადახდილი ჯარიმების რაოდენობამ კი – 2 766 120 ლარი.

ან უფრო მეტი. სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გადახდილი ჯარიმების რაოდენობამ ბოლო სამ წელიწადში 21 169 825 ლარი შეადგინა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გადახდილი ჯარიმების რაოდენობამ კი – 2 766 120 ლარი.

მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ სახელმწიფოს მიერ ამოღებული მილიონებიდან ნარკომანით დაავადებულ პირების მკურნალობაზე გასულ წელს 2 მილიონ 200 ათას ლარამდე დაიხარჯა. ექსპერტი ნინო გვენეტაძის აზრით, ეს არასწორი პოლიტიკა და ის მხოლოდ ჯარიმების საშუალებით ფულის ამოღებაზეა ორიენტირებული.

„ჩვენ ამ ხალხს უზარმაზარ ჯარიმებს ვართმევთ. ეს ჯარიმები მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში და ერთ წელზე ვბრუნავთ. მერე ამ ადამიანებს ისევ გამოვუშვებთ, მერე ისევ დავაკავებთ, მერე ისევ ჯარიმას გადავახდევინებთ. სახელმწიფომ ამ ჯარიმებს დაუმატოს სხვა თანხები და ამ ადამიანებს უმკურნალოს. თუ სახელმწიფო ხელს დაიბანს და ამ ადამიანებს მხოლოდ რეპრესიით დაემუქრება, ფაქტია, რომ შედევი არ გვექნება“, – აღნიშნავს ნინო გვენეტაძე.

მურნალიბა – დასჯის ნაცვლად


საქართველოში მეტადონის პროგრამა 2007 წლიდან მოქმედებს. ამჟამად სახელმწიფო პროგრამაში 877 პაციენტი მონაცილეობს. პროგრამაში ჩართვისას პიროვნება 450 ლარს იხდის, შემდეგ კი ყოველთვიური გადასახადი 150 ლარს შეადგენს.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე აკაკი გამყრელიძე აღნიშნავს, რომ ჯარიმებიდან ამოღებული მილიონები რეაბილიტაციის ცენტრის ასაშენე-

ბლად უნდა გამოიყენონ, მაგრამ ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს. „ცხადია, ეს ემსახურება ერთ დიად მიზანს, რაც არის არსებული ნარკოსიტუაციის შენარჩუნება, რომელიც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ორიენტირებულია ნარკომანით დაავადებული პირების, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა დისკრიმინაციაზე. დღევანდელი პოლიტიკური თანამდებობის პირების ინტერესებში არ შედის, რომ ეს ადამიანები განთავისუფლდენ“, – აღნიშნავს იურისტი ალექს შოშიკელაშვილი.

არსებული ნარკოპოლიტიკის შესაცვლელად 2008 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ – „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“, პარლამენტში კანონპროექტი შეიტანა. მას 58 ათასი ადამიანი აწერს ხელს. კანონპროექტი ორი წლის შემდეგაც არ განუხილავთ. დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, დავით ოთაშვილი აღნიშნავს, – „არ ვიცით რატომ ინუნებენ ჩვენს კანონპროექტს. ვფიქრობ, რომ არიან ადამიანები, ვისაც კანონმდებლობაში არ უნდა რაიმეს შეცვლა და პარლამენტში ამ ადამიანების გავლენა საკმაოდ ძლიერია“.

დაზის გადაჭარბებითა და ნარკოტიკების მოხმარებით გარდაცვლილთა ზუსტ სტატისტიკას ჯანდაცვის სამინისტრო არ აწარმოებს. არსებობს მხოლოდ ზოგადი ექსპერტული მონაცემები, რომელთა დათვლაც სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მოხდა. 2007 წელს ზედოზირებით მხოლოდ თბილისში – 39, 2008 წელს კი 26 ადამიანი გარდაიცვალა. 2003 წელს, ნარკოტიკების მოხმარების გამო, 120 ადამიანი დაიღუპა. ეს მონაცემები არასრულია და საქართველოში ნარკოტიკების მიზეზით სიკვდილიანობას ბოლომდე არ ასახავს. ■



ურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში.  
ურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

თვალსაზრისი

# პოლიტიკური საფინანსო კამპანიი მართვის საზოგადოების

განვითარებადი ქვეყნების მემარცხენები მიღრეკილნი არიან, პრობლემების მიზეზები საზოგადოების გარეთ ეძებონ და იშვიათად ცდილობენ მათ საკუთარ საზოგადოებაში აღმოჩენას.

გიორგი ცხადაია



პალვა ნათელაშვილი

საქართველოში მემარცხენეობა ბოლო 20 წლის განმავლობაში დისკრედიტირებული თემა იყო. ის ასოცირდებოდა საბჭოთათან და კომუნისტებთან. ერთადერთი სტაბილური და მეტ-ნაკლებად პოპულარული მემარცხენე პარტია, ტრადიციულად, ლეიბორისტულია. ბოლო ხანებში სოციალისტური იდეები ახალგაზრდებისთვისაც გახდა მიმზიდველი და რამდენიმე მემარცხენე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი გამოჩნდა, მაგალითად – „ახალგაზრდა სოციალისტები“ და „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“. მემარცხენე ჯგუფების დასახლებაში ჯერ-ჯერმავით სიტყვა „სოციალისტი“ ფიგურირებს, რაც, შეიძლება ითქვას, რომ მათ პროევროპულ (და არა ამერიკულ) ორიენტაციაზე მეტყველებს – ევროპა-

ში მემარცხენე პარტიებს ყველაზე ხშირად ამ სახელით მოიხსენიებენ. მათ ფინანსური ურთიერთობებიც ძირითადად მხოლოდ ევროპასთან აქვთ.

განვითარებად ქვეყნებში მემარცხენები ყველაზე ხშირად გარეშე მტრების დემონიზაციით არიან დაკავებულები. მსგავსი რიტორიკაა საქართველოშიც, განსაკუთრებით, ლებორისტული პარტიის გამოსვლებში ამერიკის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. პრობლემა ის კი არ არის, რომ განვითარებულ, მდიდარ, ძლიერ და მეტი პასუხისმგებლების მქონე დასავლეთს აკრიტიკებენ, არამედ ის, რომ საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებს ხელოვნურად ამარტივებენ. ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემები არც ამერიკის ბრალია და არც ევროპის. ეს უმტკესწილად თავად ჩვენი

– შიდასაზოგადოებრივი პრობლემებია (საქართველოს ხელისუფლება, ამის საპირისპიროდ, ცდილობს ქვეყნის წინაშე მდგარი ყელა პრობლემა რუსეთს გადააპრალოს). ამიტომ, „მასონების“, იმპერიალისტების და „სოროსისტების“ წინააღმდეგ ბრძოლა ცოტა კომიკურია იმ ფონზე, როცა მთავარი პრობლემა იმ საზოგადოებრივ ჯგუფებშია, რომლებიც ერთმანეთთან თამაშის წესებზე ვერ შეთანხმებულან; მაგალითად იმაზე, რომ ბიზნესმენებმა გადასახადები არ უნდა დამალონ, ბიუჯეტი ხალხის სასიკეთოდ უნდა დაიხარჯოს, ქუჩაში ნაგავი არ უნდა დავყაროთ, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს პატივი უნდა ვცეთ, მათი შეხედულების მიუხედავად, საზოგადოებრივი სიკეთები არ უნდა დავაზიანოთ და ა.შ. ის საზოგადოება, რომელიც ასეთ რამებზე ვერ თანხმდება და მთელ თავის ძალისმევას „იმპერიალისტების“ და მასონების კრიტიკისკენ მიმართავს, არარაციონალური, არაპრაგმატიული და ინფანტილურია.

ერთი სიტყვით, განვითარებადი ქვეყნების მემარცხენები მიღრეკილნი არიან, პრობლემების გამომწვევი მიზეზები საზოგადოების გარეთ ექვებონ და იშვიათად ცდილობენ, ეს მიზეზი საკუთარ თავში აღმოჩინონ. ევროპული სოციალიზმი სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ბელორუსული და კუპური სოციალიზმისგან. ხსენებული ქვეყნები სიტყვის თავისუფლებას ზღვდავენ სწორედ იმ მოტივით, რომ, ამის სანაცვლოდ, ადამიანებს გადარჩენისთვის აუცილებელ, მინიმალურ რესურსებს თითქმის უფასოდ სთავაზობენ.

თუ საქართველოში მომავალში მე-

# საუკრაპი ლიბერალიზმი

მარცხენე პლატფორმის განვითარებაა მოსალოდნელი, ახლავე უნდა დაისვას კითხვა – როგორ მემარცხენები და სოციალისტები გვინდა? ერთ-ერთმა ახალგაზრდა სოციალისტმა ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ მიერ მოწყობილ დისკუსიაზე განაცხადა, რომ არსებობს პრიორიტეტების გარეველი სკალა, სადაც ღარიბების პრიოლებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ – უმცირესობების. შესაბამისად, მსგავსი ლოგიკით, უცხოლელი დონორები, რომლებიც უმცირესობების დაცვას სხვადასხვა ფინანსური და პოლიტიკური საშუალებით ლობირებენ, ტყუილად იჩვებიან – მათ, სინამდვილეში, რეალური პრობლებიდან ყურადღება მოჩვენებით პრობლებზე გადააქვთ!

უცხოური დონორების საქმიანობა რამდენად უწყობს ხელს საქართველოში სოციალურ ჯგუფებს შორის კონსენ-

„სწორი მიმართულებით“ საზოგადოების წარმართვა. სამწუხაროდ, ასეთ თემებზე მსჯელობა გვაძრუნებს მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბოლშევიკები და მემშვიერები ერთმანეთს სწორედ მსგავს საკითხებზე ეკამათებოდნენ. როგორც ჩანს, საკუთარ ისტორიას საკამარისად კარგად არ ვიცნობთ, რადგან თემები, რომლებზეც ახლა ვმსჯელობთ, საუკუნის დასაწყისში უკვე ირჩეოდა და შესაბამისი დასკვნებიც გამოჰქონდათ (სამწუხაროდ, მოვლენები ყველაზე უარესი სცენარით: ბოლშევიკური პარტიის დიქტატურით დასრულდა).

ამ პრობლემას ეკონომიკური კუთხიდანაც შევხედოთ: რატომ არ გვინდა ბელორუსის ან კუბის მოდელი? სულ ახლახან წავიკითხე ბრიტანელი ჟურნალისტის, ჯოპან ჰარის კრიტიკა რადიკალი მემარცხენე მოაზროვნის, ნომრის სკოლის მისამართით. ჰარის აზრით,

ფოქტი აქვთ, სადაც მოქალაქეების მიერ საკუთარ თავსა და საზოგადოებაზე პასუხისმგებლობა მინუმამდეა დაყვანილი – ისინი ელოდებიან, თუ როდის მოამართებს სახელმწიფო მინიმალური რესურსებით, რითაც თავს გადაირჩენენ. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეს სოციალური ინიციატივები ზემოდან მოდის და არა ქვემოდან, და მოდის უმთავრესად დიქტატორი მმართველებისგან, რომლებიც საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას ამ გზით ცდილობენ. ამ დროს საზოგადოება მოუწიფებელი და სუსტია, რადგან თავად კი არ წყვეტს სოციალური სიდუხჭირის პრობლემას, არამედ ბელადი და პარტიული ბოსები ზემოდან აძალებენ გააკეთონ ის, რაც, შესაძლოა, გათავისებული არც აეცა.

სიტყვის თავისუფლება, უმცირესობების უფლებების დაცვა და ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების არ-

## განვითარებად ქვეყნებში მემარცხენები ყველაზე ხშირად გარეშე მტრების დემონიზაციით

**არიან დაკავებულები.** მსგავსი რიტორიკა საქართველოშიც, განსაკუთრებით, ლეიბორისტული პარტიის გამოსვლებში ამერიკის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

სუსისკენ ორიენტირებულ სამოქალაქო კულტურას და ნდობის გაღრმავებას, ეს ცალკე საკითხია (და ჩემთვის ძალზე სადაცვო), მაგრამ მემარცხენების მიერ მსგავსი „ლიბერალური“ თემებისადმი აგდებული დამოკიდებულება დიდი შეცდომა. ევროპელ სოციალისტებს არჩევანი რომ მხოლოდ სოციალურ თემებზე გაეკეთებინათ და სხვა საკითხები უსამართლოდ მიევინებინათ, დღეს ევროკავშირი ბელორუსიც იქნებოდა. ევროპაში ძალიან კარგად ესმით, რომ ჯანსაღი საზოგადოება გულისხმობს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის ჰყმანიზმა და საერთო კეთილდღეობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას და არა ერთი ჯგუფის ინტერესების (რაც უნდა კეთილშობილური იყოს ეს ინტერესები) დიქტატურას ყველა სხვა ჯგუფის ინტერესებზე. ამ უკანასკნელი ტიპის მმართველობას ხშირად მოჰყვება ქარიზმული ბელადის გამოჩენა, „ავანგარდული პარტიის“ დაარსება და

რადიგალი მემარცხენების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმის ვერალიარებაა, რომ კაპიტალიზმი სიმდიდრეს ქმნის: მაგალითად, რით აისხება ის ფაქტი, რომ სამხრეთი კორეა უფრო განვითარებულია, ვიდრე სოციალისტური ჩრდილოეთი კორეა? ამის ალიარება რადიკალ მემარცხენებს საკუთარი იდეების დალატად მიაჩნიათ. არადა, სინამდვილეში, თანამედროვე ევროპული სოციალური დემოკრატია სწორედ ამ გზით უზრუნველყოფს საკუთარი ეკონომიკების მდგრადობას და ძლიერ სოციალურ მოწყობის უზრუნველყოფას – ქმნის სოციალურ დამცავ ბადეს, რითაც ცდილობს, სიმდიდრე ეფექტურად გაანაბილოს. ამ მეთოდით არც ინოვაცია, კონკურენცია და ტექნიკური პროგრესი ზარალდება, და არც – ღარიბი მოქალაქეების ინტერესები. ამის საპირისპიროდ, ქვეყნებს, რომლებიც სწორაზოვან სოციალისტურ პალიტიკას ადგანან, ჩამორჩენილი და მოუქნელი სახელმწი-

სებობა ისეთ ქვეყნებშები, როგორიც ბელორუსია, სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ მოქალაქეებმა თავიანთი ინტერესები გამოხატონ. ადამიანის უფლებების დაცვის საბოლოო მიზანი სწორედ გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მიღწევაა. სხვა შემთხვევაში, სოციალური სახელმწიფო მხოლოდ ბუტაფორია იქნება, რომელიც ბელადის, „მამა პატრონის“ ნასვლის შემდეგ ადვილად ჩამოიშლება; ასეთ სახელმწიფო გრძელვადიანი განვითარება და ეკონომიკური პროგრესი ყოველთვის შეენირება იაფესასან სოციალისტურ რიტორიკას.

ზემოთ მოხაზული საფრთხეების გათვალისწინება, ჩემი აზრით, სასიცოცხლოდ აუცილებელი იქნება ნებისმიერი მემარცხენე პარტიის სოციალური მოღვაწეობას გადაწყვეტს. ჯერჯერობით არსებული პარტიების რიტორიკაში, სამწუხაროდ, ამგვარ აქცენტებს ვერ ვხედავ. ■

თვალსაზრისი


# ჩვეოცასი, ამნებიჩვეოცასი და საგალასალო აოლასი

აქამდე ვიცოდით, რომ დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი იყო – ლიბერალური, რევოლუციური და მსოფლიოში საუკეთესო. ახლა ხელისუფლებამ მისი ისევ რევოლუციურად შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო – ფინანსთა მინისტრის განცხადებით, კოდექსი 98%-ით იცვლება. თუ ლოგიკას გავყვებით, გამოვა, რომ საქმე „კონტრრევოლუციასთან“ გვაქვს...

სინამდვილეში კი, თუ ქართული ფილმიდან ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს მივმართავთ, „არც ერთი იყო ლიბერალური და არც მეორე – კონტრრევოლუციური. ორივე უგვანი კოდექსი იყო“. რატომ ვფიქრობ ასე? შევეცდები, დავასაბუთო

(სიტყვების ეკონომიკის მიზნით, დღეს მოქმედ საგადასახადო კოდექსს „კოდექსად“ მოვიხსენიებ, შემოთავაზებული ცვლილებების პროექტს – „პროექტად“).

**ირაკლი შავიშვილი, აუდიტორი**



ირაკლი შავიშვილის მიერ დარღვეულია / რევოლუციური სამინისტრო

## 1. პონტიური

არ ვარგა როგორც კოდექსის, ისე პროექტის კონცეფცია – ისინი ანტი-ლიბერალურია ერთი მარტივი მიზეზის გამო – ორივეში დევს აზრი, რომ ქვეყანაში მთავარია ბიუჯეტი, ხოლო გადასახადის გადამხდელი (ადამიანი) – მაქსიმუმ, მეორეხარისხოვანი. ამის დასაბუთება ყველა იმ მუხლის გაანალიზებით რომ ვცადო, რომელიც კოდექსსა და პროექტშია, უურნალის ერთი ნომერი არ მეყოფა. ამიტომ მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებ ყურადღებას: გადასახადის ცნება კოდექსშიც და პროექტშიც ერთნაირად არის განმარტებული – მათი მიხედვით, გადასახადი არის „უპირობო“ და „უსასყიდლო“ შენატანი ბიუჯეტში. საგადასახადო კოდექსი არის გადასახადის წარმომადისა და გადახდის პირობების კრებული. მაშინ, როგორუაა გადასახადი უპირობო?

ბუნებაში არ არსებობს ლეგიტი-  
მური მოთხოვნა სანაცვლო ვალდე-  
ბულების გარეშე. ნებისმიერ ასეთ  
მოთხოვნას ყველა დროში და ყველა  
ქვეყანაში ყაჩაღობას უწოდებენ. გადა-  
სახადის „უსასყიდლობის“ გამოცხადე-  
ბით ხელისუფლება უარს ამბობს რაიმე  
ვალდებულების აღებაზე გადასახადის  
გადამხდელის წინაშე.

კოდექსშიც და პროექტშიც არის მუხლი სახელწოდებით „სხვა ჯარიმები“, რომელიც ამპობს, რომ თუ გადამხდელის მიერ ირღვევა რომელიმე ვალდებულება, რომლისთვისაც დადგენილია პასუხისმგებლობა, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ არის განსაზღვრული, ეს ჯარიმდება 100 ლარით. რას გვეუბნება ამგვარი ჩანანერით ხელისუფლება? – „იცი რა, მე ახლა მეზარება ყველა დარღვევის ჩამოჭიკვიკება, მაგრამ იცოდო, საოცავ თავიზე მიაჟარინიშვი“.

გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდა უამრავი ღონისძიებით არის უზრუნველყოფილი – საუკავით, ჯარიმებით, ყადაღით, სა-ლაროდან ნაღდი ფულის ამოღებით, ქონების გაყიდვითა თუ წართმევით და ა.შ. სამაგიეროდ, თუ გადასახადი ზედმეტად გაქვს გადახდილი და ბიუჯეტიდან მის დაპრუნებას მოითხოვ, კოდექს-

პროექტი გეუბნება, რომ მოთხოვნიდან 3 თვეში დაგიბრუნებენ. ოღონდ, თუ არ დაგიბრუნეს, რა ხდება, რით აგებს შენ ნინაშე პასუხს ხელისუფლება, ამაზე ადარაფერია ნათევამი, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხს არაფრით აგებს.

ამგვარი მაგალითების განხილვა  
დაუსრულებლად შეიძლება.

## 2. მიკრო და მცირე პიზნები

„რევოლუციურადაა“ შეფასებული  
მიკრო და მცირე ბიზნესის ცნებების  
შემოღება. ორივე სტატუსი მხოლოდ  
ფიზიკურ პირებს ეხებათ და არ ვრ-  
ცელდება იურიდიულ პირებზე.

მიკრო ბიზნესისთვის დაგენილია ბრუნვის 30 000-ლარიანი ზღვარი და ნათქვამია, რომ თუ პირს ამ ოდენობაზე ნაკლები აქცია ბრუნვა, იგი არც ერთი გადასახადით არ დაიბეგრება.

ამას დიდ მიღწევად გვასალებენ, სინა-  
მდვილეში კი ეს ამ კატეგორიის გადა-  
მხდელთა მდგომარეობის გაუარესებაა:  
არ არის დადგენილი, საქმიანობის  
რომელ დარგებზე გავრცელდება მი-  
კრო ბიზნესის სტატუსი. ეს უნდა გან-  
საზღვროს მთავრობამ თავისი შეხედუ-  
ლებით. მასვე შეუძლია, საქმიანობის  
რომელიდაც სახეობებში აკრძალოს  
ამ სტატუსის მინიჭება. გამოდის, რომ  
ჯერ არა კი ვიკით, რას გვთავაზობინ.

დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსით დადგენილია საქმიანობათა სახეობები (მენალე, მესაათე, შინამორსამსახურე და ა.შ.), რომელთა მიმდევარი ფიზიკური პირები დაპეგვრისგან თავისუფლდებან, თუმდაც 100 000 ლარის შემოსავალი მიიღონ. ახლა კი მათ ეუბნებიან, – ხომ კარგია, რომ მხოლოდ 30 000 ლარის შემოსავალზე გათავისუფლდებით დაპეგვრისგან.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს არ აქვთ საკონტროლო-სალარო პარატის ქონის ვალდებულება. აღრიცხვის წესებიც გაურკვეველია – ფინანსთა მინისტრმა უნდა დაუდგინოს. იქვე წერია, რომ „საგადასახადო ორგანის უფლება აქვს, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავლები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდებით ფინანსთა მინისტრის მიერ განსა-

ზღვრული წესით“. მოკლედ, მეზარმის-თვის თამაშის წესები განუსაზღვრელია, ხოლო საგადასახადო ორგანოები თავი-სი შეხედულებისამებრ განსაზღვრავენ მის შემოსავლებს. რა გამოვა? – ის, რომ ლოიალურ გადამხდელებს „ექნე-ბათ“ 30 000 ლარზე ნაკლები შემოსავალი, არალიონალურებს კი – მეტი.

## სხვა გადასახადის გადამხ-

დელებს ეკრალებათ მიკრო  
ბიზნესის სტატუსის მქონე  
პირებისგან შესყიდული სა-  
ქონლისა თუ მომსახურე-  
ბის ღირებულების ხარჯად  
გამოქვითვა, თუნდაც და-  
ნახარჯი დოკუმენტურად  
იყოს დადასტურებული.  
რატომ უნდა მოუნდეს  
ასეთ გადამხდელს მიკრო-  
მეწარმესგან რაიმეს ყიდვა?

მსგაცი მდგომარეობაა  
მცირე ბიზნესის სტატუსთან  
დაკავშირებითაც. ამ ფარგლე-  
ბში შემოთავაზებულია 3 და-  
5-პროცენტიანი დაბეგვრის-  
რეზიმები, ხოლო შემოსა-  
ვლის ზედა ზღვარი 200  
000 ლარია. ამასთან, 3%-  
იანი დაბეგვრის რე-  
ზიმის გამოყენების  
უფლება პირს

ମେଳାଲ୍ପର୍ଦ୍ଦ ନି  
ଶେମତ୍କୁର୍ବେଗାଶି  
ଏକ୍ଷେ, ତୁ ଠିକ  
ଫାରସାଂଖ୍ୟ-  
ଟେପ୍ସ ତା-  
ବିଶେ ରୁ-  
ଟାଙ୍କଲ୍ଲିଗ୍ରାମ  
ଶେମ ମା -  
ଶାକ ଲ୍ଲିକ୍  
60%-ଠିକ୍ ଟାଙ୍କ

დანახარჯებს, დაქირავებულისთვის გა-  
დახდილ ხელფასზე გაწეული დანახარ-  
ჯების გარდა. ხომ კარგად ვზრუნავთ  
დასაქმებაზე?

ერთგანა წერია, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, არ ანარმონს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა (პროექტის 92.1-ე მუხლი), მეორეგან კი წერია, რომ მან უნდა ანარმონს ხარჯების აღრიცხვის

უურნალი, რომლის წარმოების წესს ადგენს ფინანსთა მინისტრი (მუხლი 92.7-ე). გავფრინდეთ თუ არ გავფრინდეთ?

### 3. ომპულსენი

პროექტით შემოთავაზებულია საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება. ეს იდეა ახალი არაა.

ჯერ კიდევ დღეს მოქმედი კოდექსის პროექტში იყო გათვალისწინებული ასეთი ინსტიტუტი, მაგრამ იმის გამო, რომ ის პროექტი ასევე ითვალისწინებდა კერძო არბიტრაჟების მიერ საგადასახადო დავების განხილვის უფლებამოსილებას (რომელიც ამოქმედდებან 3 თვეში გაუქმდა), ეს ინსტიტუტი ზედმეტად ჩაითვალა და პროექტიდან ამოიღეს. დღეს ამ ინსტიტუტს ისევ გვთავაზობენ, ოლონდ – გაუარესებული სახით. ომბუდსმენის ფუნქცია, წესთ, უნდა იყოს მთავრობის (საგადასახადო ორგანოების) მოქმედებების საწინააღმდეგო ლონის მდგრადი და არც – პრაქტიკულად:

პროექტი კი გვეუპნება, რომ ომბუდსმენის უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი მთავრობისავე დადგენილებით განისაზღვრება. რატომ უნდა მიაინჭოს მთავრობამ ვინმეს თავის საწინააღმდეგო მოქმედების უფლებამოსილება?

### 4. წინასწარი გადახდები

საგადასახადო კოდექსის პროექტით კიდევ უფრო იზრდება ხელისუფლების „მადა“ წინასწარი მიიღოს გადასახადობი. იმავდროულად, გვეუბნებიან, რომ ხელისუფლება გადასახადის გადამხდელებს აძლევს ორთვან უპროცენტო სესხს იმით, რომ ანგარიშებას ყოველკვარტალურად გადააქცევს ყოველთვიურის ნაცვლად. ის კი ყველას ავინცყდება, რომ კოდექსითაც და პროექტითაც გადასახადის გადამხდელები ვალდებული არიან, მოგებისა და ქონების გადასახადში წინასწარ გადასახადონ გადასახადები „მიმდინარე გადასახდელების“ სახით; რაც წინავს, რომ ხელისუფლება თავად იღებს უპროცენტო სესხს გადამხდელებისგან, ოლონდ – ერთწლიანს. პროექტით კი ეს მდგრამარეობა კიდევ უფრო მძიმდება – შემოდის მიღებული ავანსების დაბეგვრა დამატებული ლირებულების გადასახადით (დღგ-ით). თითქოს ეს უკეთესი უნდა იყოს მეწარმისთვის, რადგან ის გადასახადს ნაწილ-ნაწილ გადაიხდის და არა – ერთბაშად. სინამდვილეში კი ამის კეთება არ არის სწორი, არც – თეორიულად და არც – პრაქტიკულად:

შინაარსობრივად, დღგ არის გადასახადი, რომლითაც იძეგრება შექმნილი დამატებული ლირებულება. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი გადაცემა ხდება სხვა პირისთვის (მომხმარებლისთვის). მიღებული ავანსის შემთხვევაში კი, ეს დამატებული ლირებულება ჯერ არც შექმნილა და, მით უმეტეს, არც გადაცემულა. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ იგი არც არასდროს შეიქმნას. მაში, რას ვბეგრავთ?

ეს მოქმედება პრაქტიკული თვალსაზრისითაც გაუმართლებელია. სიცხადისთვის მოვიტან ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას – ბინათმშენებლობას. შენებლობები 2-3 წლის განმავლობაში მიმდინარეობს და ამ ხნის განმავლობაში მშენებლები მშენებლი მყიდველისგან ნაწილ-ნაწილ იღებს ავანსებს, რაც მისთვის საბრუნვი სახსრებია დანახარჯების გასაწევად – მასალების საყიდლად, სამშენებლო ტექნიკის დასაქირავებლად და ა.შ. რა გამოვა, თუკი ამ თანხებიდან 18%-ს ამოვაცლით მშენებლს? – იგი იძულებული გახდება, ეს თანხა სხვა-გან მოიძიოს, ანუ – აიღოს კრედიტი და

იხადოს მასზე პროცენტები. ეს წილავს, რომ მისი დანახარჯების ოდენობა იზრდება, რაც ან მოგებას შეუმცირებს მას, ან ბინის ფასს გაზრდის. ცხადია, ესეც უარყოფითი მოვლენაა.

წინასწარი დაბეგვრის ფორმაა ე.წ. „გრძელვადიანი კონტრაქტების“ დღგ-თი დაბეგვრაც. ეს მეოთედი დღეს მხოლოდ მოგების გადასახადში გამოიყენდა. პროექტით კი დღგ-შიც ვრცელდება, რაც, ზემოთ აღნირილი მიზეზების გამო, ასევე უარყოფითად აისახება მეწარმეების შემოსავლებზე.

ასევე გაუგებარა საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობების დაბეგვრა დღგ-თი, მაშინაც კი, როცა ამ შენობა-ნაგებობის სხვა პირისთვის გადაცემა არ ხდება.

გამოდის, რომ ხელისუფლება წინასწარ ცდილობს თანხების აკრეფას. ოლონდ ის ალარ ჩანს, რა მოხდება 2-3 წლის შემდეგ, როცა ამ თანხების „განაღდების“ ვადა დადგება. ორი ვარიანტია – ან 2-3 წლის შემდეგ კვლავაც ახალი „რევოლუციური“ კოდექსის მოწენა გავხდებით, ან დღევანდელი ხელისუფლება 2-3 წლის შემდეგ საკუთარ თავს ვეღარ ხედავს და დღესვე ცდილობს, თანხები „მოიმარაგოს“.

### 5. საშემოსავლო გადასახადი

უარესდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის რეჟიმიც:

დღეს მოქმედი კოდექსით, საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება ისეთი აქტივების გაყიდვით მიღებული ნამეტი, რომლებიც ფიზიკური პირის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და რომლებიც არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის. პროექტით კი ეს ნამეტი იძეგრება ნებისმიერ შემთხვევაში, გარდა უძრავი ქონებისა და არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწისა. უძრავი ქონების შემთხვევაში, თავისუფლდება მხოლოდ 30 000 ლარამდე მიღებული ნამეტი, ხოლო მიწის შემთხვევაში – მხოლოდ 2 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთის გაყიდვით მიღებული შემოსავალი.

კოდექსით ასევე თავისუფლდება 6 თვეზე მეტი ვადით მსუბუქი ავტომო-

ბილის გაყიდვით მიღებული ნამეტი შემოსავალი. პროექტით კი ასეთი გათავისუფლება აღარ არის.

საერთოდ აღარ არის შეღავათი აღნიშნულის გარდა სხვა აქტივების გაყიდვით მიღებულ შემოსავალზე. გამოდის, კაცმა, გაზირვების გამო, სახლიდან ძევლისძველი კარადა რომ გამოიტანოს და გაყიდოს, აქედან გადასახადი უნდა გადაიხადოს.

ამ გაუარესების გარდა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს იმ ქონების გაყიდვისას, რომელიც 2 წლის გადასახადზე, 2011 წლის პირველ ნოემბრი ხნით იყო პირის საკუთრებაში, გადასახადი 12% იყო. ახლა კი 20% იქნება. კოდექსით გათვალისწინებული იყო 20%-იანი განაკვეთის თანდათან შემცირება 15%-მდე – 2013 წლის 1 იანვრამდე. ამ ვადამაც (მათ შორის,

ხდება საგადასახადო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო მინაზე გადასახადი გადაიხდება საგადასახადო წლის პირველი აპრილის მდგომარეობით; ანუ იგულისხმება, რომ 2011 წლის პირველ აპრილს რომ წარვადგენ დეკლარაციას, იქ უნდა შევიტანო მინის შესახებ ის მონაცემი, რომელიც იმ დღისთვის მაქვს, აქედან გამომდინარე, საგადასახადო წელი არის 2011, ოლონდ 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რა განაკვეთი იქნება ქონების გადასახადზე, 2011 წლის პირველ აპრილს როგორ უნდა დაგადგინო? ხოლო თუ ეს 2010 წლის დეკლარაციაა, გამოდის, რომ, მინის გარდა, ქონებაზე გადასახადი იმის მიხედვით უნდა გადავისადო, რაც მქონდა გასული წლის 31 დეკემბერს, მაგრამ მინას რა ვუყო? შეარჩან

ვევაა, რადგან საგადასახადო კოდექსი არ ადგენს რაიმე გამონაკლის რომელიმე გადასახადის მიხედვით, რომლის ჩათვლაც სხვა გადასახადში აკრძალული იყოს; მეტიც, ერთი უწყების საგადასახადო და საბაჟო ორგანოები შემოსავლების სამსახურის შემადგენლი ნაწილებია. ტექნიკური ხასიათის პრობლემის გადაწყვეტას კი კოდექსების გაერთიანება არ სჭირდება.

ამ გაერთიანებას სხვა დაბრკოლების შექმნაც შეუძლია მენარმებისთვის – არსებობს მთელი რიგი მენარმეებისა, რომლებსაც საბაჟო კოდექსთან შეხება არ აქვთ. მათ მოუწევთ მნიშვნელოვნად დამძიმებული, სქელტანიანი კანონის შესწავლა იმისთვის, რომ ტერმინების განმარტება ან სხვა რაიმე ნიუანსი არ გამორჩეთ.

## ■ ნებისმიერი ხელისუფლებისთვის აჯობებს, სანამ დაბეგვრის საკითხების გადაწყვეტას შეუდგება, წაიკითხოს თუნდაც „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ და გაითვალისწინოს პრინცილიმონოს ბედი, რომელმაც გადასახადების დაწესება სცადა უუუუნა-თავსხმა-კოკისპირულ წვიმაზე.

დივიდენდზე და სესხის პროცენტზე გადასახადის განულების ვადამაც) ერთი წლით გადაიწია.

გაუარესებად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე იჯარისა და როიალტის დაბეგვრის შემოტანა გადახდის წყაროსთან. გამოდის, თუ პირი, ვთქვათ, საოფისედ ფართს ქირაოშს, მან უნდა დაუკავის გადასახადი გამქირავებელს. საინტერესოა, რა უნდა აკეთოს გამქირავებელმა?

### 6. მრავროვნება

ხელისუფლება გვეუბნება, რომ პროექტით დაძლებული იქნება ორაზროვნება და ბუნდოვანება. ეს რომ ასე არ არის, ამის დასასაბუთებლად მინდა ვკითხო ფინანსთა სამინისტროს – ამ პროექტის მიხედვით, თუ ამ სახით იქცა ეს პროექტი კანონად, 2011 წლის პირველ აპრილს რომ ქონების გადასახადის დეკლარაცია უნდა წარვადგინო, რომელი წლის დეკლარაცია იქნება იგი? პროექტში წერია, რომ დასაბეგრ ქონებაზე (მინის გარდა) გადასახადი გადაი-

პირველ აპრილს რომ მქონდა, იმის მიხედვით უნდა გადავისადო? ახლა რომ აღარ მაქვს, იმ მინაზე უნდა გადავისადო ქონების გადასახადი? ან 2010 წლის დეკლარაციაში როგორ უნდა შევიტანო ის მინა, რომელიც 2011 წლის, ვთქვათ, 15 თებერვალს ვიყიდე? გაუგებარია ხომ, რაც დაგწერე? ჩემთვისაც გაუგებარია. იმედი მაქვს, ფინანსთა სამინისტროსთვის არ არის გაუგებარი. რამდენ-აზროვნებაა ეს?

### 7. კოდექსების გაერთიანება

მთავრობა ამბობს, რომ მოხდება საგადასახადო და საბაჟო კოდექსების გაერთიანება, რომლის შედეგადაც გადასახადის გადამხდელს შეეძლება ჩემულებრივი საქმიანიბიდან წარმოშობილი გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხები გამოიყენოს საბაჟოზე გადასახადების გადახდისას და რომ დღეს ეს შეუძლებელია.

ის, რომ „დღეს ეს შეუძლებელია“, მოქმედი კოდექსის პირდაპირი დარღ-

### პოლოობა

დღეს მოქმედი კოდექსისა თუ შემოთავაზებული პროექტის შეუსაბამობებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. არავერი მითქვამს საურავების დარიცხვის წესის შეცვლასა თუ მთავრობის მიერ გადასახადის განაკვეთის დაწესების უფლებამოსილებაზე, ტერმინოლოგიურ თუ ენობრივ უხარისხობაზე, ჯარიმების არაადეკვატურობასა თუ საგადასახადო სამართალდარღვევების კრიმინალიზაციაზე, კიდევ ბევრ, ერთი შეხედვით, წვილომან საკითხებზე, რომლებიც კონკრეტულ სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი სხვა რამ გახლავთ – ნებისმიერი ხელისუფლებისთვის აჯობებს, სანამ დაბეგვრის საკითხების გადაწყვეტას შეუდგება, წაიკითხოს თუნდაც „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ და გაითვალისწინოს პრინცილიმონოს ბედი, რომელმაც გადასახადების დაწესება სცადა უუუუნა-თავსხმა-კოკისპირულ წვიმაზე. ■

სოციალური მისამართი

# ნახსენი, ჩოხატავის ახ იქნა ისტორიის

ერთადერთი გზა, რომელიც საბჭოთა წარსულს დაგვაშორებს,  
მისი შესწავლა და გადაფასებაა.

ნინო ჩიმაკაძე



1968 წელს, სტუდენტური ამბოხის დროს გერმანიაში მასობრივად და ხმა-მაღლა პირველად დაისვა კითხვა – „შენ იყავი ნაციისტი?“ კითხვას სტუდენტები – არა სხვებს, არამედ პირველ რიგში საკუთარ მშობლებს უსვამდნენ. ისტორიკოსები ამბობენ, რომ თუეთ შეიძლება დავასახელოთ გერმანიაში ნაციისტური წარსულის გადაფასების დაწყების თარიღი, ეს სწორედ 1968 წელია.

აღმოსავლეთ ევროპას საბჭოთა წარსულის გადაფასების ტალღამ 1990-იანებში გადაუარა. ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ბულგარეთი და ბალტიის-პირეთი – ამ ქვეყნებმა თითქმის ერთდღრულად, 1996 წელს მიიღეს ლუსტრაციის კანონი. მათ გაასაჯაროეს წარსული იმისთვის, რომ ის ამ ერების ნაციონალურ კომპლექსად არ ქცეულიყო.

ისტორიკოსები თანხმდებან იმაზეც, რომ რეალური წინსვლა ყოფილი ტოტალიტარული რეჟიმის მონანილე ქვეყნე-

ბს მხოლოდ მისი საფუძვლიანი კვლევის შედეგად შეუძლიათ.

საკუთარ თავზე გამოცდილი საბჭოთა რეჟიმის მიუხედავად, ეს 70 წელი საქართველოში დღემდე არა გამოკვლეული. საზოგადოებისათვის ცნობილი ფაქტები საკანონ ზედაპირულია და ძირითადად ზეპირად გავრცელებულ ისტორიებს ეყრდნობა. საბჭოთა იმპერიის დაშლიდან ორი ათეული წლის შემდეგაც კი საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს სერიოზული ლიტერატურა, რომლის საშუალებითაც ამ პერიოდის გაანალიზება და გადაფასება განდებოდა შესაძლებელი. აქ უშიშროების არქივებიც სულ რამდენიმე წელია, გაიხსნა და ეს მასალებიც არასრულყოფილია, რადგან მათი დიდი ნაწილი განადგურებულია, ნაწილი კი რუსეთში ინახება.

ამიტომ, იმ ორი სიახლის გამო, რაც წელს მოხდა, 2010 წელი საქართველოში შეიძლება სოვიეტოლოგის კვლევის დასაწყისად მივიჩნიოთ.

წელს აქ პირველად დაარსდა საბჭოთა წარსულზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია, ილიას უნივერსიტეტში კი გაიხსნა სასწავლო პროგრამა, რომელიც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სისტემებს შეისწავლის.

„საბჭოთა ეპოქა ჩვენთვის არის ისეთი წარსული, რომელიც ჯერ ისტორია არ გამხდარა. ის მოგვდევს შლეიფად და ფაქტობრივად დღემდე საბჭოთა ტრადიციებში ვცხოვრობთ“, – აცხადებს პროგრამის ხელმძღვანელი სერგო რატიანი.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, თავი თოლორდავა ერთ-ერთი პირველია, ვინც უკვე გადაწყვიტა, სწავლა ამ მიმართულებით გააგრძელოს. თავი საბჭოთა ისტორიით შარშან დაინტერესდა, როცა უნივერსიტეტში სალექციო კურსი „საბჭოთა რეჟიმი და მისი მემკვიდრეობა“ გაიარა.

„აღმოვაჩინე, რომ ის, რაც ვიცოდი

# საზოგადოება

საბჭოთა წარსულზე, ზღვაში წვეთი იყო. თუ სწორად არ გავიაზრებთ და გავაანალიზებთ საბჭოთა პერიოდს, ის პრობლემები რაც დღეს არსებობს, მოუგვარებელი დარჩება და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასაც დიდანს ვერ შევძლებთ“, – ამბობს მესამე კურსელი.

ილიას უნივერსიტეტში სალექციო კურსს – საბჭოთა ისტორიის შესავალს ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე უძლვება. ეს კურსი არჩევით საგნად ისწავლება და მას ბაკალავრები და მაგისტრანტები გადიან.

„არანაირი გარდატეხა არ მოხდება, თუ საბჭოთა წარსული არ გავაანალიზეთ. ამის ნათელი მაგალითია გერმანია, რომელმაც შეძლო, თავისი წარსულისთვის თვალი გაესწორებინა“, – აცხადებს ბაქრაძე და დასძენს, რომ ამ

ბა, რადგან მიიჩნევს, რომ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა ცალსახად წეგატიური იყო და ამიტომ მისი დადებითი მსარეების ძიება უშედეგო იქნება:

„როგორც ნაციისტური გერმანია იყო ტოტალიტარული სახელმწიფო და ის იყო ბოროტება, ასევე იყო საბჭოთა კავშირიც. ამიტომ საჭიროა, შევისწავლოთ, თუ რამ გამოიწვია ტოტალიტარიზმი. უნდა ვიყოთ პრინციპულური ღირებულებების შეფასებაში“, – აცხადებს რატიანი.

ილიას უნივერსიტეტში ამ სამაგისტრო კურსზე უცხოელ პროფესორებს მიინვევენ. სწავლებას გაუძლებებიან ქართველი პროფესორებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირს სხვადასხვა მიმართულებით, უკვე რამდენიმე წელია, იყვნენ. თუმცა, რადგან საბჭოთა პერიოდის სპეციალისტები ცოტანი არიან,

ილიას უნივერსიტეტში ამ სამაგისტრო კურსზე უცხოელ პროფესორებს მიინვევენ. სწავლებას გაუძლებებიან ქართველი პროფესორებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირს სხვადასხვა მიმართულებით, უკვე რამდენიმე წელია, იყვნენ. თუმცა, რადგან საბჭოთა პერიოდის სპეციალისტები ცოტანი არიან, რომელიც ახლა სამაგისტრო წაშრო-

ტების არასათანადო ინფორმირებულობას აბრალებს:

„ამ კურსის პოპულარიზაცია უნივერსიტეტში არ ხდება, ამიტომ არ ვიცი, მომავალ წელს თუ მაინც შედგება ახალი ჯგუფი“, – აღნიშნავს კანდიდატი.

24 წლის დათო ჯიშვარიანმა, რომელიც მანამდე ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა, ამ პროგრამის არჩევა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გადაწყვიტა. „მაშინ დაკავებული, რომ აუცილებლად გვჭირდება რუსეთის საფუძვლიანი შესწავლა. განსაკუთრებით კი საბჭოთა და შემდგომი პერიოდის განალიზება. დღეს საქართველოში გარდამავალი პერიოდია და თუ გვინდა, რომ ეს ეტაპი წარმატებულად გადავლახოთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, სად ვიყავით მანამდე“, – ამბობს ჯიშვარიანი, რომელიც ახლა სამაგისტრო წაშრო-

■ „საბჭოთა ეპოქა ჩვენთვის არის ისეთი წარსული, რომელიც ჯერ ისტორია არ გამხდარა. ის მოგვდევს შლეიფად და ფაქტობრივად დღემდე საბჭოთა ტრადიციებში ვცხოვრობთ“.

პერიოდის მხოლოდ ცალსახა და იდეოლოგიზირებული შესწავლა არ უნდა მოხდეს, ქართველებმა კი, მხოლოდ როგორც მსხვერპლმა, არ უნდა წარმოვიდგინოთ თავი:

„ჩვენ მსხვერპლიც ვიყავით და დამნაშავეც. უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის დეიდეოლოგიზირებული კრიტიკა და მეცნიერული კვლევა“, – ამბობს ბაქრაძე.

დეიდეოლოგიზაციის რეკომენდაციას აძლევს ქართველ მკვლევრებს პოლიტიკურ მეცნიერებათა ამერიკელი დოქტორი ტიმოთი ბლოველტიც, რომელიც ილიას უნივერსიტეტს სტუმრობდა ლექციით – „სოკეტოლოგიის ისტორია ინგლისურენოვან სამყაროში“.

„მესმის, რომ როდესაც საკუთარ თავზე გაქვთ ყველაფერი გამოცდილი, ძნელია ობიექტური იყო, მაგრამ თუ მეცნიერული შესწავლა და კვლევა გინდათ, მაშინ უკეთესია, ამ ეპოქისგან დისტანცირება მოხდეს“, – აღნიშნავს ბლოველტი.

სერგო რატიანი ამ აზრს არ ეთანხმე-

თსუ-ს რუსეთისმცოდნების სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი დათო ჯიშვარიანი ამბობს, რომ სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში სრულყოფილი არ არის.

საბჭოთა ეპოქას ორი სემესტრი ეთმობა რუსეთისმცოდნების პროგრამაში, რომელიც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2008 წლიდან არსებობს. სტუდენტები საბჭოთა ისტორიას და საბჭოთა იდეოლოგიურ ისტორიას ცალ-ცალკე საგნებად სწავლობენ და ამისთვის უშიშროების არქივებსაც იყვლევთ.

პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიონალი კანდიდატების თქმით, მაგისტრანტების ყველაზე დიდ ინტერესს სწორედ ეს ორი საგანი იწვევს.

თუმცა, თსუ-ში ამჟამად ასეთი დაინტერესებული სულ ექვსი სტუდენტი სწავლობდნენ. 2009 წელს კი მიღება მაგისტრატურის ამ პროგრამაზე საერთოდ ჩაიშალა, რადგან რუსეთისა და საბჭოთა სისტემის კვლევა არც ერთმა სტუდენტმა არ ისურვა. კანდიდატი ამას სტუდენ-

ტების 1937 წლის რეპრესიების დეტალებს იკვლევს.

მსგავსი მიზანი აქვს წელს დაარსებულ 7-წევრიან არასამთავრობო ინგრანიზაციასაც „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიას“, რომელიც ახლა ტერორის ტოპოგრაფიული რუკის შექმნაზე მუშაობს. რუკაზე დაიტანენ ტერორითან და რეპრესიებთან დაკავშირებულ ადგილებს: სახლებს, სადაც ცხოვრობდნენ რეპრესირებულები, ციხეებს, დახვრეტის ადგილებს, საიდუმლო ორგანიზაციების შეხვედრის ადგილებსა და კონსპირაციულ ბინებს.

წლის ბოლოსთვის თრაგანიზაცია ვებგვერდის გაეთებასაც აპირებს, სადაც საბჭოთა პერიოდის შესახებ ფოტო და ტექსტურ მასალასა და უშიშროების არქივების დოკუმენტებსაც ატვირთავენ.

თუმცა ის, რასაც ლაბორატორიაში აკეთებენ და ის, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე დაინტერესის უკავებობის სახელმწიფო სამუშაოსა და გადადგმული ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. □

განათლება

# სამინისტრო ლაბაჩები

უკვე ჩანს იმის ნიშნები, თუ რისთვის სჭირდება განათლების სამინისტროს 2 ათასამდე საჯარო სკოლაში დირექტორების დანიშვნა.

რუსუდან ფანზიშვილი



დიმიტრი შაკაინის შეხვედრა სკოლების დირექტორებთან

ბოლო ორი კვირაა, თბილისის და რეგიონების ყველა სკოლის დირექტორი თავის რიგს ელოდება – განათლების სამინისტროში „არიან დაბარებულები“. იქ მისულები სპეციალურ კომისიას ხვდებიან და რამდენიმე საათის განმავლობაში თავ-თავიანთი სკოლების საშტატო განრიგს განიხილავენ.

„შემით ველოდებით, არ ვიცით, იქიდან რომ გამოვალთ, რა იქნება, – ამბობს ერთ-ერთი მათგანი, – უცებ დაგვიბარეს, სასწავლოდ უნდა მოგვარდეს ყველაფერიო“.

საშტატო განრიგები დირექტორებმა, დიდი ხანია, სამინისტროს გადაუგზავნეს, თუმცა მათი თქმით, ამ დოკუმენტაციას განათლების სამინისტროში ბოლო დრომდე ყურადღებას არ აქცევდნენ. ახლა კი მასალის დაწერებულ განხილვას მასწავლე-

ბლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება სდევს თან.

სკოლიდან თანამშრომლების სასწავლო გაშვება, რომელსაც განათლების სამინისტროში კატეგორიულად არ ნათლავენ „შემცირებად“, მაისის არჩევნების შემდეგ განათლების სამინისტროს მიერ წამოწყებული მეორე მტკიცნეული ცვლილებაა, რომელიც პირველს – დირექტორების დანიშვნის პროექტს მოჰყვა კვალდაკვალ და მასთან კავშირშია.

ამ პროექტის მიხედვით, რომელიც პარლამენტმა, საგარაუდოდ, სექტემბერში უნდა დაამტკიცოს, საქართველოს ორი ათასამდე სკოლაში დირექტორებს მხოლოდ სამინისტროსთან გასაუბრების შემდეგ გაანანილებენ. დირექტორთა დანიშვნის პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი თვითონაც

დირექტორია, თანაც – არჩეული. ალუდა გოგლიჩიძე 42-ე საჯარო სკოლის დირექტორად 3 წლის ნინ სამეურვეო საბჭომ აირჩია. თუმცა, ახლა ამბობს, რომ სამეურვეო საბჭოები სათანადოდ კომპეტენტურები არ იყვნენ, მათთვის ამხელა პასუხისმგებლობა რომ დაგვეკისრებინა, რის გამოც მათ ბევრ სკოლაში ღირსეული დირექტორები ვერ აირჩიეს.

გოგლიჩიძე ამ ინიციატივის კრიტიკოსთა მოსაზრებას ეთანხმება და აცხადებს, რომ დირექტორების დანიშვნა სწორედ ზოგადი განათლების სისტემის ცენტრალურაციისკენ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს: „ფსევდოდემოკრატიას ნუ ვითამაშებთ... უნდა დაისახა კითხვა: ვისა სკოლა? განათლების სამინისტრო არის სკოლის დამფუძნებელი და ის არის მასზე პასუხისმგებელიც“.

განათლების მინისტრი და ალუდა გოგლიჩიძე ამტკიცებენ, რომ ახალ ინიციატივას ყველა დირექტორი დიდი მოწოდებით შეხვდა. თუმცა, „ლიბერალი“ ესაუბრა დირექტორებს, რომელთა ნაწილსაც, მიუხედავად იმისა, რომ უფლებები ეზრდებათ, ცვლილება მაინც შეცდომად მიაჩნია.

„სკოლების ავტონომიურობის იდეას ბოლო მოეღება, ეს სკოლებზე კონტროლის მოპოვების იარაღი იქნება“, – ამბობს თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორი, რომელმაც, რამდენიმე კოლეგის მსგავსად, გვთხოვა, მისი ვინაობა არ დაგეხსახელებონა: იმის გამო, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ, დირექტორებს სამსახურის დაკარგვის ეშინიათ.

უკან გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია

ეს ცვლილება 161-ე სკოლის დირექტორს, მიშა მინდაქესაც, თუმცა, იმასაც დასძნს, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. „სამეურვეო საბჭოებმა მართლა არ გაამართლა, ვიდრე სხვა გამოსავალი მოიძებნება, ჩემი აზრით, დანიშნა ტრაგედია არაა“, – ამბობს მინდაქე.

თოხწლიანი მუშაობის თავზე სამეურვეო საბჭოების არაეფექტურობა არც განათლების ექსპერტებისთვისაა საკამათო და არც დირექტორებისთვის. საბჭოს ბევრმა წევრმა საკუთარი ფუნქციების გააზრება მართლაც ვერ შეძლო. სკოლის საერთო ინტერესების ნაცვლად კი, დირექტორების თქმით, საბჭოს მასწავლებელი წევრები ხელფასის მომატებაზე ფიქრობდნენ, მშობლები – შვილების მაღალ ნიშნებზე.

„კი მაგრამ, როდის და როგორ დაი-

ტილებით, საკუთარ თავზე აიღებენ, სწორედ სკოლების საშტატო განრიგის შემცირება იქნება. მასწავლებლის სრული განაკვეთი 18 საათია, ვინც კვირაში ამაზე გაცილებით ნაცლებს მუშაობს, უნდა გაათავისუფლონ. ზოგ სკოლაში ბიბლიოთეკარისა და ორგანიზატორის საჭიროების საკითხი დააყენეს ეჭვეჭვებ, ზოგან – ექიმებისა და ექთნების, – მათი საქმე ახლა მანდატურებმაც იციანო.

„მე ბიბლიოთეკარი გამაშვებინეს, რომელიც ძალიან მჭირდებოდა“, – ამბობს ერთი დირექტორი. 165-ე სკოლის დირექტორმა, ლია გიგაურმა კი, ვიდრე სამინისტროში შეხვედრაზე ნავიდოდა, თვითონვე დაიწყო შტატების შეკვეცაზე ზრუნვა: „ხელოვნების ერთმა მასწავლებელმა, რომელსაც ცოტა საათი ჰქონდა, უკვე დატოვა

არ ყოფილიყო, აქამდე დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები ისედაც აღარ უნდა დარჩენილიყვნენ სკოლაში. ახლა კი, არასწორი პრინციპით, „საშტატო განრიგის დახვეწის“ არგუმენტით, ნაჩქარევად გვიწევს ბრძანების შესრულება, თან ის მასწავლებლები ტოვებენ სკოლას, ვისაც ნაკლები საათი აქვს, და არა ისინი, ვინც ცუდად ასწავლის. ნაცლები საათები კი უფრო ახალგაზრდებს აქვთ. ამიტომ, ბევრ კარგ მასწავლებელს მოუწევს სკოლიდან წასვლა“, – ამბობს ერთ-ერთი დირექტორი.

დირექტორთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, თეა თუთერიძეს მიაჩნია, რომ მასწავლებლების უკმაყოფილების გამოწვევას აქამდე განათლების სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევ-

## ■ საჯარო სკოლებიდან დირექტორების მიერ კადრების გათავისუფლება შეიძლება იმის პირველ ნიშნად ჩაითვალოს, რომ სამინისტრო ცენტრალიზებულ სისტემაში დანიშნულ დირექტორებს ლეგიტიმურად გამოიყენებს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

ხელნებიან სამეურვეო საბჭოები, თუ მათ უფლებებს ასე შევუზღუდავთ? განვითარება გამოცდილებამ არ უნდა მოიტანოს?“ – კითხვას სვამს თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის არჩეული დირექტორი. 165-ე სკოლის დირექტორს, ლია გიგაურს კი მააჩნია, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ მის წევრებს სათანადო გადაამზადებენ.

დირექტორების დანიშვნის გადაწყვეტილებას თვითონ განათლების მინისტრი, დიმიტრი შაშკინი იმით ხსნის, რომ ლოგოტიპინის სისტემაში არ იმუშავა, დანიშვნის შემდეგ კი ის დირექტორებიც უფრო იგრძნობენ პასუხისმგებლობას, რომელიც დღემდე არც აურჩევიათ და არც დაუმტკიცებიათ და მოვალეობის შემსრულებლებლად რჩებიან.

პირველი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა კი, რასაც დასანიშნი დირექტორები, სამინისტროს

სკოლა, მეორეს კი, რომელიც უკვე მოხუცია, ახლა ვუთხარი, ხომ არ იფიქრებთ სკოლიდან წასვლაზე-მეთქი“, – ამბობს ლია გიგაური.

მასწავლებლების არაკვალიფიციური ნაწილი რომ შესამცირებელია, ამაზე განათლების სფეროს ექსპერტები, დიდი ხნია, მსჯელობები. თუმცა, დირექტორები „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებენ, რომ პედაგოგების დათხოვნის საშუალებას ბოლო 3 წლის განმავლობაში მათ თვითონ განათლების სამინისტრო არ აძლევდა.

„ჩემს მასწავლებლებს თავიდან სამთვიანი ხელშეკრულებები გავუფორმე. ეს მათ მოტივაციას უმაღლებდა. მერე სამინისტროში გვითხრეს, – ერთნლიანი ხელშეკრულება დაუდეთო, შემდეგ – სამწლიანი, ბოლოს – უვადო“, – იხსენებს ერთ-ერთი არჩეული დირექტორი, რომელიც ასევე ინკონტინდ დარჩენას გვთხოვს.

„გამოდის, რომ მასწავლებლების განაწყენება არ უნდოდათ. ასე რომ

ნების გამო ერიდებოდა. თუმცა, რეალურად, განათლების სამინისტრო მათ არც ახლა გაანაწყენებს. ამ საქმეს დირექტორები შეასრულებენ – „საშტატო განრიგის დახვეწის მიზნით“.

„რა, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერ იღებო? – მითხრეს, როცა წინააღმდეგობის განევა და ბიბლიოთეკარის შტატის შენარჩუნება ვცადე, – ამბობს ერთი დირექტორი და დასძენს, – ვერაფერს გავხდი“. ხუთი წლის წინათ დაწყებული განათლების რეფორმების კურსი უკვე შეფრივის გარეშე იცვლება, რასაც დირექტორების დანიშვნის შესახებ ბოლო ინიციატივაც ადასტურებს. საჯარო სკოლებიდან დირექტორების მიერ კადრების გათავისუფლება კი შეიძლება იმის პირველ ნიშნად ჩაითვალოს, რომ სამინისტრო ცენტრალიზებულ სისტემაში დანიშნულ დირექტორებს ლეგიტიმურად გამოიყენებს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. □

სამედიცინო უნივერსიტეტი „მკურნალის“

# ბაშინოლით საცაონი 360გაბის

სამედიცინო უნივერსიტეტი „მკურნალის“ ვებ-გვერდზე, უნივერსიტეტის ექიმები ინტერაქტურის, სამედიცინო კონსულტაციის ნაცვლად, სასულიერო შეგონებებით მოძღვრავენ.

## ანიტა თვალი



„მინდა მოგიყვეთ ჩემზე. ვარ 18 წლის გოგონა. ბავშვობიდან მიზიდავდა გოგონებთან ურთიერთობა... ვცადე ბიჭთან კონტაქტიც, ვიფიქრე, რალაც შეიცვლებოდა, მაგრამ – პირიქით. ვიცი, საზოგადოებისთვის მიუღებელია და ეს ძალიან მაშინებს. პირმოწები გამოიყელი და ყველაფერი ნორმში მაქს. ფსიქოლოგთან დავდორდი და არაფერი განსაკუთრებული არ უჰქმდს, გარდა დაშინებისა, რომ საზოგადოება გამრიყავს. მანტერესებს ამაზე თქვენი აზრი. გმადლობთ ნინასნარ“, – ამ კითხვით უცნობმა გოგონამ სამედიცინო უნივერსიტეტის – „ოჯახის მკურნალის“ ექიმებს ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით მიმართა.

„თქვენ საზოგადოების კი არა, საკუთარ ვნებების უნდა გეშინოდეთ. პიროვნებას საზოგადოება კი არ აქცევს ზურგს, არამედ იგი თავად აქცევს საზოგადოებას ზურგს. უნდა იცოდეთ, რომ ჯანსაღი საზოგადოება ტაშის ვერ დაუკრაას ჰომოსექსუალებსა და ლესბოსელებს. მაშინ რა დაშავეს ნარკომანებმა, ისინიც ხომ თავის სურვილებს იკმაყოფილებენ?“ – იყო პასუხი.

სამედიცინო უნივერსიტეტი „მკურნალი“, რომელიც 2001 წლიდან, ორ კვირაში ერთხელ გამოდის ბეჭდური სახით, უკვე ორი წელია, თავის ერთგულ მეითხველს ყველაზე ინტიმური კითხვების დასმის საშუალებას აძლევს – ანონიმურად, ვებ-

გვერდის საშუალებით. „არავისთვის არის საიდუმლო, რომ დღეს საზოგადოების უდიდეს ნაწილს სამედიცინო მომსახურებაზე ხელი არ მოუწვდება... ბევრი ხსნას თვითმკურნალობაში ექცეს. სამწუხაოოდ, ასეთ დროს შეცდომის ალბათობა დიდია, შეცდომის გამოსწორება კი მედიცინაში თითქმის ყოველთვის როდი ხერხდება... – ასე ხსნის „მკურნალის“ რედაქცია ვირტუალური კითხვა-პასუხის მიზანს და მკითხველს არნმუნებს, რომ პაციენტების კითხვებზე პასუხებს პროფესიონალი, სერტიფიცირებული ექიმები წერენ.

სექსისა და ჰომოსექსუალობის თემები ჩვენს საზოგადოებაში დღემდე ტაბუირებულია. საჯაროდ ამის შესახებ

ყვითელი პრესის ან სენსაციური გადაცემების ფორმატში თუ ლაპარაკობენ. რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტის, კულტურის სალომე ასათანის აზრით, ტაბუს ურყევად შენარჩუნებას სამი ფაქტორი უწყობს ხელს: საბჭოთა მეწარმეთი, რომლის მიხედვითაც ჰომოსექსუალობა კრიმინალად ითვლებოდა, კავკასიური კულტურული ტრადიციები და მართლმადიდებლური ეკლესის გავლენა. ალბათ ამიტომაც სექსობრივ პრობლემებზე ექიმებთან პირისპირ ლაპარაკის ნაცვლად, „მკურნალის“ ანონიმურ მომსახურებას ბევრი ამჯობინებს. ეს კი ამ ვებ-გვერდის მზარდ პოპულარობას განაპირობებს. „ტოპ.ჯი“-ს მონაცემებით, რომელიც ქართული ინტერნეტ-გვერდების რეიტინგს ზომავს, „მკურნალის“ – კვირაში 3 ათასამდე უნიკალური მომსახურები, დღეში კი 500 ვიზიტორი ჰყავს. აյ მოქალაქებისგან ზოგჯერ დღეში ასი

ორალური სექსის ზიანის მიყენების ალბათობით დაინტერესებული მეითხველებიც. „ორალური სექსი ისეთივე სიმახინჯეა, როგორიც იქნებოდა, მაგალითად უკანა ტანიდან ჭამა, ყურებიდან მოშარდვა ან თვალებით სიარული. უფალმა ადამიანი შექმნა სრულყოფლად არსებად.... [მის] თითოეულ ორგანოს გარკვეული დანიშნულება და ფუნქცია აქვს და როდესაც ადამიანი ცდლობს ფუნქციათა შეცვლას, იგი კანონზომიერების წინააღმდეგ მიღის, ანუ უფალს ენინააღმდეგება“, – პასუხობენ სამედიცინო კონსულტაციის მომლოდინები პაციენტებს ექიმები.

„თქვენ მამაკაცად გაჩნდით და მამაკაცური ორიენტაცია თქვენი საკუთრებაა. არატრადიციული ორიენტაციის მიმდევრები რომელი სექსის წარმომადგენლები არიან? მგონი – არც ერთის, ადამიანს კი სექსი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. გამოღის, რომ როგორც არიენტაციას იცვლი, თქვენ მამაკაცად გაჩნდით და მამაკაცური მიმდევრები არიან? მაგრამ როგორც კი კითხვაც კი შედის. დღემდე ამ ვებ-გვერდს კონსულტაციისთვის 8 ათასამდე ვირტუალურმა პაციენტმა მიმართა.

ვებ-გვერდის იმ განყოფილებებში, რომლებიც სტომატოლოგის, თნკოლოგის თუ ქირურგის სფეროდან კითხვები ქვეყნდება, პასუხები მართლაც სამედიცინო ბასისათვისა. მაგრამ როგორც კი კითხვა ადამიანის სექსუალურ ცხოვრებას ეხება, „მკურნალების“ ტონი მკაცრი და შემგონებლური ხდება. ექიმი-კონსულტაციის ნაცვლად, იმ წუთას დოგმატიკონი თეოლოგი ლაპარაკობს.

აი, მაგალითად გოგონა, რომელიც შეეცარებულთან სექსუალური აქტის შემდეგ სისხლის დენის მიზეზით დაინტერესდა, „მკურნალის“ კონსულტაციისგან ასეთ პასუხს იღებს: „ყველაფერს რომ თავისი სახელი დაუკრევათ, თქვენ ჩაიდინეთ სიძვის ცოდვა“. მსგავს პასუხს იღებენ ანალური ან

ადამიანობაზე ამბობ უარს“, – ასეთია მათი პასუხი სექსუალური უმცირესობების მიმართ. „მკურნალის“ ექიმები პაციენტებს მოძღვართნ მისვლას და მონანიებას, ან „საპატრიარქოსთან არსებულ ფისქალოგიური დახმარების ცენტრში“ ვიზიტს ურჩევენ.

„მკურნალი.ჯი“-ს ვებ-გვერდის მიერ დაქირავებული ექიმების ჩამონათვალში ეხები თერაპევტი, ქირურგი, პედიატრი, ექიმ-პაიდემიოლოგი და ერთი ფისქალოგი შედის. თუმცა, ყველა სხვა სახის კითხვებისგან განსხვავდით, ადამიანების ინტიმურ ცხოვრებაზე პასუხები ექიმის მითითების გარეშე ქვეყნდება. უკურნალის მთავარი რედაქტორი თამარ მამაცაშვილი „ლიბერალთან“ სატელეფონო საუბარში ამბობს, რომ ექიმის სახელის მითითება საჭირო არცაა, რადგან მართალია, კითხვებს სხვადასხვა ექიმი პასუხობს, მაგრამ მათი პასუხები რედაქციის

ერთიანი პოზიციაა, შინაარსზე პასუხსაც, შესაბამისად, რედაქცია აგებს.

„მკურნალი.ჯი“-ს რედაქცია დახურულ, გასაიდუმლობრივ ორგანიზაციას ჰგავს. „თუ გინდა, ბელები გვიწოდეთ, თქვენი აზრი ჩვენ შესახებ მნიშვნელოვანი არ არის. ჩვენს რელიგიურ შეხედულებებზე ვებ-გვერდზე უკვე დავწერეთ და ამაზე საუბარს საჭიროდ აღარ ვთვლით. თუ ვინმეს ჩვენი რელიგიური შეხედულებები აღიზიანებს, ეს მათი პრობლემაა“, – ამ სიტყვებით გვეყნება უარს თამარ მამაცაშვილი რედაქციაში სტუმრობაზე.

„ზენ ყებლაფერზე ერთიანი პოზიცია გვაქვს და თუ რამე კითხვა გაქვთ, თამარ მამაცაშვილი გაგცემთ პასუხს“, – გვპასუხობს უკურნალის ერთ-ერთი ექიმი მარიკა დვალი, რომელიც, „მკურნალის“ გარდა, „აუკრსის კლინიკაშიც“ მუშაობს.

„ექიმი უნინარესად პროფესიონალი უწდა იყოს, რომლის კომპეტენციაშიც არ შედის იმის დადგენა, თუ რა არის ცოდვა“, – აცხადებს სალომე ასათანი.

„მსგავსი პასუხები ექიმების იმიჯს აზიანებს“, – განმარტავს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის RADIX-ის პარტნიორი ზურბაბ ალხანიშვილი. მისი თქმით, პაციენტს ექიმისან მისვლამდე ისედაც ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა უნდა იყოს, მორიცებულობა და ინტიმურ საკითხებზე საუბარი. ამ ფონზე კი ექიმების ასეთი პასუხები „არაკომპეტენტურობა და სამედიცინო ეთიკის დარღვევაა“.

საქართველოს ექიმის კოდექსი 2003 წელს საქართველოს ექიმთა პირველმა კონგრესმა მიიღო. ამ კოდექსის მიხედვით, „ექიმი პატივს უნდა სცემდეს პაციენტის პიროვნებას, მის კულტურულ, სულეურ და მორალურ ფასულობებს“. ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული პროფესიული განვითარების საბჭო, სამედიცინო შეცდომებთან ერთად, სამედიცინო ეთიკის დარღვევის ფაქტებსაც განიხილავს. თუმცა, ექიმის ეთიკურობის საკითხი საბჭომ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება განიხილოს, რაც მას პაციენტი მიმართავს საჩივრით. „ამგვარი უკურნალის შესახებ არაფერი მსმენია. მით უმეტეს, როდესაც ინტერნეტში დასმულ კითხვებზე საუბარი, რა გარანტია არა-ცოდვის ცოდვაზე დამატებით გვა-

ქვს, რომ მართლაც ექიმი პასუხობს? თუ ვინმებ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, მოგვმართოს, დაასაბუთოს, რომ პასუხი მართლაც სერტიფიცირებულმა ექიმმა გასცა და ჩვენ გამოვიკვლევთ", – ამბობს ჯანდაცვის სამინისტროს აპარატის უფროსი თამარ მანჯავაძე.

თუმცა, „მუზრნალი.გვ"-სთვის დღემდე არავის უჩივლია. ისიც გაურკვეველია, აკმაყოფლებთ თუ არა ვირტუალურ პაციენტებს სამედიცინო რჩევების ნაცვლად გაცემული სასულიერო შეგონებები. ამიტომ მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, როგორ გრძნობს თავს პასუხების მიღების შემდეგ თუნდაც ის 18 წლის გოგონა, რომელმაც, ანონიმურობის იმედით, გაბედა და ყველაზე ინტიმურ სექსუალურ საიდუმლოებაზე საჯაროდ ილაპარაკა. „ადამიანებს, რომლებიც ვერ უჩელავდებიან საკუთარ ლტოლვას და ვერც საზოგადოებრივ წესს უძლებენ, რომელიც მას ცოდვილის, გარყევნილის იარღიყს აკრავს, შინაგანი კონფლიქტი ულვივდებათ და ნეგატიური თვითშეფასება უყალიბდებათ. ამან კი, მძიმე შემთხვევაში, ადამიანი შეიძლება სუციდამდეც კი მიიყვანოს", – აცხადებს ქალთა ინციდენტების მხარდაჭერი ჯაგუფის დირექტორი, ეკა ალდგომელაშვილი.

მიუხედავად ამისა, „მუზრნალის" ვებგვერდზე ამგვარ კომენტარებს სტუმრები მაინც იშვიათად ტოვებენ: „მიხარია, რომ ასეთი კარგი ვებ-გვერდი არსებობს, მაგრამ როდესაც კონკრეტული შეკითხვით მოგმართავენ და თქვენ მორალს უკითხავთ, რატომ აძლევთ თავს ამის უფლებას, რომ სხვა ადამიანი განსაჯოთ, ესეც ხომ არამართლმადიდებლურია?"

კიდევ უფრო კრიტიკული შეფასებები კი მხოლოდ სხვა ვებ-გვერდებზე და სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" ვრცელდება: „რწმენისთვის არსებობს ეკლესია... მაგრამ მე როცა მაინტერესებს პასუხი იმაზე, თუ რატომ მასლოვინებს სამშაბათობით, ამაზე უნდა მივიღო პასუხი, და არა მარხვაზე და სულიერ წიაღსვლებზე".

„ექიმი ვალდებულია, უმუზრნალოს სხეულსაც და ეცადოს, დადებითი მუხტი შეიტანოს პაციენტის სულიერ მდგომარეობაში. ეს მათი განკითხვისთვის კი არა, მათსავე სასიკეთოდ კეთდება", – პასუ-

ხობს რედაქცია, სადაც აცხადებენ, რომ „მუზრნალის" მიმართ კრიტიკა ბოლო ხანს გახშირდა, იმატა რედაქციაში აგრესული შინაარსის ზარებმაც.

მღვდელ ვლადმირ ვახტანგაძეს „მუზრნალის" შესახებ არასდროს სმენია, მის საწინააღმდეგოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ აცხადებს: „ნებისმიერმა ექიმმა, პირველ რიგში, საკუთარი მისია უნდა შეასრულოს პირნათლად. მისი ვალდებულებაა, პაციენტი განკურნოს. თუკი, ის კამიეტენტურია რელიგიურ საკითხებში, დასაშვებია, რჩევა მისცეს, მაგრამ ექიმისგან ფსიქოლოგიური ძალადობა არ უნდა მოღიოდეს".

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კოდექსი ექიმებს ავალდებულებს, პაციენტს სრული ინფორმაცია მიაწოდონ საკუთარი დაავადების შესახებ, მათ არც ერთ პასუხში არ უხსესებით ის, რომ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ 1990 წელს ჰომილსუსალობა დაავადებათა კლასიფიკატორიდან ამოიღო. სამედიცინო პრაქტიკას კი, როგორც ეკა ალდგომელაშვილი ამბობს, ჰომილსუსალობისგან „განკურნების" შემთხვევა არ ახსოვს.

სალომე ასათიანის შეფასებით, იმის ნაცვლად, რომ ექიმები საზოგადოებაში გამეფებული სტერეოტიპების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, თავიანთი პასუხებით ისინი თავად თესავენ შეურაცხმოველ და სიძულვილით გაულენთილ კლიშეებს. ისეთ პასუხებს, როგორიცაა – ჰომილსუსალობა უდრის „ადამიანობაზე უარის თქმას" და „ბუნების წინააღმდეგ ნასვლას" – მედიცინასთან არაფერი აქვს საერთო. ეს მხოლოდ იაფებასიანი მორალიზმის მაგალითია", – დასძნას ასათიანი.

„მუზრნალის" რედაქციაში აცხადებენ, რომ მათი კითხვა-პასუხის თნალი სისტემა უპირისმატოდება გაუმართავ ჯანდაცვის სისტემას და თვითმკურნალობის შემთხვევებს, რაც ხშირია, იმიტომ რომ ადამიანები ექიმებს ვერ მიმართავენ. თუმცა, იმ კონსულტაციას, რასაც ისედაც დახურულ საზოგადოებაში „მუზრნალი" პაციენტს სთავაზობს, შესაძლოა, კიდევ უფრო მძიმე შედეგი ჰქონდეს, ვიდრე ფიზიკური ტრავმები და საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაში გაურკველობაა. □



## გამოიცერეთ

### ურნალი ლიპერალი

#### პატლური ვერსია

12 ნოემბერი – 3 თვე  
22 ლარი

24 ნოემბერი – 6 თვე  
45 ლარი

48 ნოემბერი – 1 ლიტო  
90 ლარი

#### PDF ვერსია

12 ნოემბერი – 3 თვე  
13 ლარი

24 ნოემბერი – 6 თვე  
25 ლარი

48 ნოემბერი – 1 ლიტო  
50 ლარი

ურნალის გამოსაწერად  
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვაწოდეთ თქვენი

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge

თვალსაზრისი

# ჩა ცის მარა?

ნესტან თათარაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი



თბილისის ოპერა

თბილისის ოპერას სამშენებლო ღობე აქვს შემოვლებული. უახლოეს ხანში მისი აღდგნა-განახლების პროცესია დაგეგმილი, რაც კიდევ ერთხელ გვახსენებს ამ დიდებული შენობის საინტერესო ისტორიას, რომელიც 1896 წლის 3 ნოემბერს, „თბილისის სახაზინო ოპერის თეატრის“ სახელით, საზეიმოდ გაიხსნა.

შენობას რეკონსტრუქცია პირველად 1954 წელს ჩაუტარეს, მაგრამ მაშინ მხოლოდ ფორი და დარბაზის მორთულობა შეცვალეს. 1961 წელს ოპერის სცენა დაამშვენა ცნობილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის მიერ მოხატულმა ფარდამ. თუმცა, 1973 წლის 9 მაისს მომხდარი ხანძრის გამო, როცა თეატრის დიდი ნაწილი განადგურდა, შენობის სრული განახლება გახდა საჭირო. არქიტექტორების, ლერი მეძმარიაშვილის და მურთაზ ჩაჩანიძის გამარჯვებული პროექტის მიხედვით, თეატრის ინტერიერი გაფართოვდა და თავდაპირველი გარეგნობაც სრულად შეუნარჩუნდა. თუმცა, სერგო ქობულა-



დანგრეული სახლი  
თაბუკაშვილის ქუჩაზე

ძის მიერ მოხატული ფარდა მაშინ არ აღუდგენიათ. ბატონ ლერი მექმარიაშვილის თქმით, ეს საკითხი თოთქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამას მხატვრის გარდაცვალებამ შეუშალა ხელი.

დღეს თბერა კვლავ შესაკეთებელია. ამჯერად ფუნდამენტის გამაგრება, ფასადებისა და ინტერიერის რესტავრაცია და სცენის უკანა სივრცის გეგმარებითი გაუმჯობესება იგეგმება. თუმცა ქობულაძის ფარდის აღდგენის საკითხი დღეს საერთოდ არ განიხილება.

ოპერის განახლების სამუშაოებს კვლავ არქიტექტორი ლერი მექმარიაშ-

ვილი უხელმძღვანელებს. თუმცა, ჩნდება კითხვა – როგორ განახლებენ ოპერას, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების, ან უნივერსიტეტის მსგავსად ხომ არა? მით უმეტეს, რომ დამფინანსებელი იგივეა – ბიძინა ივანიშვილი, რაც იმას ნიშანებს, რომ ფინანსები უშურველად გამოიყოფა, ხარისხზე კი არავინ იქნება პასუხისმგებელი. ძეგლთა დაცვის სახელმწიფო სტრუქტურები რომ ვარგოდეს, ეს ასე არ იქნებოდა, მაგრამ ჩვენთვის ეს ხომ დაუძლეველი პრობლემაა.

ოპერასთან ერთად განახლდება მისი მიმდებარე ტერიტორიაც, რადგან უკვე ოპერის საკუთრებაშია თაბუკაშვილისა და ლაბინის ქუჩების კუთხეში არსებული ნასახლარი N44/3. ეს შენობა, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, გასულ წელს დაინგრა. მის გვერდით არსებული ოპერის სახელოსნოებიც დანგრეულია და ამ შენობების პერიმეტრზე ახლა ადმინისტრაციისა და სახელოსნოებისთვის ახალი შენობის აგების იდეა მუშავდება, რაც დაუშვებელია, ერთი მხრივ, თავდა ოპერის შენობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, და N44/3 სახლის არქიტექტურული ღირსების გამოც.

2004 წელს ამ სახლის დაცვის თხოვნით მივმართე კულტურის მინისტრის მაშინდელ მოადგილეს, ნიკოლოზ ვაჩიებიშვილს, რომელმაც არაფერი იღონა მის გადასარჩენად. რამდენიმე წლის შემდეგ კი სახლის ზედა სართული დაიინვა და მაღლე ამას შენობის სრული დემონტაციიც მოჰყენა. არადა, მე-19 საუკუნის თბილისური სახლის ამ ნიმუშს, მე-20 საუკუნის დასაწყისში მოდერნის სტილის ფართო რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. მას ევროპული სტილის ფასადები ამშვენებდა თაბუკაშვილის და ლაბინის


ქუჩების მხრიდან. მოდერნის ლითონის აივნები და სადარბაზოს კიბის მოავირები კი, უკანა ეზოს მოხარატებულ ქართულ აივნებთან ერთად, ხუროთმოძღვრების საუკეთესო სინთეზს ქმნიდა.

ძველი თბილისის გამორჩეული ძეგლის – ოპერისა და მისი მიმდებარებენის თვითმყოფადობა აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს. თუმცა, რადგან №44/3 სახლი ახლა სხვა ფუნქციას იძენს, მისი ფასადების აღდგენაც საკმარისი იქნება. ამ აზრს იზიარებს ხელოვნებათმცოდნე გია ჭანიშვილიც, რომელმაც თაბუკაშვილის №44/3 სახლის კვლევა ოპერის დაკვეთით 2009 წელს განახორციელა. ოპერის დირექტორი დავით საყვარელიძეც აღდგენის მომხრეა. სახედნიეროდ, ამ შემთხვევაში არც ფინანსური პრობლემაა დაბრკოლება და სახლის ფასადების აღდგენისთვის ყველა საჭირო ფოტოც მოგვეპოვება.

მაშინ რა გვიშლის ხელს? რატომ ვლავთ? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გასული წლიდან, როცა აღნიშნული სახლების ნგრევა მიმდინარეობდა, ლაპარაკი იყო მათ ადგილას თვისობრივად ახალი სახლის მშენებლობაზე, რომლის საპროექტო წინადაღება ამჯერად უკვე დამუშავების სტადიაშია. გათვალისწინებულია უცხოელი არქიტექტორების ჩართვაც, რაც სავსებით რეალურია, რადგან ბოლო წლების თბილისში უცხოელი ოსტატების ხმაურიანი პოპულარიზაცია და კონკურსის გარეშე მათი მონაბალეობა სხვადასხვა პროექტში ლამის ტრადიციად იქცა. თუმცა, ეს სქემა უკვე ყველასაოვას გაშიფრულია და დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენს – უცხოელი პარტნიორი, თუ შეუძლია ქართველები, ამაში სარფაიან სარგებელს ნახულობენ და, რაც მთავარია, თავიდან მორებე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას – შედეგებზე პასუხისმგებლობას.

საზოგადოებამ უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს ეს საკითხი. ძველი თბილისის ამ განუმეორებელმა ადგილმა თავისი ხიბლი და თვითმყოფადობა უნდა შეინარჩუნოს, აღდგენილ ოპერას კი კვლავ უნდა ამშვენებდეს ქობულაძის ესკიზით შექმნილი ისტორიული ფარდა. ■

## მაჩალენას ისინი უყაჩა



სანდრო ნავერიანი



იტალია – სლოვაკეთის საფეხბურთო მატჩი

ჯერ ამას ვიტყვი: ერთ-ერთ ქართულ სპორტულ ვებ-გვერდზე – [www.worldsport.ge](http://www.worldsport.ge) – კომენტარებში გვერდის მკითხველები აქტიურად დებენ ერთ და იმავე ლინკს წარწერით – „ამისულაშვილს ხმები! ელირსათ, გადაგვასწრეს ჩათლახებმა...“ მოცემული ლინკით შედისარ ნაბრიკის „საპარტაკას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც გამოტანილი რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის საუკეთესო ფეხბურთოლთა რეიტინგი, რეიტინგს კი ვებ-გვერდის მკითხველები ადგენენ. ამისულაშვილი ხან პირველზეა და ხან მეორეზე, ამის მიზეზი [worldsport.ge](http://worldsport.ge)-ს მოპაკერო მკითხველები არიან. იქვე არის სხვა კომენტარიც: „ტოტალური გაყალბება 2: როგორ მივცეთ ამისულაშვილს უთვალავი ხმა“... და მოყვანილია ინსტრუქცია, თუ რა უნდა ქნა იმისთვის, რომ ამისულაშვილს უთვალავი ხმა მისცე. ქართველი ფეხბურთელი ინტერნეტ გამოკითხვით საუკეთესო ფეხბურთელი თუ გახდება, მერე რა ვქნათ, დავიჯეროთ, რომ ის

საუკეთესოა რუსეთში?

სანამ ჩვენ აյ თავს ვიტყვუებთ, სამხრეთ აფრიკაში ყველაზე საინტერესო იწყება – ფლეიოფი. ფრანგიზმა უკვე ჩაალაგეს ჩემოდნები. ჯობდა, არც ამოელაგებინათ. გულწრფელად ვამბობ, ჰონდურასი და ალური გაცილებით საინტერესო და სანახობრივ ფეხბურთის თამაშობენ, ვიდრე ფრანგები... და ვიდრე იტალიელები... ამიტომაც მიყვნენ ფრანგებს.

წლევანდელ მუნდიალზე იტალიის ერთადერთი იმედი მარჩელო ლიპი იყო, თუმცა გამოჩენდა, რომ დონ მარჩელო დაბერდა და ველარ ხედავს თამაშს. ჯერ აშკარად შეცდა, როდესაც მუნდიალზე არ წაიყვანა კასანო (და არა მარტი), რომელსაც გუნდის ზურგზე აკიდება შეეძლო და მეორეც, ცვლილებები, რომელიც გასული სამი მატჩის მსვლელობისას გააკეთა ლიპიმ, უბრალოდ უაზრო იყო. ვფიქრობ, ესთეტიური თვალსაზრისით მუნდიალს იტალიის და საფრანგეთის გავარდნით არაფერი დააკლდება.

# 30ებულის ღმ



გიორგი შენელიანი, ლონდონი

საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ ამერიკულებს. პრაგმატულ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ მათვებს ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია – ბრაზილიელი გულშემატკიფარივით მათ ვერ მოსთხოვ, – თან შედეგი მაჩვენე და თან ლამაზადო. ვფიქრობ, ამერიკულები კიდევ შორს წავლენ და ნახევარფინალად და მიაღწევენ, სადაც მათი მეტოქე ჰოლანდია ან ბრაზილია უნდა იყოს.

მეორე წარმატებისას უნდა ერთმანეთს, დარწმუნებული ვარ, ესპანეთი და არგენტინა დაუპირისპირდებიან. ესპანელები მერვედფინალში პირტუგალიასთან ითამაშებენ, უფრო სწორად კრიშტიანუ რონალდუსთან, რომელსაც ჯერჯერობით არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებია. მეოთხედფინალში ესპანელებს, წესით, მოწესრიგებული იაპონელები შეხვდებიან, კუნძულელების დამარცხება კი არ უნდა გაუჭირდეთ.

მუნდიალის დაწყებამდე და ახლაც სოკერის ბევრი მოყვარული თუ სპეციალისტი სკეპტიკურად უყურებდა მარადონას მწვრთნელობას, მათ შორის – მეც. სიმართლე გითხრათ, არც ახლა მგონია, ვთქვათ, ფატიჲ თერიმზე დიდი ტაქტიკისა, მაგრამ სამუშაუმო სახელის გარდა, მას აქვს ის, რაც უნდა ჰქონდეს ყველა მწვრთნელს და მგონი, არავის აქვს – მარადონას უყვარს, ძალიან უყვარს თავისი ფეხბურთელები. არასოდეს ვყოფილვარ არგენტინის გულშემატკიფარი, მაგრამ მინდა-არ მინდა, როცა მათ თამაშს ვყუყრებ, მსიამოვნებს, უბრალოდ იმიტომ, რომ ფეხბურთი მიყვარს, და მაურიალებს, როდესაც ვხედავ, რომ მარადონა კოცნის დიეგო მილიტოს, რომელიც მოედანზე პარკეტივით იყო და არაფერი საინტერესო არ გაუკეთებია. ამიტომაც შემიყვარდა მარადონა, როგორც მწვრთნელი, ამიტომაც მომწონს ახლა მისი ტაქტიკური მონახაზიც და თამაშის გადაწყვბაც, ცვლილებებიც, რომელსაც აკეთებს და მისი პიჯაკიც, რომელშიც ძალიან სასაცილოა.

სოკერის ყველა მოყვარულს ვუსურვებ, მალე გვენახოს უშმური მოურინიო, რომელიც თავის მოთამაშებს კოცნის. და სხვებიც. ■



ამ უურნალს რომ გადაფურცლავთ, უკვე გეცოდინებათ, როგორ დამთავრდა კვირას, ნაშუადლევს გერმანია-ინგლისის მერვედფინალი. მე კიდევ, მარჩიელობას რომ ავერიდო, მოგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის

დასრულებამდე ბევრი აღარაფერი დარჩა და ჩემპიონი კი კვლავაც უცნობია.

ასეთი თვისება აქვს მსოფლიო ჩემპიონატს, სულ ბოლო წუთამდე ჩემპიონი უცნობია ხოლმე. კაი, არ გაბრა-

წარმოშვა, – თქვენო, ყველასთან ასე სიყვარულით ხართო, ბიჭებს ეხვევით და კოცნითო, და როგორ ფიქრობთ, ეს საქმეს ეხმარებაო? მარადონაშ შუა თარგმანში დაატყო, რომ გეი ამბავში ხლართავდნენ, თუმცა ეს მთარგმნელის ბრალი უფრო იყო, ვიდრე შეკითხვის ავტორისა და, – არა ძმაო, ქალების ტრფიალი ვარო.

რას გაუგებენ სამხრეთელი კაცების ხვევნა-კოცნას ჩრდილოელები, ანდა პირჯვრის წერას და კრიალოსანის მრავალჯერ ამბორს.

იმათ თავისებური ამბავი აქვთ, ამათ – თავისებური. აი, წინა კვირაში ინგლისმა რომ ორგზის შეირცხვინა თავი, ამბავი გავრცელდა, – მეორე ფრეს შემდეგ ნირნამხდარმა კროიდონის ეპისკოპოსმა ლოცვა დაწერაო. ეს ლოცვა იმაზე განუზომლად მოკლე გამოდგა, ვიდრე მარადონა ბუტყუტებს ხოლმე თამაშების წინ. იქ სულ ორი სიტყვა აღმოჩნდა: „ოჳ, ღმერთო“, და სიმართლე რომ ითქვას, ინგლისელებისთვის

ლოოდ დედამისმა ანელკა ტელევიზორში გალანდლა, ხოლო სარკოზიმ ტიერი ანრი მიიწვია, – გამაგებინე ერთი, რა ხდებაო.

მთელ ამ ამბავში მეტად ხარობდა ირლანდიური პრესა და შეგახსენებთ რატომაც:

საფრანგეთი მხოლოდ იმიტომ მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომ ირლანდიას მოუგო გადამწყვეტი თამაში ერთადერთი გოლით. ეს გოლი კი იმგვარად გავიდა, რომ სენებულმა ტიერი ანრიმ ბურთი ლამის ორივე ხელით აიღო და ცარიელი კარის წინ დაუდო ვილიამ გალასს, – გაიტანეო. იმანაც გაიტანა, მსაჯმა კი ხელი ვერ დაინახა.

მაშინ ირლანდია აღშფოთდა, მაგრამ საქმეს რალას უშველიდა. ერთადერთი ირლანდიელი, ვინც თქვა, – ჩვენც კარგი ხეთოები ვართ, ვინაიდან საქართველოს უფრო უნამუსოდ მოვუგეთ, ვიდრე ჩვენ საფრანგეთმა მოგვიგოო, რომ კინი იყო, მაგრამ მაშინ გააღმასე-

## ■ რას გაუგებენ სამხრეთელი კაცების ხვევნა-კოცნას ჩრდილოელები, ანდა პირჯვრის წერას და კრიალოსანის მრავალჯერ ამბორს.

ეს ორი სიტყვა ლოცვის სურვილს ძნელად გააღვიძებს, რადგან იმათ ენაში „ოჳ, ღმერთო“ უბრალოდ გაკვირვებას ნიშნავს.

ასეა თუ ისე, მსოფლიო ჩემპიონატი მიექანება კვანძის გახსნისენ და მართლა ვატყობ, რომ ამ სვეტს უდროო დროს ვწერ, რადგან ყოველთვის ძნელია შუა გზაზე მიტოვებული ამბების გამო წერა.

მოგეხსენებათ, საფრანგეთმა თავი შეირცხვინა მსოფლიო ჩემპიონატზე – არა მხოლოდ ფინთად ითამაშა, არამედ გაიფიცა, არ ივარჯიშა, გავარდა, კუტოკი-კუტოკს დაემდურა; ნიკოლას ანელკა შინ გააგდო უფროსობაშ მწვრთნელ დომენერის დედის გინებისთვის; თვითონ დომენერმა ხელი არ ჩამოართვა სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელს სრულიად გაუგებარი მიზეზით; საბო-

ბული ირლანდია მსოფლიო ჩემპიონატზე ადგილის დამატებასაც კი ითხოვდა, მაგრამ ვინ დაუმატებდა.

ჰოდა, სამართალმა პური ჭამა აქაც და იქაც, და აბა, რა გასაკვირია, რომ მარადონა გაჩქარებით კოცნიდეს კრიალოსანს. რაც ამას ღმერთის ხელი მოუხმარია და გამოუცხადებია თავის მხარდამჭერად. წინა კვირაში ბრაზილიელმა ლუიშ ფაბიანუმ ასევე ხელდახელ გაიტანა ლაბაზი გოლი და მერე თქვა, – ესეც ღმერთის ხელი იყოო; რამაც მარადონა გაანაწყენა, – ეგ რანაირი ღმერთის ხელი იყო, მთელმა მსოფლიომ იმწამსვე დაინახაო.

მოკლედ, გაჩქარებულ ლოცვათა უამი ჩამოდგა სამხრეთ აფრიკაში, უეინ რუნისაც ჯვარი დაუნახეს ყელზე. თუმცა, ჩემგან განსხვავებით, თქვენ უკვე იცით გერმანია-ინგლისის თამაშის შედეგი. ■



საფრანგეთი – ირლანდიის საფეხბურთო მატჩი

ზდეთ. ვხუმრობ, და მგონი – არცთუ ვარგისად.

დიეგო მარადონა რომ ლოცვებში იყო მთელი ეს დრო, მოგეხსენებათ და მისმა ხვევნა-კოცნებმა ერთი ინგლისელი უურნალისტის თავში შეკითხვაც

# უნდანსანისი ტბევა



„რაც უნდა ყოფილიყო თბილისში ტრამვაის გაუქმების მიზეზი, დღეს აპსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობებზე“.

კახა თოლორდავა

ამ რამდენიმე წლის წინათ მეგობართან ერთად უკანასნელი თბილისური ტრამვაით ვიმგზავრე. ამისთვის თემქაში წავედით, ჯერ ფეხით ავუყვევით უკვე გაუქმებულ ტრამვაის მარშრუტს თემქიდან ლამის თბილისის ზღვამდე, მერე კი უკან გამოვყვით ბალახით დაფარულ რელსებს, მეტროსთან პირველივე ტრამვაის შევახტით და ბოლო გაჩერებამდე გავყევით. იმ დღეს ორივე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ ტრამვაი დიდებული ტრანსპორტია და ის ძალიან, ძალიან უხდება თბილის. რამდენიმე თვის შემდეგ თბილისი უკვე ტრამვაის გარეშე დარჩენილი ქალაქი გახდა.

რაც უნდა ყოფილიყო თბილისში ტრამვაის გაუქმების მიზეზი, დღეს აპსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობებზე. მესმისა, ტრამვაი ვერ დაუბრუნდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, თუ – რატომ, ამის დეტალური ახსნა ალბათ საჭირო არაა, მაგრამ ის ძალიან ლაბათიანად შეიძლება მოერგოს ქალაქის ფართოებრივან გარეუბნებს. მსოფლიოს ძალიან შევრმა ქვეყანამ რადაუცნარდა მოახერხა ტრამვაის შენარჩუნება, ჩვენ კი, როგორც ხშირად გვემართება ხოლმე, მგონია, რომ ავტექარდით, და დავკარგეთ ის, რაც დასაკარგი ნამდვილად არ იყო.

გავიმეორებ – ტრამვაი ალბათ ვერასდროს დაუბრუნდება თბილისის ცენტრალურ ნაწილს, რადგანაც ამისთვის ლამის ქალაქის მთელი ამ სექტორის სატრანსპორტო მარშრუტების თავიდან დაგეგმარება და შენება მოგვიწევს, ეს კი ადვილი ნამდვილად არაა. არც ქალაქის გარეუბნებშია ადვილი ტრამვაის ქსელის თავიდან დაგეგმარება. საკმარისია, თუნდაც „ვიკაპედიაში“ ნახოთ გვერდები ტრამვაიზე, ამაში რომ დარწმუნდეთ, რადგანაც, როგორც ყველა სატრანსპორტო საშუალებას, ტრამვაისაც აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები. მაგრამ, თბილისის გარეუბნები ამ უპირატესობების და ნაკლოვანებების კიდევ ერთხელ გადახედვის საშუალებას მაინც იძლევა. მაშ რატომ უნდა ვთქვათ უარი ამაზე, მით უმეტეს, თუ განვითარების თვალსაზრისით, თბილისის გარეუბნების დღი ნაწილი ჯერ კიდევ „ლიმბში“ იმყოფება?

შედეგი? წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით, ეს უპირველეს ყოვლისა თბილისის უსახური გარეუბნების საინტერესო და მოულოდნელი კონტრასტული ელემენტით გამდიდრება იქნება. მოულოდნელობის ეფექტი მნიშვნელოვანია და ტყუილუბრალოდ არ მიხსნებია. ის ნებისმიერი საინტერესო ქალაქის „აღმოჩენისთვის“ აუცილებელი ელემენტია, თუნდაც – ტურისტებისთვის. თბილისულების ის ნაწილი, ვინც ქალაქის „კომუნისტურ“ რაიონებში სიარულზე უარს ამბობს, შეიძლება შემეცამათოს, – რომელი ტურის-



ტი დადის ვარკეთილში ან აფრიკაში, – მაგრამ ამ ადამიანებს შემიძლია, დარწმუნებით ვეტერა, რომ ჩემმა ლამის ყოველგვირულობა „სადაზვერვო გასვლებმა“ გარეუბნებში დამარწმუნა, რომ ეს ასე არაა. გლდაბში, დილომში, ისანში – ყველგან, სადაც უნდა ნახიდე, შეხდები ზურგჩანთამოგდებულ უცხოელებს, ინტერუსით რომ ათვალიერებები იქაურობას. მათი რიცხვი ალბათ თანდათან გაიზრდება. ჰოდა, სწორედ ასეთი დაინტერესებული ადამიანები არიან შენივე ქალაქის სასარგებლოდ ან საზიანოდ რომ წერენ ხოლმე თავთავიანთ ბლოგებში; მე კი არ წამიკითხავს არც ერთი ასეთი ჩანაწერი, სადაც თუნდაც ყველაზე უფრო უკმაყოფილო ადამიანს თბილად არ მოეხსენებინა ამა თუ იმ ქალაქის ის ნაწილები, სადაც ტრამვაის ხაზია. თბილისელებს დავუბრუნდები. მოხერხებულობასთან ერთად ტრამვაი ნაწილობრივ მაინც მოაცილებს თბილისელებს ოფლიან სამარშრუტი ტაქსებს და მოუხშავ ავტობუსებს. ის თუნდაც მცირედ შეამცირებს ქალაქის გამონაბოლქვით დაბინძურებებს და, რაც მთავარია, ის თბილისელების ნაწილს საკუთარი ქალაქის სხვანირად, ოდნავ აუზრარებლად შეგრძნების საშუალებასაც დაუბრუნებს, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს ნოსტრალისთან. მაგალითისთვის, საქონფინის თუ დრამის საუნდი დღესაც ისევე არანოსტალოურად აქტუალურია ჯაზში, როგორც ადრე. შესაბამისად, ტრამვაის ბორბლების ხმაურით აზრიალებული სახლების ფანჯრის შეშებმა შეიძლება განსხვავებული რიტმი შესთავაზონ ინდიფერენტულად მოგუგუნე თბილისის გარეუბნებს, და სხვანირად „გააჯაზონ“ ისინი არა მარტო თბილისელებისათვის, არამედ ჩამოსული სტუმრებისთვისაც. ამის გულისთვის კი ნამდვილად ღირს კიდევ ერთხელ დაფიქრდა, ზემოთ თქმულის გარდა, კიდევ რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს დაბრუნებულმა ტრამვაიმ თბილის.



მავსები




თრგაბათი-პარასკევი

23:00

# D - დღე

პირველი 24 საათი



დღე, რომელიც გადაცევითა  
მორი მოვალეობის მისა  
გადა-იღება!

- წიგნი მოიცავს მოწინააღმდეგეთა ცალკეული ტაქტიკური მანევრების დეტალურ აღწერილობას D-დღეს დესანტის გადმოსხმის თითოეულ ზონაში პირველი 24 საათის განმავლობაში.
- სპეციალურად ამ წიგნისთვის შექმნილ ფერად რუკებზე გამოსახულია ნორმანდიის სანაპირო ზოლის ხუთივე მონაკვეთი და D-დღის მონაწილე ძალოვანთა მარშრუტი 1944 წლის 6 ივნისის შუალამედე.
- წიგნი გაფორმებულია სანაპიროზე მიმდინარე მოვლენათა ამსახველი დოკუმენტური ფოტოებით.

გაკურ სულაკაურის  
გამოგვევლობა

მის: აღმაშენებლის 150  
ტელ: 910 954, 911 165

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

